ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ქართველობის გადასარჩენად

ილორი

www.ilori.ge



№123 (184) 14-21 ივნისი 2011 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი

SOS!!! საქინფორმს დარბევა ემუქრება!

2011 წლის 23 მაისს ყოველკვირეულ გაზეთ **„ასავალ-დასავალში“** გამოქვეყნდა საქართველოში ამერიკის ელჩ ჯონ ბასისადმი საინფორმაციო-ანალიტიკური **სააგენტო „საქინფორმის“** მთავარი რედაქტორის შემდეგი შინაარსის მიმართვა:

„საქართველოს ძალოვანი სტრუქტურების პატრიოტულად განწყობილი თანამშრომლებისგან – საინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო „საქინფორმის“ მუდმივი მკითხველებისგან – მიღებული ინფორმაციის მიხედვით, ჩვენი ჟურნალისტებისა და მთავარი რედაქტორის წინააღმდეგ პროვოკაციები მზადდება.

2011 წლის 19 მაისის „იმედის“ არხზე გასული ტელესიუჟეტის (20.00 სთ „ქრონიკა“) ავტორებმა და დამკვეთებმა, რომლებმაც საქინფორმი – საქართველოს პრორუსული პრესის ლიდერად, ხოლო მთელი ჩვენი ჟურნალისტური კოლექტივი რუსეთის ინტერესებისათვის მომუშავე სამშობლოს მოღალატეებად გამოაცხადეს, საგანგებოდ შექმნეს ფონი, რათა შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომელთა მიერ ჩვენი ჟურნალისტებისთვის პროვოცირებული ქუჩის ინციდენტი ან მთავარი რედაქტორისათვის მოწყობილი ავტოსატრანსპორტო შემთხვევა აღქმული იქნეს როგორც მოსახლეობის სიძულვილი ოკუპანტების მსახურთა მიმართ! რის შემდეგაც დააკავებენ „დამნაშავეს“, რომელიც, სავარაუდოდ, ოპოზიციის წარმომადგენელი აღმოჩნდება, რითაც ბარემ ოპოზიციაც დისკრედიტებული იქნება. „დამნაშავეს“, ანუ უშუალო შემსრულებელს, ამ ბინძური ოპერაციისთვის სისხლის სამართლის სხვა დანაშაულს აპატიებენ, რომელიც ხანგრძლივი პატიმრობით ისჯება. ვაფრთხილებთ აშშ-ის საელჩოს, რომელმაც არაერთხელ დააფიქსირა, რომ მედიის თავისუფლება და ჟურნალისტის ხელშეუხებლობა საქართველოში დემოკრატიის მთავარი მაჩვენებელია: ნებისმიერი მსგავსი შემთხვევისას (ჟურნალისტის სიცოცხლის ხელყოფის ან მისთვის პროფესიული მოვალეობის შესრულებაში ხელის შეშლის) პასუხისმგებლობა სრულად და მთლიანად დაეკისრება როგორც საქართველოს მოქმედ ხელისუფლებას, ისე მის ამერიკელ კონსულტანტ-კურატორებს!“

ამის შემდეგ ადგილი ჰქონდა 26 მაისის ტრაგიკულ მოვლენებს, რის შემდეგაც საქართველოში აშშ-ის კონგრესმენები და ჰოლივუდის დელეგაცია ჩამოვიდა ფილმის – **„აგვისტოს 5 დღე“** – პრემიერაზე.

თუმცაღა, 2011 წლის 7 ივნისს, საპატიო სტუმრებისა და, ასევე, საქართველოში აშშ-ის ელჩ ჯონ ბასის კალიფორნიაში საკუთარ ქორწილზე გამგზავრებისთანავე, საქართველოს ხელისუფლებამ დრო იხელთა და, როგორც ჩანს, ანგარიშსწორება გადაწყვიტა სახელმწიფოში თავისუფალი სიტყვისა და იმ მედიასაშუალებებისათვის, რომლებიც ობიექტურად აშუქებენ ქვეყანაში მომხდარ მოვლენებს:

–2011 წლის 7 ივნისს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო სამსახურმა ჰოლდინგ **„მედიაპალიტრის“** ექვსი სტრუქტურის ერთდროული არაგეგმური შემოწმება დაიწყო, რის გამოც მისი ნორმალური ფუნქციონირება შეწყდა (აქვე უთუოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ **„მედიაპალიტრა“** ეს მხოლოდ ბეჭდური, ელექტრონული და ტელემედია კი არა, მთელ საქართველოს ტერიტორიაზე გაზეთების გავრცელების უდიდესი ქსელის მფლობელია);

საინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო

საქინფორმი

www.saqinform.ge

იმავე დღეს, 2011 წლის 7 ივნისს გატეხეს საინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო **„საქინფორმის“** საიტი – ჩვენთვის უცნობი პროსამთავრობო ჰაკერები ყოველ 10 წამში იდენტურად პასუხობდნენ სააგენტოს საიტის **www.saqinform.ge** მთავარ გვერდზე განთავსებული სოციოლოგიური გამოკვლევის კითხვებს, რითაც მისი შედეგების ფალსიფიცირება მოახდინეს და მთავარი რედაქცია აიძულეს, საერთოდ შეეწყვიტა გამოკითხვა;

– 8-9 ივნისს საინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო **„საქინფორმის“** საფოსტო ყუთში უკიდურესად შეურაცხმყოფელი ხასიათისა და უცენზურო გამოთქმებისა და პირდაპირი მუქარა-დაპირებების შემცველი წერილები მოდის, რომ ჩვენ, ჟურნალისტებს, გაგვისწორდებიან, როგორც გამცემებსა და სამშობლოს მოღალატეებს.

ძვირფასო მკითხველო! ბოდიშს ვიხდით, თუ უახლოეს ხანში ვერ შეძლებთ ჩვენი საიტის გახსნას – ეს იმის ნიშანი იქნება, რომ საინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო **„საქინფორმი“** დაარბიეს!

უკანასკნელად ვაფრთხილებთ შესაბამის სახელისუფლებო სტრუქტურებს: შეწყვიტეთ ჟურნალისტებისთვის მათი პროფესიული საქმიანობის განხორციელებაში ხელის შეშლა, საერთაშორისო თანამეგობრობის თვალში ეს ერთობ ცუდ მდგომარეობაში გაყენებთ! თუმცაღა, თუ საინფორმაციო-ანალიტიკურ სააგენტო **„საქინფორმს“** მაინც დაარბევენ, ანდა ჩვენი ჟურნალისტების სიცოცხლეს საფრთხე დაემუქრება, უფლებას ვიტოვებთ, მივმართოთ საქართველოში წარმოდგენილ დიპკორპუსს და ყველა საერთაშორისო, მათ შორის, უფლებადამცველ ორგანიზაციებს თხოვნით – ჩაერიონ, დაგვიცვან და დამოუკიდებელი გამოძიება დაიწყონ!

9 ივნისი, 2011 წელი, 13.00 სთ

საქინფორმი

სერგეი კრემლიოვი

ბერია – XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი

4

თარგმანი როლანდ ჯალაღანიასი

გური ოტობაია 11

შურომუმუ

7 **როგორ მოვიგოთ არჩევნები**

7

გუანტანამოს ციხე სახელად საქართველო და მისი დირექტორი – მიხეილ სააკაშვილი

უნიჭობის 9 მავნებლობა

12

საქართველო (კოლხეთი) — კაცობრიობის ცივილიზაციის აკვანი

საქართველო (კოლხეთი) ჩვენი სამყაროს უპირველესი და უდიდესი ქვეყანაა.

იბერიადა იწყება კოლხეთით, კოლხეთშია ქართული და მსოფლიო ცივილიზაციის სათავე

პროფ. ლევან სანიკიძე

დასაწყისი "ილორი" №122

ჩვენ გაზეთის წინა ნომრებში მკითხველებს მივაწოდეთ დიდი ქართველი მეცნიერის ბატონ კლიმენტი შელიას წერილების ციკლიდან მრავალი საინტერესო წერილი, რომელიც ნათელს ჰფენს საქართველოს შორეული წარსულის პერიპეტიებს. ზოგიერთი წერილი ამ ციკლიდან შეიძლება ადრე გამოქვეყნებულიც გვქონდეს, მაგრამ იმდენად დიდია მკითხველი აუდიტორიის ინტერესი ბატონი კლიმენტის შემოქმედებისადმი, რომ მისი ხელმეორედ გამოქვეყნებაც დიდად სასარგებლო და საშურ საქმედ მიგვაჩნია — გაზეთ "ილორის" რედაქცია.

მეცნიერებმა ზუსტად არ იციან საიდან მოვიდნენ იაპონიაში მეგრული ტომები აიანები, მაგრამ ის ფაქტები დადასტურებულად ითვლება, რომ: როდესაც იაპონელები კუნძულ ხონსიუზე გადავიდნენ და დასახლდნენ, დიდი ხნით ადრე დასახლებული იყვნენ აიანები.

ამაზე გასაგებად მეტყველებენ იაპონური თქმულებებიც. აიანები სოფლებში, საცხოვრებელი სახლების აღმოსავლეთით, აყენებენ ტირიფის მოჭრილ ტოტს, რომელიც ისეა გათლილი, როგორც ბურბუშელის გროვა, რომელიც აშკარად ისეთივეა, როგორიც ქართული (კოლხური) საახალწლო ბურბუშელიანი ჩიჩილაკი.

ისიც აღსანიშნავია, რომ აიანები იმ ტირიფის ტოტის წინ ლოცულობენ, ისევე, როგორც ქართველები ჩიჩილაკთან.

მეცნიერებმა ვერ გახსნეს რთული აიანური ენის საიდუმლოება. ბასკურ ენას ამსგავსებენ. ცნობილმა რუსმა აკადემიკოსმა ა.პ. ბელოპლედვსკიმ და კუიბიშეველმა მეცნიერმა, ბასკოლოგმა იური ზიცარმა, გასული საუკუნის 70-იან წლებში მიუთითეს, რომ აიანების ენა ბასკურ ენას ჰგავს და წამოაყენეს მოსაზრება, რომ სიტყვა **"აიანი"** ძალიან ჰგავს ძველი კოლხეთის სახელმწიფოს სახელწოდებას **"აია"**-ს: **"აიანი" — "აია"**-ნებიდან, **"აია"**-ნებისაგან და სხვა...

სიტყვამ მოიტანა და უნდა ვთქვა, რომ იაპონელები მსოფლიოს სხვა ხალხებს შორის ერთ-ერთი ნიჭიერი და ჭკვიანი ხალხია, პრაქტიკული და საქმიანი.

კოლხი თათუ-ნეფერტიტი და აია-ეგვიფტის ფარაონები.

ძველი წელთაღრიცხვის XIV საუკუნის შუა წლებში, ჩრდილოეთ საქართველოს სამეფოს მითანის (ანუ მითანის მთიანეთის) მეფე რატის და თათუ, ქიმეთის (ეგვიპტის) მეფე-ფარაონის (ეხნატონ-აჩინა) მეუღლე გახდა, ტრადიციულად ახალი სახელი დაერქვა — ნეფერტიტი, რაც უცხოეთიდან ჩამობრძანებულ ულამაზეს ქალბატონს უნდა ნიშნავდეს. სხვათა შორის, ანმარეს და თათუ ნეფერტიტს ერთნაირი გვირგვინი ადგათ (ახურიათ). ნეფერტიტის ყველა ქანდაკება (დიდი თუ პატარა) და პორტრეტი, ამ გვირგვინითაა შესრულებული.

მითანის (მთიანეთის) სამეფოს დედაქალაქი იყო ფაზისურა (რაც ვენახოვანს ნიშნავს).

იმავე მნიშვნელობის იყო სახელმწიფო **"ბაბილოვანი"**.

ბაბილონი — ქართულად ვაზის ლერწამი, რტოა. ქალაქ ბაბილოვანის სახელწოდება შემდგომში გავრცელდა თვით ქვეყნის, სამეფოს სახელწოდებაზე. ასევე იყო დედაქალაქ კოლხას სახელი, მთელ ქვეყანაზე გავრცელდა,— დაერქვა ჯერ ვრცელ ქართულ მხარეს, უფრო გვიან, როდესაც ბაბილონი შემოსეულმა მტრებმა დაიპყრეს, ქ. ბაბილონი კოლხეთის (საქართველოს) დედაქალაქი იყო, ხოლო ახალი წელთაღრიცხვის VIII საუკუნეში ქალაქ ბაღდადს ხშირად ბაბილონად მოიხსენიებდნენ.

შეიძლება ქალაქის სახელი შეიქმნა ქართული სიტყვებისაგან **"ბაგ", "დადუ"** (მეფის სახელებია). დადუსგან მომდინარეობს გვარები დადიანი, დადუანი და სხვა.

ფარაონ ექნატონის (ეხნატონის) შემდეგ გამეფდა თათუ — ნეფერტიტი, რომელსაც თანამოსაყდრედ ჰყავდა თავისი უფროსი ქალიშვილი ანქისეპა — ანუნა, სამი თუ ოთხი წლის შემდეგ, ნეფერტიტი გარდაიცვალა, რომლის შემდეგ ტახტზე დასვეს 8-10 წლის თუთანქი — თუთანჰამონი (თუთანხამონი), რომელიც ნათესავების, პირველ რიგში ქვეყნის მეორე კაცის **"პრემიერ-მინისტრის"** და უმაღლესი ქურუმის, მეფე რატის ძმის, თათუ-ნეფერტიტის მაზლის, კოლხი აიე-ს საშუალებით მართავდა ქვეყანას. ზოგი თვლის, რომ თათუნეფერტიტი თუთანქამონის ბიოლოგიური დედა არ იყო, მას უთუოდ დედობა გაუწია, სხვები კი თვლიან, რომ თუთანჰამონის დედა იყო სხვა ქართველი მეფის ასული ქიია.

18 თუ 19 წლის ასაკში გარდაცვლილი ფარაონ თუთანჰამონის დაკრძალვას ხელმძღვანელობდა **"პრემიერ-მინისტრი" აიე**, რომელიც ფარაონი გახდა და ათი წელი მშვიდობიანად მართავდა ქვეყანას. როგორც ჩანს, თათუ-ნეფერტიტის უმცროსი ასული მენიათენა საქართველოს დედოფალი, ქადაშხან მეფის მეუღლე იყო. ცხოვრობდა თანამედროვე სამხრეთ ერაყში.

კოლხეთში განვითარებული სახელმწიფოს არსებობის პერიოდი დიდი ხნით უსწრებს ეგვიპტეში დიდი ფარაონების მმართველობის პერიოდს, რომელთა სასაფლაოებში ჩატანებული უდიდესი სიმდიდრე, კერძოდ ოქროს ძვირფასი ნაკეთობანი კოლხური წარმომავლობისაა, რომელშიც ჩანს კოლხური მეტალურგიული წარმოების პრიორიტეტი.

საქართველო (კოლხეთი) მსოფლიოს პირველი ქვეყანაა, ქართული ენა (კოლხური ენა) მსოფლიოს პირველი ენაა.

რადგან ენის შესახებ მომიხდა ლაპარაკი, იმასაც ვიტყვი, რომ კოლხეთის უძველეს დამწერლობაზე — კირბებზე-კვირბებზე (კირიბიკრავი — კრავის, ცხვრის ტყავზე წერდნენ კოლხები), წიგნებზე ცნობები კაცობრიობას შემოუნახეს კრატინემ, ჰეროდოტემ, ლისიამ, პლატონმა, პლუტარქემ, აპოლონიოს როდოსელმა, სტრაბონმა და სხვა ბერძენმა სწავლულებმა.

ჰომეროსი კარგად იცნობდა კოლხეთს, მის წარსულს (დიდმა მკვლევარმა ჰენრიხ შლიმანმა ერაყში წარმოებული არქეოლოგიური გათხრებით აღმოაჩინა ქალაქი ტროა და დაადასტურა, რომ ჰომეროსის **"ილიადა"** გახლდათ არა მწერლური ფანტაზიის ნაყოფი, არამედ რეალური ისტორიის ასახვა. უეჭველია, რომ **"ოდისეაც"** ასევე ისტორიული რეალობის ასახვაა, რომლის დადასტურებასაც შესაბამისი სამეცნიერო გამოკვლევა სჭირდება. ბუნებრივია, რომ საამისოდ საქართველოს არაქართული (უფრო ზუსტად — სომხური) ხელისუფლება თავს დიდად არ შეიწუხებს და არც კვლევა-ძიებისათვის საჭირო თანხას გამოჰყოფს — **"ილორი"**).

კლაუს შმიდტის მიერ 11 ათასი წლის წინანდელი კოლხური წარწერებიანი ეკლესია-ტაძრების გარდა, ამბობენ, რომ კოლხებს 40 ათასი წლის — 400 საუკუნის წინანდელი დამწერლობაც ჰქონიათ (ამის თაობაზე თურმე ვიღაც რუს მეცნიერს უთქვამს, მაგრამ დამალული, მიჩქმალული აქვთო). ამის შესახებ არაფერს ვამბობთ, რადგან რაიმე დამამტკიცებელი საბუთი, წყარო არ არსებობს.

ქართველი ხალხი უძველეს დროიდან უმღეროდა ხალხისათვის თავდადებულ, ღმერთებთან და დევებთან მებრძოლ გმირებს. ბერძნებმა ხვამლის მთაზე მიჯაჭვულ ამირანს პრომეთე უწოდეს და ბერძენ გმირად მონათლეს. XIX საუკუნის ბოლოს (1883 წელი) ჰიმნის სახით გავრცელდა აკაკი წერეთლის ლექსი **"ამირანი"**

კავკასიის მაღალ ქედზე
მიჯაჭვული ამირანი,
არის მთელი საქართველო
და მტრები კი ყვავისანი.

რა თქმა უნდა, ღმერთებთან მებრძოლი ამირან-პრომეთეს სამშობლო საქართველოა.

კლიმენტი შელია,
აკადემიკოსი, მეცნიერების
დამსახურებული მოღვაწე
(გაგრძელება იქნება)

ქართველ ისტორიკოსებს, მეცნიერებს, ხელისუფლებას, იბერო-კავკასიელებს!

კავკასიის ხალხთა გაერთიანების მიზნით, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და გარეშე არასასურველთაგან დასაცავად, ასევე აფხაზი ხალხის თავისი ძირძველი ბუდისაკენ შემობრუნების მიზნით, მოგმართავთ, სათანადო დონეზე გახმოვანებულ იქნეს, რასაც ქვემოთ მოგითხრობთ!

ისტორიული ხანის საწყისებიდან არსებობდა კომპეტენტური პიროვნებების, ისტორიკოსების, ფილოსოფოსების, მემატიანეების თუ ჟამთააღმწერლების წერილობითი წყაროები, რომლებისთვისაც ყურადღება არ მიუქცევიათ და არც აქცევენ ჩვენი სწავლული მეცნიერ-ისტორიკოსები, იგნორირებულია საქართველოსათვის ესოდენ საჭირო და სარგებლობის მომტანი მტკიცებულებები. სასარგებლოს ვამბობ, რადგან ამ ჭეშმარიტების აღიარებას შეუძლია, სრულიად კავკასია, შავი ზღვის რეგიონთან ერთად მსოფლიო ნაკრძალ ტერიტორიად გამოაცხადოს, რაც კავკასიაში სამარადისო მშვიდობის მყარი გარანტია იქნება.

აი, რას ვკითხულობთ წერილობით წყაროებში:

— ბერძენი ფილოსოფოსი პლატონი მოიხსენიებს თავის წინაპარს სოლონს, რომელსაც 600 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე უმოგზაურია ეგვიპტეში, ქალაქ საისში, სადაც შეხვედრია ძველამბავთა ჟამთააღმწერელს. მას მოუთხრია სოლონისათვის, რომ **"უძველეს დროში იყო ქვეყანა-კუნძული ატლანტიდა, რომელიც კატაკლიზმებისაგან გაუჩინარებულა. თეთრკანიანი ხალხი, იბერები, იმ ქვეყნიდან გადარჩენილი ხალხების შთამომავლები არიან, რომლებიც ცხოვრობენ აქ, ეგვიპტეში"**-ო.

— რომაელი ისტორიკოსი პარონი, ჩვენ ერამდე პირველ საუკუნეში, რომელიც პომპეის ელჩი იყო დღევანდელ ესპანეთში, წერს, რომ **"ესპანეთ ოდითგან იბერია ეწოდებოდა და იქ მაცხოვრებელი ხალხი, თეთრკანიანი იბერები, ატლანტიდის ქვეყნის დაღუპვას გადარჩენილი ხალხთა შთამომავლები არიან და ამიტომ ამ ქვეყანას უხსოვარ დროიდან იბერია ეწოდება"**-ო.

— ფილოსოფოსი კრანტორი პირდაპირ აცხადებს, რომ 310 წელს ჩვენს ერამდე მას ეგვიპტეში უნახავს სვეტი, რომელზედაც ამოტვიფრული ყოფილა ჩაძირული ქვეყანა **„ატლანტიდას"** ისტორია და აღნიშნავს: **"ატლანტიდელები აგებდნენ გაუგონარი სილამაზის სასახლეებს, ქმნიდნენ გიგანტურ ტექნიკურ შედევრებს, აგებდნენ გზებს და პირამიდებს და გუმბათიან ტაძრებს, აშენებდნენ ნავსადგურებს, ტაძრებისაკენ მიმავალი გზები თუჯის ფილებით ყოფილა მოწყობილი, ტაძრების გუმბათები კი სუფთა ოქროსაგან ყოფილა გამოკვეთილი. ატლანტიდა, ქვეყანა გარსშემორტყმული ყოფილა სანაოსნოდ გამოსადეგი წყლებით და ეს წყლები იყო ქვეყნისათვის დამცავი საშუალებაც"**-ო და დასძენს **"მათ ჰქონდათ მსუბუქი სწრაფმავალი გემები დ აიმ ქვეყნიდან ვრცელდებოდა ცივილიზაცია მთელს დედამიწაზე"**-ო.

— რომაელი ისტორიკოსი აპიანე, მეოთხე საუკუნეში ჩვენს ერამდე, წერდა: **"კავკასიის იბერები და ესპანეთის იბერები ნათესავნი, ერთი მოდგმისანი არიან"**-ო.

— ჰეროდოტე V საუკუნეში ჩვენს ერამდე წერს: **"კოლხები რომ ეგვიპტელები არიან, ამას მე თვითონ მივხვდი, უწინ ვიდრე მოვისმენდი სხვისგან. შევეკითხე ორივეს, კოლხებს უკეთ ახსოვთ ეგვიპტელები, ვიდრე ეგვიპტელებს კოლხები. ეგვიპტელები ამბობენ — მათ მიაჩნიათ, რომ კოლხები არიან სესისტრისის, ე.ი. ფარაონ რამზეს მეორის მოლაშქრეები. თვით მეც ასე მეჩვენება, რადგან კოლხები არიან შავგვრემანები. მხოლოდ კოლხები და ეგვიპტელები ამუშავებენ სელს ერთნაირად. მთელი ცხოვრება და ენა მსგავსი აქვთ ერთმანეთისა"**.

— ბერძენი მწერალი და ისტორიკოსი პლუტარქე პირველ საუკუნეში ჩვენს ერამდე გადმოგვცემს, რომ **"პელაზგები კავკასიური იბერების შტოს წარმომადგენლები არიან, ისინი საბერძნეთის პირველმოსახლე იბერებს ნათესავნიც გახლავან, რომლებიც ენათესავებიან სამხრეთ იტალიაში მცხოვრებ ეტრუსკებს"** და ასკვნის **"იბერიული მოდგმის ტომები არიან: შუმერები, პელაზგები, ეტრუსკები, ხალიბები, ხეთები, მოსინიკები, მოსხები და კიდევ სხვები"**-ო.

ახლო წარსულის თუ თანამედროვე მრავალ მეცნიერს გამოთქმული აქვთ აზრი, რომ **"ძველი ბერძნები, იგივე იბერები, ანუ იბერო-კავკასიური ტომები, ფილოსოფიური აზროვნებისანი იყვნენ ჯერ კიდევ გვიან ნეოლითის პერიოდში"**. ერთ-ერთი რუსი ენათმეცნიერი-შუმეროლოგი თავის მეცნიერულ კვლევებში ამტკიცებს, რომ **"პროტოქართველური ტომები კავკასიაში დამკვიდრებულან 18.000-15.000 წლების წინ ჩვენს ერამდე"**. ამ აზრის მომწოდებელი გახლავთ ანატოლი კაპიშინი, რომელიც ამ აზრის გამოთქმისათვის იდეოლოგიურმა სამსახურებმა ჩამოაცილა მეცნიერულ სფეროს.

კაპიშინის სიტყვები გახლავთ: **"კავკასიელმა პროტოქართველურმა ტომებმა, ატლანტიდის დაღუპვის შემდეგ კვლავ ფეხზე წამოაყენეს მსოფლიო ცივილიზაცია"**.

ასევე მკვლევარები გადმოგვცემენ, რომ **"წინა აზია დასახლებული ყოფილა ქართველენოვანი ხალხებით და უძველესი დროიდან იყო ცივილიზაციის აკვანი"**-ო.

ზემოთხსენებული წერილობითი წყაროები თუ ნააზრევები გადმოგვცემენ წინა ისტორიულ ხანაში მომხდარ ფაქტებს. რომელსაც ახმოვანებენ კომპეტენტური პიროვნებები. ამ ხსენებულ ფაქტებს აზუსტებენ და ადასტურებენ ახლო წარსულის თუ თანამედროვე მეცნიერ-სწავლულები.

რა სჭირთ ჩვენს მეცნიერ-სწავლულებს? თურმე ოდითგან გვიკიჟინებდნენ და გვიკიჟინებენ დღესაც, რომ იბერები ცივილიზაციის ცენტრად აღიარებული ატლანტიდის ჩაძირვას გადარჩენილთა შთამომავლები ვართ. ეს ფაქტი რომ ვაღიაროთ ჩვენ, ქართველებმა, საჩოთირო ან სასირცხვილოა მსოფლიოს წინაშე? ეს წერილობითი წყაროები ხომ ნათლად მეტყველებენ კავკასიელი, იბერო-კავკასიელთა თუ დედამიწის სხვა ტერიტორიაზე არსებულ იბერებზე? კერძოდ: ესპანეთის, ბისკაის ყირის, პირენეების იბერებზე. ასევე, ეგვიპტეში, კართაგენში, საბერძნეთში, ხმელთაშუა ზღვის კუნძულებზე მცხოვრებ იბერებზე და სხვაგან და სხვაგან.

მრავლისმეტყველი ფაქტი გახლავთ იბერებისა და იბერიული ტომების პირველ მოსახლეებად მოხსენიება საბერძნეთში.

რატომ არ გვინდა გავიგოთ ატლანტიდის დაღუპვის ადგილი? რატომ არ გვაინტერესებს იბერთა წარმომავლობა, მათი განვლილი გზა, ნამოღვაწარი... რატომ არ გვინდა გამოვნახოთ ის, რაც ვიცით, ან რასაც გვიკიჟინებენ ოდითგან?

დიახ, ბატონებო, ზემოთ ხსენებულის მასშტაბურად გახმოვანება ჰაერივით სჭირდება დღეს საქართველოს და საქართველოს სახელმწიფოებრიობას.

ჩემი აზრი და შეხედულება, ამ ისტორიულად უტყუარ წერილობით წყაროებზე დაყრდნობით, ასეთია:

სანაოსნოდ და დამცავ საშუალებად გამოსადეგი წყლებით გარსშემორტყმული ქვეყანა ატლანტიდა ჩაძირულა დედამიწის რომელიღაც ტერიტორიის სიღრმეში. **ის გაუჩინარებულა.**

ცნობების თანახმად, რადგან ატლანტიდელები ყოფილან იბერებად წოდებული თეთრკანიანი ხალხი და ეს ხალხი მოხსენიებულნი არიან ესპანეთში, ეგვიპტეში, კავკასიაში, მცირე აზიასა და ახლო აღმოსავლეთში, იტალიასა და საბერძნეთში, ასევე პირენეებზე და ხმელთაშუა ზღვის კუნძულებზე, მაძლევს საფუძველს ვაღიაროო, რომ **ატლანტიდა** ჩაძირულია შავ ზღვაში და არა მექსიკაში, არა ატლანტის ოკეანეში გიბრალტარის სრუტის სიახლოვეს, როგორც ამას მიიჩნევდნენ მავანნი და მავანნი. (შლიმანმა ხომ ჰომეროსის **"ილიადაში"** ნახსენებ წერილობით წყაროებზე დაყრდნობით აღმოაჩინა **ტროა**).

ატლანტიდა მექსიკაში რომ ჩაძირულიყო, ჩაძირვის ადგილზე უნდა არსებობდეს ზღვა ან ტბა, ან უნდა იყოს ცნობები გადარჩენილთა შესახებ ლეგენდებში გინდ თქმულებებში. მსგავსის მამტკიცებელი საბუთები მექსიკაში არ მოიპოვება. ასევე ძნელი წარმოსადგენია, რომ იმ ტრაგედიის დროს, როცა ჩაიძირა ატლანტიდა, ლტოლვილები ჩასულიყვნენ მექსიკიდან ესპანეთში ან ეგვიპტეში.

ასევე დაუშვებლად მიმაჩნია ატლანტიდის არსებობს და ჩაძირვა ატლანტის ოკეანეში, რადგან ცნობების მიხედვით ოკეანის წყლები ვერ იქნებოდა ქვეყნისათვის დამცავი საშუალება და ტრაგედიის დროს გადარჩენილნი უნდა გამოჩენილიყვნენ საფრანგეთში, პორტუგალიაში, მაროკოში და არა ესპანეთსა და ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებსა და ამავე ზღვის კუნძულებზე.

ქვეყანა ატლანტიდა, რომელიც გარსშემორტყმული იყო სანაოსნოდ გამოსადეგი წყლებით და იყო ქვეყნისათვის დამცავი საშუალებაც, გახლდათ შავ ზღვაში ოდესღაც არსებული ამაღლებული ხმელეთი, რომელიც გარსშემორტყმული იყო მიმდებარე ტერიტორიებიდან ჩამონადენი მდინარეებით, რომლის წყლები ბოსფორის სრუტის გავლით უერთდებოდა მსოფლიო ოკეანის წყლებს.

სწორედ ამ ტრაგედიის გამო გაჩენილ ზღვას დაერქვა **"შავი ზღვა"**. სწორედ ამ მოვლენის გამო გაურბოდა და გაურბის ამ ზღვას ზღვისპირა მოსახლეობა. უდავოა, გენეტიკურად ადამიანთა გონებაში ჯერ კიდევ ცოცხლობს ის დიდი ტრაგედია, რომელიც გათამაშდა ამ ფერიონში. მეთევზეობა და მენავეობა აქ არ არის განვითარებული იმდაგვარად, რამდენადაც ეს გახლავთ დედამიწის ზღვისპირა სხვადასხვა დასახლებებში.

სწორედ ამ საშინელი კატასტროფის გამო არიან მიმოფანტულნი ატლანტის იბერები, ევროო-კავკასიურ ტომებად წოდებულნი, ზემოთ ხსენებულ და სხვა ტერიტორიებზეც.

დიახ, ბატონებო! შავ ზღვაში განისვენებს მსოფლიოს პირველი ცივილიზაციის გამავრცელებელი იბერთა ქვეყანა **ატლანტიდა**. მას მხოლოდ წყალქვეშა კვლევა სჭირდება.

სწორედ დღეს, ჩვენ, იბერო-კავკასიელები ატლანტიდელ გადარჩენილთა შთამომავლები ვდგავართ მის საფლავთან ჭირისუფლად. ეს იბერო-კავკასიელი რასის ყველა ადამიანმა უნდა იცოდეს.

ჩვენი ვალია, მსოფლიოს საზოგადოების ყურადღება მივაპყროთ აქეთ და შევეცადოთ, შავი ზღვა და სრულიად იბერო-კავკასია გამოცხადდეს მსოფლიო ნაკრძალ ტერიტორიად, რათა იგი იქცეს ფართომასშტაბიანი კვლევების რეგიონად.

ჩვენ კი, უბედურო იბერო-კავკასიელნო, გავაცნობიეროთ, რომ აფხაზები, მეგრელები, სვანები, გურულები, აჭარლები, ლაზები, ჭანები, მესხები, იმერლები, რაჭა-ლეჩხუმელები, ქართლელები, კახელები, თუშ-ფშავ-ხევსურები, ყაბარდოელები, ყარაჩაველები, ჩერქეზები, ინგუშები, ჩეჩნები, ლეკები, ქისტები, ავარელები, მთლიანად დაღესტნელები ვართ ერთი გენის, ერთი ჯიშის, ერთი წარმომავლობის მქონე, ატლანტიდელ იბერთ შთამომავლები.

დიახ, ჩვენ ვართ იბერო-კავკასიური რასის წარმომადგენლები!

ანრიდ სანაია,
დისიდენტი და ყოფილი
პოლიტპატიმარი,
2009 წლის აგვისტო

ზურაბ ქაფიანიძე: „ამერიკამ გაგვიკეთა ყველაზე მონური და უიარაღო ოკუპაცია!“

საქინფორმის სტუმარია სახალხო არტისტი, საპატიო გენერალი, აკადემიკოსი, უკრაინის საპატიო მოქალაქე **ზურაბ ქაფიანიძე.**

– ბატონო ზურაბ, რა მოგვიტანა „ამერიკულმა დემოკრატიამ“, გარდა იმისა, რომ ისტორიულ მეზობელ ქვეყანასთან ურთიერთობის გაფუჭებით მიწაწყლის დაკარგვის საფრთხის წინაშე ვდგავართ და ერთმორწმუნე მეზობელთან ურთიერთობა, ღმერთმა უწყის, რამდენი ხნით გავირთულეთ?

– უკრაინაში ექვსი წლის განმავლობაში ფილმში მიღებდნენ. ქართველობის საოცარი სიყვარული ვნახე. მერე რუსეთშიც ვიყავი. რაკი საპატიო მოქალაქეობას შევეხე, უკრაინა ამიტომაც გავიხსენე, თორემ, საერთოდ, სლავ და ქართველ ხალხს ერთმანეთი უყვართ. მეც, როგორც ქართველს, დიდ პატივს მცემდნენ. ვუყვარდი, მაგრამ ამ სიყვარულის კუთხით არ ვიარეთ – პოლიტიკის კუთხით ვიარეთ. პოლიტიკა კი ჭუჭყიანია.

– ამ პოლიტიკაში დიდი წვლილი ამერიკასა და იმ ამერიკულ კურსს მიუძღვის, რაც დღევანდელმა ხელისუფლებამ აირჩია ქართველი ხალხის დაუკითხავად. რუსეთ- საქართველოს ურთიერთობაში პოლიტიკური დაძაბულობა სწორედ მათი შეტანილია. ჩვენი უპირველესი ინტერესი კი ის არის, რაც ხალხს სჭირდება და ქვეყანას უფრო გამოადგება.

– მართალია. გვყავს საუკუნოვანი ისტორიული ძლიერი **„კარის მეზობელი“**, რომელსაც პირდაპირ ჰკრა ხელი არა ხალხმა, არამედ ხელისუფლებამ. ეს ამერიკის პირდაპირი დავალება იყო. თუ არ მოგეწონება ეს მეზობელი, კვარტალს გამოიცვლი, თუ საცხოვრებლად სხვაგან გადახვალ? რას იზამ, მაინტერესებს... ქართველმა პოლიტიკოსებმა არ იძახეს, გაუმარჯოს დამოუკიდებლობას, ძირს რუსეთის იმპერიაო?! კი ბატონო, იძახე დამოუკიდებლობა, მაგრამ გაუმარჯოს მეგობრობას, მეზობლობასაც, ძმობას გაუმარჯოს-თქო, დააყოლე. შეიძლებოდა გეყვირა – ძირს მეზობელიო? ვერ გადასახლდება... მაინც მეზობლად დარჩება შენ კი ამ მეზობელთან გაფუჭებული ურთიერთობით უნდა იცხოვრო...

– ამას იმისთვის ყვიროდნენ, რომ დიდი ფულით იმთავითვე ამერიკის ინტერესი იდო. ყველაფერი – კოდორსა და სამაჩაბლოში შეჭრაც, პროამერიკული ფრთის გეგმა იყო...

– ამერიკა ჩვენი საზიზღარი მტერია. რუსეთმა, როცა პირველად შემოვიდა და რაც 200 წლის განმავლობაში გვიმტრო, ის ვერ მოახერხა, რაც ამერიკამ 6-7 წელიწადში გააკეთა. ოსებთან ურთიერთობის აღდგენა რომ დაიწყო და დელეგაციებს აგზავნიდნენ, მათ შემოუთვალეს – ზურაბ ქაფიანიძე გამოაგზავნეთ, რაც გინდათ, დაავალეთო! ვინ გამაკარა?! – არაფრით არ ჩამრიეს. როგორც არაპოლიტიკოსმა, მეც და ბევრმა ადამიანმაც ეს ასე გავიგეთ, რომ საქართველოს ნებისმიერი გზით უნდა გაგვეგდო რუსეთის სამხედრო ძალა და ამერიკის სამხედრო ძალით ჩაგვენაცვლებინა. საუბარიც **„ნატოში“** შესვლით ტერიტორიების დაბრუნებასა და დასავლეთიდან წამოსულ **„ყველა სიკეთეზეც“** აქედან დაიწყო. თურმე არც ტერიტორიების დაბრუნებას ფიქრობდა ვინმე და ჩვენი ახალგაზრდებიც – საქართველოს მომავალი, ამერიკის ინტერესებს უნდა შეეწიროს...

– ასეა! აბა, სხვა რაში სჭირდება ამერიკას „ნამცეცა საქართველოს“ ძალა, რაში უნდა დაეხმარო?

– ვფიქრობ, ორ სუპერსახელმწიფოს შორის კავკასიისთვის ბრძოლა მიმდინარეობს. თუმცა, რამდენსაც უნდა ეცადოს ამერიკა, ვიძახოთ – **„ევროპელები ვართო“**, კულტურულად, მენტალურად, რელიგიურად და ეთნიკურადაც კი, ბევრად მეტი გვაქვს საერთო რუსეთთან, ვიდრე ამ ყველაფრით ჩვენთვის სრულიად უცხო და შორეულ ამერიკასთან. ისტორიულადაც კავკასია რუსეთთან უფრო ახლოს იყო, ვიდრე ამერიკასთან. გავიხსენოთ, თუნდაც, ლერმონტოვი, გრიბოედოვი, ჩაიკოვსკი... დღეს ეს გეოპოლიტიკის საკითხია. ამერიკას დასჭირდა და მოისურვა, ხელში ჩაიგდოს კავკასია როგორც მსოფლიოზე კონტროლის ერთ-ერთი ბერკეტი. არაფერს ეკითხება იქ მცხოვრებ ხალხს. ახლად გაცხადებული **„კავკასიის ევროკავშირის“** შექმნითაც, ჩანს, ამერიკის მითითებით ხელისუფლებას რუსეთისთვის, როგორც იტყვიან – **„под боком“,** კავკასიის სახით **„ახალი ბომბის“** ჩადება სურს, წამყვანი როლი კი, ისტორიულად, საქართველომ უნდა შეასრულოს...

– მართალი ბრძანდებით. არსებობს ასეთი გამონათქვამი: „თუ გინდა, რომ ძალაუფლებას ფლობდე, საქართველო უნდა დაიპყრო, ხოლო თუ მსოფლიოზე ბატონობა გსურს – კავკასია“. მე ერთი რამ ვიცი: რუსეთმა აფხაზეთი და სამაჩაბლო იმისთვის მოიგონა, რომ ეს ქართველები არ დაეკარგა და რადაცნაირად ახლოს ჰყოლოდა. ის სხვანაირად ვერ გაგაგებინებდა – მეგობრები ვიყოთო. ვერ გაიგეს ეს ამ პოლიტიკოსებმა.

რუსეთის ბოლო დროის პრეზიდენტი ელცინიც ხომ ჩამოვიდა? არ გითხრა – კი ბატონო, აფხაზეთიცა და სამაჩაბლოც თქვენიაო?! რატომ გავარდვიეთ ეს გზა? რატომ არ გავყევით ამ მეგობრობის გზას? იმიტომ, რომ ამერიკა ჩაერია, დიდი ფული დახარჯა?! ბევრი, ვისაც რუსეთის დაშლა ახარებს, არ აცნობიერებს, რომ დაშლილი რუსეთის პირობებში, საქართველო ისევ მუსლიმანური ქვეყნების გარემოცვაში მოექცევა; იმავე მდგომარეობაში აღმოჩნდება, როგორც ერეკლე მეორეს დროს იყო – ეთნიკური გადაშენება-გადაგვარების პირას.

გავხდით **„მაშასადამე ევროპელები“**, მაგრამ თუ მაინცადამაინც იმპერიაზე ვსაუბრობთ, რა მნიშვნელობა აქვს საქართველოსთვის, რომელ იმპერიაში იქნება? რა შეიცვლება რუსების გაყრით, მათი ბაზების გაყვანით და ამ რუსული ბაზების ამერიკულით ჩანაცვლებით, თუ ცნობიერება გაგვინადგურდა? ქართველი ამ ამერიკულს ვერა და ვერ იღებს. ჩვენი ცნობიერება რუსულ მართლმადიდებლობასთან მაინც ბევრად მეტად თანხვედრაშია, ვიდრე ამერიკულ პროტესტანტიზმსა და სექტანტიზმთან. სად არის ან ეს ჩვენი ნანატრი დამოუკიდებლობა?.. რუსული, რომელიც აკრძალეს, ჩვენი მშობლიური არ ყოფილა, მაგრამ ახლა ლამის ქართულადაც აღარ გვალაპარაკებენ. ენის ასეთი ამერიკანიზაცია ერის გადაშენება და წაშლა არ არის?

– სწორედ მაგის გაკეთება უნდათ ამერიკელებს. ამიტომ შემოგვიყვანეს ის ათასი კახპა მასწავლებელი და კიდევ აპირებენ შემოყვანას. ყველა ენას გაუმარჯოს, მაგრამ ინგლისური ენა – ქართულთან?! გაგონილა?!

– რომელი წინაპარი გვყავდა შოტლანდიელი ან ბრიტანელი, აუცილებლად ინგლისურად რომ ვისაუბროთ?

ინგლისურად იმიტომ უნდა ილაპარაკო, რომ შენი გადაშენება უნდა ამ ამერიკას. ვეღარ უნდა გაიგო?

– ბატონო ზურაბ, სულ სინგაპური გვესმის, სადაც სახელმწიფო ენად ლამის ორმოცი ენაა აღიარებული. ამას პრეზიდენტი კოსმოპოლიტიზმით ხსნის. რუსთაველზე, ვაჟაზე დიდი კოსმოპოლიტი ბევრ ერს არ ჰყავს. ამერიკამ ტოლერანტობა და რელიგიური შემწყნარებლობა საქართველოს როგორ უნდა ასწავლოს?

– ჯოყოლა და ზვიადაური გაიხსენეთ, **„ვეფხისტყაოსანი“** გაიხსენეთ, სადაც ტარიელი, ავთანდილი და ფრიდონი სხვადასხვა ეროვნებისა და ქვეყნის ბიჭები არიან, მაგრამ კაცები იყვნენ!

„ვეფხისტყაოსანი“ ბიბლიის კალკია და სიყვარულიც უფლის სიყვარულს გულისხმობს. განათლების პირველმა პროამერიკულმა მინისტრმა ამ მსოფლიო დონის პოემას, ქართველი ერის საგანძურს, ნაგავში გადასაგდები უწოდა. ქვეყანა საკუთარ ისტორიასა და წარსულს **„ნაგავში რომ გადაუძახებ“**, ან მომავალზე ამბობ უარს, უძველესი ცივილიზაციის, ტრადიციის ერი არსებობას წყვეტ, ან ეგუები იმას, რომ ნელ-ნელა გადაშენდები და **„ამერიკანიზებულ ზომბად“** იქცევი?!

აი სწორედ ეგ უნდათ. მსოფლიოს მკვლევარები წერენ, რომ წერა-კითხვაც, ლურსმული დამწერლობაც იმ შუმერების შექმნილია, ვინც დღეს ქართველები ვართ. ეს ჩვენ მეცნიერებათა აკადემიაშიც დავადგინეთ. ოთხჯერ გავაგზავნეთ პენსილვანიისა და ჩიკაგოს ინსტიტუტების შუმეროლოგებთან ამის თაობაზე. ათი წელი ვუგზავნეთ წიგნები, სტატიები, მაგრამ არანაირი გამოხმაურება არ მოჰყოლია.

– ამერიკას, როგორც ქვეყანას, სხვა დიდი ისტორიისა და ცივილიზაციის მსგავსი არ გააჩნია. ამიტომ, ალბათ, ურჩევნია, ასეთი სხვასაც არ ჰქონდეს.

– ვერაფერს შეცვლიან! აქ რომ ჩამოდიან, ხვდებათ მეგობრობა, სტუმართმოყვარეობა და ნიჭიერება. აღნიშნავენ, ასეთი არსად გვინახავსო. ვერც ნახავენ, იმიტომ, რომ იქ ყველა თავისთვის ჭამს და სვამს.

– გამოთქმა გვაქვს: „სადაც წახვალ, იქაური ქუდი დიხურე!“ ყველას ადათ-წესებს, ტრადიციას, ისტორიას ანგარიშს ვუწევთ. ჩვენთან ვინც ჩამოვიდა, განსაკუთრებით, რაც „ევროპელები გავხდით“, ყველა „თავისი ქუდის დახურვას“ ცდილობს ჩვენთვის.

– რას ამბობთ, რა ევროპელები?! ეს არის საერთაშორისო დემოკრატია? ზეზვა და მზია – პირველყოფილი ადამიანები, აზიის ტერიტორიაზე აღმოაჩინეს და თურმე ევროპელები ვყოფილვართ? აზიაა ეს?!. ასეთი ბრიყვი როგორ უნდა იყო, რომ აზიის ტერიტორიაზე **„პირველყოფილი ევროპელი“** აღმოაჩინო...

– ბატონო ზურაბ, ასეთი პოლიტიკაა – ყველაფერი დასავლეთიდან უნდა იწყებოდეს! ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მართლმადიდებლებს ტაძრებში საკურთხეველი გვაქვს აღმოსავლეთით და მზეც აღმოსავლეთიდან ამოდის. საუკუნოვან გენეტიკას ხომ ვერ გამოვიცვლით?

– ასე თუ გაგრძელდა, კიდეც გამოგაცვლევინებენ.

– ეს იმ შემთხვევაში, თუ დაგვიპყრეს და ხელები ჩამოვუშვით...

– დაპყრობილიც ხარ და მეტიც! ამერიკამ გაგიკეთა ყველაზე მონური და უიარაღო ოკუპაცია. მაშინ, როდესაც რუსეთი სალაპარაკოდ კარზე იყო მომდგარი, ამერიკამ ფოთში სამხედრო გემი შემოგიყვანა. სპეციალურად გააგიჟა და გააღიზიანა რუსეთი. ჩვენს ხარჯზე თავისი საქმე გააკეთა. ან თურქეთს რა უნდა ევროპის დემოკრატიულ ქვეყნებში? სელჩუკი იქ ლამის ერთი პროცენტი ცხოვრობს... ხეთები, კაპადოკიელები, ჭანები, ლაზები თითქმის ერთი მოდგმა ხალხია. მათ ენაც, გვარიც, სახელიც, რელიგიაც და დამწერლობაც წაართვეს. 1994 წელს ხეთებმა თქვეს – არ ვართ თურქებიო და იმ წუთას ჩააჩუმეს. ეს არის დემოკრატია?!

რომელ დემოკრატიაზე ვსაუბრობთ, როდესაც მართლმადიდებლურ ქვეყანაში რელიგიური მრწამსისთვის 8-8 წლით ხალხს აპატიმრებენ... აშშ-ის წინა ელჩი ტეფტი აცხადებდა, რომ საქართველოში მართლმადიდებლობას სხვა რელიგიაზე მეტი უფლებები არ უნდა ჰქონდეს. ფაქტობრივად, ამას ქადაგებს პრეზიდენტიც. არსებობს ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის დადებული კონკორდატი. ჩვენმა სარწმუნოებამ ისტორიული როლის გამო შეიძინა ეს უპირატესი სტატუსი. სწორედ იმ მანკიერებებს კრძალავს, რაც დასავლეთის სახელით შემოდის – ბიძაშვილ-მამიდაშვილის ქორწინებასა და უზნეობებს. ცხოველებშიც კი ერთი დედის ლეკვებს, გენეტიკური სიმახინჯის გამო, არ აჯვარებენ. ჩვენ დასავლურობის სახელით ეროვნებაც, მამის სახელიც წაგვართვეს... ახლა უკვე ენის წართმევაც სურთ...

ეგ არის ერის გათახსირება. შვიდ თაობამდე დაქორწინება სწორედ იმიტომ არ შეიძლება, რომ გენი არ წახდეს. ერს თუ სპობ და კლავ, ის უნდა გაათახსირო და მოსპო.

– ეი. იქამდე მივედით, ბატონო ზურაბ, რომ ამერიკული პოლიტიკით საქართველოს გამიზნულად სპობენ?

– რა, აქამდე ვერ გაიგე? აბა, ამერიკას მეტი რისთვის უნდიხარ? ყველამ იცის, რომ გამიზნულად გისპობს საქართველოს. აღარ მახსოვს, ვაჟასია, თუ ხალხური მოთხრობაა – მტერმა იძლიერა, იძლიერა და ხალხმა ლპობა დაიწყო. გადაგვარებამდე მივიდა ერი. ერთმა ბიჭმა, ხალხის გამოფხიზლების იმედით, მოუწოდა, გამოვიდა და მარტო შეაკვდა მტერს. ამან იმოქმედა და ხალხი მართლა გამოფხიზლდა!..

ესაუბრა ბაია ამაშუკელი,
საინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო „საქინფორმი“

როგორ მოვიგოთ არჩევნები

(ანუ პოლიტიკური იმიჯის ფორმირება საარჩევნო კამპანიის პერიოდში)

ვაგრძელებთ პუბლიკაციებს ბეჭდვას ახალგაზრდა ქართველი პოლიტოლოგის ზურაბ ჯამბურიას ამავე სახელწოდების წიგნიდან.

პოლიტიკური იმიჯის ფორმირება საარჩევნო კამპანიის დროს (უცხოეთის გამოცდილება)

თანამედროვე, ცივილიზებულ მსოფლიოში, წარმატების მიღწევის საქმეში დიდი მნიშვნელობა ენიჭება პოლიტიკოსის იმიჯს, რადგან იმიჯს, როგორც კომუნიკაციის საშუალებას ამომრჩეველთა მოზიდვასა და მასობრივი შეგნების **„დაპყრობა“-„დამორჩილების“** საქმეში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. საარჩევნო კამპანია წარმატებული ვერ იქნება სანამ საარჩევნო სუბიექტის იმიჯის სწორად ფორმირებას ყურადღება არ მიექცევა, სანამ არ იქნება გამოყენებული პოლიტკომუნიკაციური მეთოდ-ხერხები, რომელიც იმიჯის შესაქმნელად გამოიყენება, მანამდე წარმატების შანსი მინიმალურია. ამიტომ კანდიდატის (პარტიის) იმიჯის შექმნა აუცილებლობას წარმოადგენს. მაგრამ ისმის კითხვა, როგორ იქმნება იმიჯი? ვინ ქმნის იმიჯს? და ა.შ.

თანამედროვე პერიოდში, საარჩევნო კამპანიის ორგანიზებისა და წარმატების მიღწევის საქმეში, დიდ როლს ასრულებენ დაქირავებული იმიჯმეიკერები (იმიჯის შემქმნელები), რომლებიც მეცნიერულ რეკომენდაციებს აძლევენ კანდიდატებს და შეიმუშავებენ საარჩევნო სტრატეგიასა და ტაქტიკას, ეფექტური საარჩევნო კამპანიის ჩასატარებლად.

თუმცა იყო დრო, როცა საარჩევნო კამპანიას მართავდა და **„აწარმოებდა“** პარტია. მაგრამ ვითარება შეიცვალა, საარჩევნო სუბიექტები (კანდიდატი, პარტია) ამჯობინებენ თავიანთი საარჩევნო კამპანია, საკუთარ გუნდში მოზიდული იმიჯმეიკერების დახმარებითა და რეკომენდაციების გათვალისწინებით წარმართონ, რომლებიც მხოლოდ მათზე მუშაობენ. ეს კი ხელს უწყობს ინფორმაციის კონფიდენციალურობას პოლიტიკური ბრძოლის მეთოდებისა და საშუალებების შესახებ.

საარჩევნო კამპანიის დროს, კანდიდატის იმიჯის შექმნა მეტად რთული და საფრთხილო საქმეა, ამიტომ აუცილებელია ამ პროცესში უმცირესი დეტალის გათვალისწინებაც კი: კვალიფიციური იმიჯმეიკერების მოწვევა, იმიჯის შექმნის დრო და შესაბამისი მეთოდ-ხერხების გამოყენება, ამომრჩევლებისადმი გაკეთებული განცხადების შინაარსი და ა.შ.

იმიჯმეიკერები კანდიდატის (პარტიის) იმიჯს აყალიბებენ სპეციალურად (მიზანმიმართულად) გავრცელებული ინფორმაციის შინაარსზე და კომუნიკაციურ ნაკადებზე კონტროლის საშუალებით. კანდიდატი დაინტერესებულია თავისი იმიჯის კონსტრუირებით, რამეთუ ამ შემთხვევაში კანდიდატის იმიჯს შეიძლება ის თვისებები დაემატოს, რომლებიც შეძლებენ საზოგადოების პოზიტიური დამოკიდებულების გაძლიერებას კანდიდატისადმი. ამიტომ, ეს მიმართულება იმიჯმეიკერთა მთავარი მიმართულება ხდება.

იმიჯმეიკერები იმიჯის შექმნის პროცესში, ახდენენ კანდიდატის ამა თუ იმ თვისებებისა და დირსებების კონსტრუირებას, რითაც იგი საზოგადოებისათვის მიმზიდველი ხდება, რომელიც პოლიტიკური ამოცანის გადაჭრის, არჩევნებში გამარჯვების საშუალებას იძლევა.

იმიჯმეიკერებმა უნდა მოახდინონ კანდიდატის (პარტიის) ინდივიდუალიზაცია – იგი უნდა იყოს ცნობადი და გამორჩეული კონკურენტებისგან ამომრჩეველთა თვალში. რომლის შემდეგაც უნდა მოხდეს მისი აქცენტუაცია, ანუ იმიჯმეიკერმა კანდიდატის იერსახეში ახალი მახასიათებლები და შტრიხები უნდა შეიტანოს, რომელიც წინ წაწევის მეთოდის მეშვეობით იდეალის სახით წარმოაჩენს კანდიდატს და ხაზს გაუსვამს მის უპირატესობას კონკურენტებთან შედარებით. ამისათვის უნდა ჩატარდეს სპეციალური კამპანია, რომელიც კანდიდატის შტრიხების და უპირატესობის გაგების უზრუნველყოფას ემსახურება.

იმიჯის ფორმირებისას გამოიყოფა კანდიდატის მახასიათებლები. მაგალითად, პირდაპირობა, შრომისმოყვარეობა, გულწრფელობა, სიძლიერე, თავდაჯერებულობა, გამბედაობა და ა.შ. იმიჯმეიკერები კანდიდატის იმ მახასიათებლებს აძლიერებენ, რომელიც უფრო ძლიერ ზემოქმედებას მოახდენს ამომრჩევლებზე. აქ მთავარია მახასიათებლებისა და უპირატესობების გადატანა, რადგან განსხვავებულ სიტუაციებში იმიჯისადმი განსხვავებული მიდგომაა საჭირო. მაგალითად, ტელეეკრანზე, რომლის დროსაც უპირატესობა ენიჭება, იმას თუ, როგორ გამოიყურება კანდიდატი, ვიდრე მისი საუბრის შინაარსს. ამიტომ იმიჯმეიკერები საარჩევნო კამპანიის სცენარში საგულდაგულოდ ამუშავებენ იმიჯის უმცირეს დეტალებსაც კი: სახის გამომეტყველება, ხმის ინტონაცია, კოსტიუმი, ჟესტები, ვარცხნილობა. ყოველივე ამის გათვალისწინებას, უდიდესი მნიშვნელობა აქვს აუდიტორიის **„მოსახიბლად“**. მაგალითად, იმიჯმეიკერები დიდხანს ფიქრობდნენ ჰელმუტ კოლის ვარცხნილობის ტიპზე, სანამ არ შეჩერდნენ **„გადატმასნილზე“,** რომელმაც უდიდესი გავლენა მოახდინა გერმანელ ამომრჩევლებზე, რადგან ამ ტიპის ვარცხნილობით იგი წარმოჩინდა, როგორც სანდო და საიმედო ადამიანი.

იმიჯმეიკერები, სანამ კანდიდატი წარსდგება ამომრჩეველთა წინაშე, სწავლობენ ამ უკანასკნელთა მოტივაციას, მის სოციალურ, კულტურულ, პროფესიონალურ სტატუსს, ფსიქოლოგიურ, პიროვნულ, ეროვნულ, რელიგიურ თავისებურებებს. ყოველივე ამის გათვალისწინებით ამუშავებენ ამომრჩევლებისთვის მოსაწონ კანდიდატის ქცევის მანერას.

პოლიტიკური იმიჯის მასობრივ შეგნებაზე ზემოქმედების უნარი დამოკიდებულია, იმაზე თუ როგორ ჩამოაყალიბებს მას იმიჯმეიკერი, როგორი იქნება მისი საიმიჯო სტრატეგია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ კანდიდატის იმიჯის მასობრივ შეგნებაზე ზეგავლენის უნარის სიძლიერე დამოკიდებულია არა მხოლოდ კანდიდატზე, არამედ იმიჯმეიკერის შესაძლებლობებზე, მის მიერ სუტუაციის სწრაფად აღქმის და დამუშავების უნარზე, რადგანაც იმიჯმეიკერები ქმნიან უფრო ნათელ **„რეალობას“,** ვიდრე ეს სინამდვილეში არის. ამით ისინი ცდილობენ კანდიდატით დაინტერესონ საზოგადოება და გაზარდონ მისი ცნობადობის ხარისხი.

იმიჯმეიკერებს აინტერესებთ, როგორ აისახება ესა თუ ის მოვლენა მასმედიაში, სადაც კანდიდატის ვიზუალური სახე წარმოიშობა. იმიჯი, მასობრივ შეგნებაზე ზემოქმედებას ახდენს რამოდენიმე არხის მეშვეობით. დიდი მნიშვნელობა აქვს ვერბალობას (სიტყვიერი), მაგრამ ყველაზე მთავარი მაინც ვიზუალობაა, რადგან იგი დამატებით ახსნას არ მოითხოვს და კანდიდატის აღქმადობას უფრო მეტად აადვილებს. ამიტომ, იმიჯმეიკერები კანდიდატის **„ვიზუალიზაციას“** დიდ ყურადღებას უთმობენ. მაგ. ინგლისის პრემიერ-მინისტრი ტონი ბლერი, ინგლისის პრესის მიერ დემონსტრირებული იყო განსხვავებულ ვიზუალურ ჩარჩოებში, რომელიც გათვლილია სხვადასხვა ტიპის მკითხველისთვის: ბლერი რეზინის ჩექმებში – სოფლის მცხოვრებლებისთვის, ბლერი გიტარით – ახალგაზრდებისათვის, ბლერი ტაძარში – მორწმუნეთათვის, ბლერი ლუდის ჭიქით – ინგლისელების ყველაზე პოპულარული გაზეთის **„სან“**-ის მკითხველებისთვის.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)



ბერია XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი

სერგეი კრემლიოვი

თარგმანი როლანდ ჯალაღანიასი

შემდეგ... ზერნოვი 1964 წელს გარდაიცვალა და ახლა მას უკვე ვერავინ ვეღარასოდეს დაუსვამს ვერავითარ შეკითხვას: მართლა მოუქნია თუ არა ბერიას კაბინეტში მასიური სასანთლე. ზერნოვის ეს **"მოგონება"** კი მოყვანილია ზავენიაგინის წიგნში **"ცხოვრების მატიანე"**, რომელიც 2002 წელს გამოიცა (ზავენიაგინს სიკვდილიდან 47 წლის შემდეგ(!) – იგი ხომ 1956 წელს გარდაიცვალა, წიგნი კი დასტამბა რომელიღაც უცნობმა გამომცემლობა **"პოლიმედიამ"**, მწერალ მ. ვაუნოვის რედაქტორობით). და ეს უკანასკნელი წიგნი შეიძლება სანიმუშოდაც კი ჩავთვალოთ ლავრენტი ბერიასათვის ლაფის უხვად მისხმის საქმეში, იმდენად გულისამრევადაა წარმოჩენილი ეს **"მართლაც ნაძირალა, არაკაცი, და ავანტურისტი"** ლავრენტი ბერია აბრამ (!) ზავენიაგინის ფიგურის ფონზე.

სასანთლესთან დაკავშირებული ამბავი აღნიშნულ წიგნში მოყვანილია ვინმე მიხეილ რუდენკოს საგაზეთო წერილის **"ატომურ გოლგოთაზე ასვლა"** – მიხედვით, რომელიც გაზეთმა **"გუდოკმა"** (**"საყვირი"**) (№160) გამოაქვეყნა 1999 წლის 27 აგვისტოს.

რა გაეწყობა, ჩვენც უნდა გადავხედოთ გაზეთის აღნიშნულ ნომერს, რომლის პირველ გვერდზე იწყება სტატია სათაურით **"გუდოკის" მიერ მოხსნილია საიდუმლოების გრიფი"** (წერილი გრძელდება მესამე გვერდზე). წერილის მანერასა და აზრების განვითარებაში თვალშისაცემია პუბლიკაციის ავტორის არაკეთილსინდისიერება – ფაქტობრივი მასალების არაზუსტი ინტერპრეტაცია და აშკარა ლიტერატურული **"ხალტურა"**: ნაწარმოებში ზერნოვი გამოყვანილია როგორც ქარხანა **"ურალმაშის"** გენერალური დირექტორი, შჩოლკინი კი წარმოდგენილია როგორც მე-11 საკონსტრუქტორო ბიუროს მთავარი გამომცდელ-სპეციალისტი და ა.შ., რაც სრული აბსურდია.

რუდენკო წერს:

"1950 წელს საქმე მიდის შემდგომი (პირველის შემდეგ, რომელიც ჩატარდა 1949 წელს) ატომური ბომბის გამოცდამდე, უფრო ზუსტად კი, ზედიზედ ხუთ აფეთქებამდე... და ხდება ყველაზე დიდი საშინელება – პირველი ბომბი არ ფეთქდება..."

რეალურად, 1950 და 1952 წლებში ბომბების ნატურალური გამოცდა საერთოდ არ ჩატარებულა. რეალური ქრონოლოგია ასეთია: მეორე საბჭოთა ატომური ბომბის გამოცდა შედგა 1951 წლის 24 სექტემბერს (**РДС**-2-ით განხორციელდა მიწისზედა აფეთქება), მესამე – 1951 წლის 18 ოქტომბერს (**РДС**-3-ის საჰაერო აფეთქება). და შემდეგ 10.08.53 წელი (პირველი წყალბადის ბომბის **РДС**-6**с**-ის საჰაერო აფეთქება); 23.08.53 (**РДС**-4-ის საჰაერო აფეთქება) და სერია სამი მოდიფიკაციით **РДС** – 03.09.53, 08.0953 da 10.09.53 (ყველა – საჰაერო აფეთქება).

ზემოთჩამოთვლილი ყველა გამოცდა წარმატებული გამოდგა (საბჭოთა ატომური ბომბი პირველად არ აფეთქდა 1954 წლის 19 ოქტომბერს), გარკვეული მიზეზების გამო (დასველების) არ ამუშავდა **РДС**-9-ის მუხტი, რომელიც **Т-5** საზღვაო ტორპედოზე იყო დაყენებული).

მთლიანად კი, გაზეთ **"გუდოკში"** გამოქვეყნებული წერილი არაკომპეტენტურობის თვალნათელი მაგალითია, ბერიას მიმართ მასში გამოქვეყნებული ინსინუაციების (რა თქმა უნდა – **"ინსინუაციების"**) გამო, და რაღა თქმა უნდა, ზერნოვთან დაკავშირებული ინსინუაციების გამოც, რადგან იგი გამოყვანილია ნევრასტენიკად, რომელსაც შეუძლია ხელი აღმართოს ხელმძღვანელზე. ეს ყოველივე, რბილად რომ ვთქვათ, სიმდაბლე და ნაძირალობაა. რა თქმა უნდა, **"სასანთლე"** მოხერხებულ პასაჟს ქმნის მუცლითმეზღაპრე წვრილფეხა თაღლითი მწერლებისათვის, რომელსაც დიდი სურვილი აქვთ, რომ შებღალონ რეალობა **"ატომურ"** ეპოქასთან დაკავშირებული ჭორებით.

აი, ნამდვილი ფაქტები...

გამორიცხულია, რომ 1949 წლის 12 თებერვალს ზერნოვი მოსკოვში ყოფილიყო, იმიტომ, რომ არსებობს 1949 წლის 12 თებერვალს ზერნოვის მიერ ვანნიკოვისათვის მიწერილი წერილი, სადაც იგი გულისწყრომას გამოთქვამს **"ობიექტზე"** შექმნილი კრიმინალური სიტუაციის გამო. წერილის დასასრულს ზერნოვი აღნიშნავს:

"ამ საკითხზე მე უკვე სამჯერ გავუგზავნე მოხსენებითი ბარათი ამხ. ლავრენტი ბერიას, მაგრამ გადაწყვეტილება ჯერ კიდევ არ სჩანს, ამიტომ, არ ვიცი, მოხსენდა თუ არა ყოველივე ამის თაობაზე ამხანაგ ბერიას".

მკითხველის ყურადღებას მივაქცევ ზერნოვის დაჯერებულობას იმაში, რომ თუ აღნიშნული საკითხის თაობაზე ბერიას დროულად მოხსენდებოდა, იგი ყველაფერს გააკეთებდა საიმისოდ, რომ ეს დიდი საქმე არ დამუხრუჭებულიყო. ნეტავი ყველას ჰყავდეს ისეთი ქვეშემრდომი, რომელიც ღრმადაა დარწმუნებული მისი უფროსის კომპეტენტურობასა და დიდ ორგანიზაციულ შესაძლებლობებში!

მაგრამ, ეს კიდევ არ არის ყველაფერი, ძვირფასო მკითხველო!

რუდენკოს სტატიაში (**ვაუნოვი** თავის ბიბლიოგრაფიაში მას **"რედენკოდ"** მოიხსენიებს) არ არის მოხმობილი ის წყარო, საიდანაც აღებულია ზერნოვის **"მონათხრობი"**. სასანთლის ისტორია აქ ისეა მოყვანილი, თითქოს რუდენკო თავად ესაუბრა ზერნოვს, რაც, რა თქმა უნდა, არასოდეს მომხდარა.

მაგრამ, საინტერესოა, საიდან ამოწუწნა რუდენკომ ეს **"სენსაცია"**?

ჟურნალ **"ინჟინერის"** 1990 წლის №10 და №12 და 1991 წლის №1-ში გამოქვეყნდა ი.კ. ჩერნიშევის ნაწარმოების **"ჩვენ მხოლოდ ხუთი წელი მოგვცეს"** საჟურნალო ვერსია, რომელზეც შემდეგ ხელმოწერა გამოაცხადა იუჟვსკის გამომცემლობა **"ალფავიტმა"**.

წიგნის ავტორი, 1967 წლის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, შრომის წითელი დროშის ორდენის ორგზის კავალერი, 1954 წელს **"არზამას-16"**-ში მუშაობდა მე-11 საკონსტრუქტორო ბიუროში, შემდეგ კი გადაყვანილ იქნა ბირთვული იარაღის წარმოების ურალის ცენტრში მდებარე №1011 სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, რომელიც განთავსებული იყო ქალაქ ჩელიაბინსკში (ამჟამად – რუსეთის ფედერაციის ატომური ცენტრის ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი). მისი, როგორც სწავლული ფიზიკოსის რენომე ეჭვს არ იწვევს. მაგრამ ჩერნიშოვის მწერლურმა დებიუტმა ჭეშმარიტებას უფრო დიდი ზიანი მოუტანა, ვიდრე სარგებლობა – ბევრი გამოგონილი ამბავი ჩასვა წიგნში და სხვების მიერ შეთხზული ამბებიც ყოველგვარი კრიტიკული ანალიზის გარეშე გამოიყენა.

მაგალითად, მან მეტად კოლორიტულად აღწერა გენერალ მეშიკის პიროვნება, რომელსაც არასოდეს შეხვედრია სიცოცხლეში: **"...მუდამ უკონწიალებდა წელზე ჩამოკიდებულ ბუდეში ჩაკვეხებული მაუზერი..."** (გენერალი მაუზერით?!) და ა.შ. და, რაც მთავარია, ეს ხდება იოსებ სტალინთან გამართულ თათბირზე, რომელსაც მეშიკი არც არასოდეს დასწრებია... სტალინთან გამართულ მეორე მითიურ **"თათბირზე"** იური კირილეს ძე ჩერნიშოვმა უკვე **"მიიტანა"** პლუტონის ბურთულა, შემდეგ კი საკუთარ წიგნში **"გულახდილად"** უზიარებდა კოლეგებს ამ თათბირის წვრილმანებს. მთელის პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ამგვარ რამეს ადგილი არ ჰქონია. ამიტომ, ვგმობ რა ყოველივე ამას, ვიმეორებ, რომ თუნდაც მხატვრულ ჭრილში გადაწყვეტილი ნაწარმოები არ უნდა იყოს გადაჭედილი თითიდან გამოწოვილი და უნიჭოდ მოგონილი, ბუნებაში არარსებული, ამბებით.

სამწუხაროდ, რუდენკო-რედენკოებმა ფიზიკოსის მიერ მოწოდებული თავისუფალი თემა დოკუმენტურ საფუძვლად მიიღეს და **"წმინდა წყლის სიმართლედ"** მიასაღეს მკითხველს. მე ყოველივე ამას იმიტომ მოგითხრობთ, პატივცემულო მკითხველო, რომ ჩერნიშოვის მიერ სასანთლეებთან დაკავშირებული ამბავი აღწერილია ასეთნაირად:

"ატომური ბომბის საცდელ აფეთქებამდე ცოტა ხნით ადრე... ლავრენტი ბერიამ ბრალი დასდო ზერნოვს უპასუხისმგებლობაში და მეცნიერებისა და ინჟინრების მიმართ არასაკმარის მომთხოვნელობაში... გაცეცხლებულმა ბერიამ ფეხები დააბაკუნა პარკეტზე. ზერნოვს სახეზე თანდათან ერეოდა სიჭარხლე და მოთმინებას კარგავდა...

შემდეგ, როცა ზერნოვმა თავი ვეღარ შეიკავა, იგი დაიხარა და უნებლიე მოძრაობა გააკეთა, რათა მაგიდიდან აეღო მძიმე პრეს-პაპიე. მოულოდნელად კარის ზღურბლზე გამოჩნდა ორი ზორბა ტანის მცველი, რომელთაც ბერიამ გამოუძახა საიდუმლო ღილაკით (კიდევ კარგი, რომ არა "ატომური ღილაკით"). მათ სიტყვის უთქმელად გაიწიეს ზერნოვისაკენ. რამდენიმე წამის შემდეგ, როცა საკუთარ უსაფრთხოებაში დარწმუნდა, ბერიამ ხელი დაუქნია თავის მცველებს: "წადით, ჯერ არ მჭირდებით... და შემდეგ კბილებში გამოსცრა – "დაველოდოთ შედეგებს..."

როგორც ჩანს, რუდენკომ წაიკითხა ჩერნიშოვის მიერ შეთხზული ამბები და კიდევ უფრო **"გაამხატვრულა"** კანიბალი-მონსტრის მორიგი **"ბოროტმოქმედება"** და, ზედმეტი დამაჯერებლობისა და შთამბეჭდაობისათვის დაუმატა მას **"პენსნე"** და **"ოქროსსახელურიანი ბრაუნინგი"**... ამრიგად, არც ჩერნიშოვი ეყრდნობა რაიმე კონკრეტულ წყაროს, თუმცა, შთამბეჭდავი იდუმალებით უყვება მკითხველს საბჭოთა ატომურ საქმეებთან დაკავშირებულ ბატალიებზე.

მაგრამ, რა უნდა მოკითხო მწერლობით გართულ მეიარაღე ჩერნიშოვს, როცა სხვები ბევრად უარესს სჩადიან! მაგალითად, ანტიბერიასეული პოლიტიკური პარანოის უმაღლეს მწვერვალად შეიძლება ვაღიაროთ პროფესორ გოლოვინის სტატია **"კულმინაცია"**, რომელიც გაზეთმა **"ტრუდმა"** გამოაქვეყნა 1990 წლის 15 აპრილს, აგრეთვე, მისი სხვა პუბლიკაციებიც. გოლოვინი შეიარაღების ოსტატი არაა, მაგრამ ცნობილი ფიზიკოსია, რომელიც თავის დროზე კურჩატოვთან მუშაობდა. და, რაც ყველაზე სამწუხაროა, მისი მონაჩმახისა მკითხველებს ბრმად სჯერათ!

მათგან ძალიან შორს არც მომწერლო ჟურნალისტი სტანისლავ პესტოვი წასულა, თავისი **"ცნობილი"** წიგნით **"ბომბი. ატომური ჯოჯოხეთის საიდუმლოებები და ვნებები"**, რომლის ვრცელ ანოტაციაში ნათქვამია, რომ **"ავტორი მკითხველისათვის საყვარელ დეტექტიურ ჟანრში** (არ ვიცი, ეს რაღა არის – ს.კ.) **შთამბეჭდავად და ამაღელვებლად გადმოგვცემს საბჭოთა კავშირის მიერ ატომური ბომბის შექმნის უაღრესად საინტერესო ისტორიას"**.

პესტოვიც ახდენს იგორ გოლოვინის ნაწარმოების ციტირებას, რომელიც თავისი შეხედულებისამებრ გვიყვება ჭორს იმის თაობაზე, თუ როგორ უჩვენეს ზერნოვმა, კურჩატოვმა და ხარიტონმა **"პლუტონის ბურთულა"**, რომელიც თითქოს იქ **"ზარდახშით"** მიიტანეს! ყველაზე თავშესაქცევი კი ისაა, რომ ზოგი მომენტის ციტირებისას თვით პესტოვიც ვერ მალავს ირონიას და აკეთებს ავტორისეულ შენიშვნებს **"ამ აბზაცში** (სამწუხაროდ, ასეთი აბზაცები წიგნში ძალიან ჭარბობს) **საკმაოდ ბევრია სისულელეები და დამახინჯებული აზრები"**.

მაგრამ მოგვიანებით პესტოვი წერს, რომ თითქოს ბერია ხშირად დუდღუნებდა ცხვირში: **"ჯერ იმუშაონ კურჩატოვმა და მისი გუნდის წევრებმა, ნუ ავაფორიაქებთ, საქმეს რომ მორჩებიან, მათ დახვრეტას ყოველთვის მოვასწრებთ..."**, რომ წინასწარ იყო შემდგარი **"ხალხის მტრების"** სია, რომელსაც ლავრენტი ბერიამ კონკრეტული გვარების გასწვრივ საკუთარი ხელით მიაწერა: **"დაიხვრიტოს"**, **"დაპატიმრებულ იქნას"**, **"მიესაჯოს გადასახლება"** და ა.შ. (მართლაც სასაცილოა ყოველგვარი ამგვარი **"მტკიცებულება"**, რომელიც ოსტატურადაა გათვლილი გულუბრყვილო მკითხველზე).

პესტოვი (მისი სიტყვებით მოსკოვის ენერგეტიკის ინსტიტუტის ფიზიკო-ტექნიკური ფაკულტეტის დეკანის მოადგილე) საკმაოდ უმეცრად აღწერს პოლიგონზე აღმართულ კოშკურაზე დამონტაჟებული **РДС-1** ბომბის აფეთქების ვადის დარღვევას და იმის აზრზე არ არის, რომ აფეთქებაზე დაკვირვება ხდებოდა 1.300 სპეცმოწყობილობისა და 9.700 ინდიკატორის მეშვეობით, რომლის სისტემაში მოყვანას საკმაოდ დიდი დრო სჭირდებოდა.

იმიტომ, რომ მკითხველისათვის სავსებით გასაგები გავხადო პესტოვის მიერ საბჭოთა ატომური პროექტის პროცესების ამსახველი **"საინტერესო"** ამბების **"ობიექტურობა და სრულქმნილება"**, მოვიყვან მის ერთ-ერთ მტკიცებულებას:

"სამწუხაროდ, ხელმძღვანელებმა ზერნოვს კი საერთოდ აუარეს გვერდი (РДС-1 ბომბის წარმატებით გამოცდის შემდეგ). **გაბოროტებულმა ლავრენტი ბერიამ მას შეახსენა ის ფაქტი, როცა მას, საკუთარ კაბინეტში, ზერნოვმა სასანთლე მოუქნია..."**

შემდეგ პესტოვი დასძენს:

"მოგვიანებით, როცა ზერნოვი უკვე მინისტრის მოადგილედ მუშაობდა, იგი კიდევ ორჯერ დაჯილდოვდა სოციალისტური შრომის გმირის წოდებით".

იმდენად, რამდენადაც ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, თუ როგორ იქნა ზერნოვი წახალისებული (**РДС-1**) ბომბის გამოცდის შემდეგ, მე ამაზე დამატებით კომენტარს არ გავაკეთებ.

გოლოვინისა და პესტოვის **"ბერიაფობია"** მხოლოდ ანტონოვ-ოვსეენკოსა და გენერალ ვოლკოგონოვის **"ბერიაფობიას"** თუ შეედრება. და რომ ავიღოთ ყველა პროფესორ-ჟურნალისტური მონაჩმახები, აქედანაც ერთი დიდი წიგნი გამოვა, მაგრამ იგი მკითხველს ნამდვილად არ დააინტერესებს, რადგან თითიდან გამოწოვილი ამბავი ყოველთვის პრიმიტიული და იაფფასიანია.

მაგრამ ბერიას მორალური რეაბილიტაცია ბევრად უბრალო საქმე გახლავთ, რადგან მისი **"ატომური"** ბიოგრაფია ზუსტად და ობიექტურადაა აღწერილი. ამიტომ არაა ძნელი ბერიას **"ატომური"** სახის რეკონსტრუირება, და თუ მე სასანთლესთან დაკავშირებული ისტორია ლოგიკური მსჯელობით შემიძლია გავაცამტვერო, ბერიას, როგორც **"ბოროტმოქმედის"** სახე, იოლად ცამტვერდება დოკუმენტურად.

მე ახლა ამას გავაკეთებ!

ცნობილი საბჭოთა სწავლული-მეცნიერი ნიკოლოზ ზაქარიას ძე ტრემასოვი შედიოდა **"არზამას-16"**-ის მე-11 საკონსტრუქტორო ბიუროს ხელმძღვანელთა რიცხვში, შემდეგ კი დიდი ხნის განმავლობაში იყო ქალაქ ნიჟეგოროდის ივანე სედაკოვის სახელობის საზომი სისტემების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მთავარი კონსტრუქტორი.

შემდგომში ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, რუსეთის ფედერაციის მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწე, მე-11 საკონსტრუქტორო ბიუროში იგი მივიდა 1950 წლის აგვისტოში, **РДС-1** ბომბის გამოცდის შემდეგ. და, აი, რას სწერდა იგი ელცინის წლებში:

"...ცოტა რამ პირველი რადიო-ხელსაწყოების შექმნის ისტორიიდან შემიძლია აღვადგინო მთავარი კონსტრუქტორის ალექსი პეტრეს ძე სკიბარკოს და რადიოტექნიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის სერგო ვართანის ძე მამიკონიანის მოგონებებიდან, რომელიც მათ მომითხრეს... 1946 თუ 1947 წელს ქალაქ გორკში ჩამოვიდა მე-11 საკონსტრუქტორო ბიუროს თანამშრომელი ვ.ა. ტურბინერი, რომელსაც ჯიბეზე დიდძალი ნაღდი ფული ჰქონდა, და შემოგვთავაზა... სკიბარკომ შეიმუშავა რადიოხელსაწყო ატომური ბომბისათვის, რომლის პირველი გამოცდა პოლიგონზე წარუმატებელი გამოდგა. წარუმატებლობის მიზეზთა ანალიზი დრამატულ ხასიათს ატარებდა. მინისტრი ალექსეენკო და ა.პ. სკიბარკო ბერიასთან დაიბარეს ახსნა-განმარტებისათვის (...)

...შემდგომი საუბარი შედგა ბერიას კაბინეტში ალექსეენკოსა და მამიკონიანთან (ამ უკანასკნელის სიტყვებით), რომელიც მაშინ მთავარი სამმართველოს მთავარი ინჟინერი გახლდათ, რომელსაც ადმინისტრაციულად მორჩილებდა მე-11 სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, სადაც მუშაობდა ა.პ. სკიბარკო და პასუხისმგებელი იყო სერიოზულ დავალებებზე."

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ეროვნული ბიბლიოთეკა

მურყვამ...

(სვანური მოტივებს გთავაზობთ ბატონ ზაურ ფიფიას ამავე სახელწოდების წიგნიდან)

"აფსუს, ჯეროვნად არ გვიქია ქართველ პოეტებს ენგური!"
კონსტანტინე ბამსახურდია.

ზაგაროს უღელტეხილზე ფეხს რომ შედგამთ, თვალწინ ჯადოსნური სამყარო გადაგეშლებათ: – ჩრდილოეთით, კავკასიონის უმაღლეს მწვერვალებს გაუხვევია ლურჯი, კრიალა ცა და თეთრ სისპეტაკედ ქცეულნი დარაჯობენ აქეთურსა თუ, იქითურ ხეობებს, ჯიხვებითა და არჩვებით სავსე ჭიუხებსა და ქარაფებს. აღმოსავლეთით, მწვერვალ **"აილამას"** ფერხთით, ცხენისწყალი იღებს სათავეს, დასავლეთით კი ენგური აზრიალებს მიდამოს.

ცხენისწყლის მხარეს ქვემო სვანეთია, დღევანდელი ლენტეხის რაიონი, ენგურის მხარეს კი, ზემო სვანეთი, რომანტიკის ქვეყნად რომაა ცნობილი მსოფლიოში.

მაგრამ სვანეთი მარტო რომანტიკა როდია!

ძველ ქართულ წყაროებში სვანეთზე არც ისე თავზესაყრელად გვაქვს შემორჩენილი ცნობები. **"ქართლის ცხოვრების"** მიხედვით სვანები კოლხეთისა და ლაზიკის მეფეებს ემორჩილებოდნენ ოდითგან. სტრაბონი კი წერს: – სვანები დიოსკურიის ზემოთ, კავკასიონის მაღალ მთებში ცხოვრობენო და ძლიერი, მეომარი ტომი ყოფილა ჯერ კიდევ მაშინ, რომელსაც 300 რჩეულისაგან შემდგარი საბჭო განაგებდა.

ასე იყო თუ ისე, სვანეთი ოდითგან შრომისა და თავისუფლების მოყვარე ხალხით იყო დასახლებული, ძველთაგანვე **"საქართველოს სვანეთი"** ერქვა და ქართველ მეფეთა საიმედო დასაყრდენს წარმოადგენდა. ძნელბედობის ჟამს, როგორც ისტორიკოსები ამბობენ, სამეფო და საეკლესიო განძეულობა, სწორედ, სვანეთში იხიზნებოდა. მტერთაგან მიუვალ მხარეში ხალხი იცავდა ეროვნულ საგანძურს.

"ამიტომაცაა, რომ საქართველოში არაა მეორე მხარე, სადაც ამდენ არქიტექტურულ თუ ხელოვნების ძეგლს ჰქონდეს მოყრილი თავი!"

განსაკუთრებით ზემო სვანეთის, ეგრეთწოდებული, ბალსზემოური მხარე გამოირჩევა თავისი განუმეორებელი ისტორიული თუ ბუნებრივი პანორამით.

ჭედური ხელოვნების ათასობით ძეგლს, ასეულობით კოშკებსა და ეკლესიებს თავი რომ დავანებოთ, სვანეთში დაცული ხელნაწერებით შეიძლებოდა მსოფლიოს ნებისმიერ ერს ეამაყა.

სახარებანი: –
მესტიისა,
იენაშისა,
ლაბსყალდისა,
ქურაშისა,
ლახამულისა,
ტვიბერისა;
კანონარი-ლატალისა.
ოთხთავები – იელისა და...
ჰადიშისა – "ქართული ენისა და კულტურის მარად უჭკნობი საუნჯე".

ადამიანთა უდიდეს შთაგონებად გამოძერწილან მაჩვიბების მოჩუქურთმებული კედლები, ისტორიას ჰყვებიან ფრესკები და წარწერები, აქ მცხოვრები ხალხის ვაჟკაცურ სულსა და შემართებას გვაგონებენ სვანური კოშკები.

კონსტანტინე სიმონოვს უთქვამს: – **"სვანური კოშკები თავისი დროისათვის ისეთივე მწვერვალია ტექნიკისა და ისეთი საოცრებაა გენიისა, როგორიც მეოცე საუკუნისათვის, ნაბიჯები ადამიანისა ზეცისაკენ!"**

ამიტომაც ვთქვით, – სვანეთი მარტო რომანტიკა როდია! – იგი ჯერ კიდევ მთლიანად ამოუკითხავი ისტორიაა საქართველოსი.

ჩვენ ვიმოგზაურეთ ზემო სვანეთში. იდგა დრო ლეგენდებისა და ზღაპრული თავგადასავლების მოსმენისა, მურყვამთა ხილვისა, ფრესკათა მზერისა და, რაც მთავარია, ადამიანებთან გულახდილი საუბრისა, რომელთა გულისწუხილი თუ ლოცვა-კურთხევა უკლებლივ მოგვყვა ამ სტრიქონებამდე. მეცნიერები სწავლობენ ოქრომჭედლობისა და ხეზე კვეთის ნიმუშებს, კედლის გარე თუ შიდა მხატვრობებსა და ხელთნაწერებს. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო ექსპედიციებს ყოველწლიურად მზის სინათლეზე გამოაქვთ ახალ-ახალი ფურცლები ერის საგანძურისა, ქართულ სულიერ კულტურას ასობით მნიშვნელოვანი ძეგლი ემატება.

მაგრამ...

მიხეილ ჩართოლანი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის სამეცნიერო კომპლექსური ექსპედიციის ხელმძღვანელი:

– "ხშირად გაიგონებთ ხოლმე, სვანეთის თითქმის ყველა ძეგლი ჯერ კიდევ ხალხის პრაქტიკულ ცხოვრებასთან არისო დაკავშირებული და მას ხალხი იცავსო ყველაზე უკეთ. ეს ასე როდია! დღეს სვანეთში თითზე ჩამოსათვლელი თუა კოშკები და მაჩვიბები, რომლებსაც მოსახლეობა ძველებურად იყენებდეს, და, თუნდაც ეს ასეც იყოს, იგი მაინც არ იძლევა მათი გადარჩენის იმედს! ძველმა დრომ თან წაიღო მათი მშენებლობის ტრადიციებიც და მათში ცხოვრების პრაქტიკაც, და თითქმის უპატრონოდ დარჩენილი ძეგლები სავალალო მდგომარეობაშია. ბევრი მათგანი უკვე გადააკეთეს ახალი ტიპის საცხოვრებელ სახლებად, ბევრგან კი, სრულიად დაანგრიეს იგი".

მალაქია დვალი, საქართველოს კულტურის სამინისტროს სპეციალური სამეცნიერო-სარესტავრაციო საწარმოო სახელოსნოს მთავარი არქიტექტორი:

– "გულახდილად რომ ვთქვათ, ჯერჯერობით მესტიის რაიონის კულტურის ძეგლთა დაცვის საქმე არც ისე სახარბიელოდაა. სახელოსნო ამ რაიონში 10-12 არქიტექტურულ ძეგლზე მუშაობს წელიწადში, მაგრამ ამ სამუშაოთა უმრავლესობაც მხოლოდ გადახურვაზე მოდის, მცირე ნაწილი კი, აღდგენა-შეკეთებაზე. მძიმე მდგომარეობა გვაქვს, აგრეთვე, კედლის მხატვრობის რესტავრაციის საქმეშიც. შეიძლება ითქვას, აქამდე ბევრი არაფერი გაგვიკეთებია ამ მხრივ, მაგრამ სვანეთში სახელოსნომ უკვე ჩამოაყალიბა მხატვარ-რესტავრატორთა სპეციალური ჯგუფი გამოცდილი რესტავრატორის გიორგი ჭეიშვილის ხელმძღვანელობით და, ვფიქრობთ, ამ მხრივ მომავალში მდგომარეობა ნაწილობრივ მაინც გამოსწორდება".

ნაწილობრივ!..

ისიც შემდგომში, მანამდე კი, ინგრევა:

ფარი და იფარი,
უშხვანარი და ლაღამი,
კალა და წვირმი...

ფერმკრთალდებიან ფრესკები, ხუნდება გაუხუნარი ხელოვნება.

... მესტიის რაიონის კულტურის განყოფილებაში ერთ განცხადებას წავაწყდით, მას ხელს აწერს ზურაბ მიხეილის ძე გულედანი და სთხოვს კულტურის განყოფილებას, რომ შუამდგომლობა გაუწიოს სადაც ჯერ არს, რათა თავზე არ ჩამოენგრეს საგვარეულო კოშკი.

განცხადება სამი წელი იდო უჯრაში, უცხოთაგან იგი მხოლოდ ჩვენ წავიკითხეთ იგი პირველად...

მესტიის სარაიონო საბავშვო ბიბლიოთეკამ 1968 წელს მონაწილეობა მიიღო ძეგლის მეგობართა რესპუბლიკურ დათვალიერებაში და მეორე ადგილისათვის ფოტოაპარატი დააჯილდოვეს...

მას შემდეგ მესტიელ პიონერებს არც გახსენებიათ ძეგლები!

ბორის კახიანი, მესტიელ ახალგაზრდათა ლიდერი;

– "სამწუხაროდ, რაიონის ახალგაზრდებმა ვერ მოვიცალეთ ძეგლებისათვის".

გულწრფელად და სინანულით ამბობდა ახალგაზრდა კაცი ამ სიტყვებს, მაგრამ...

სხვებმაც ვერ მოიცალეს და საქმეც ეგ არის!

იქნებ სწორია სარესტავრაციო საწარმოო სახელოსნოს წარმომადგენელი, რომ სვანეთისთვის აუცილებელია ადგილობრივი კადრების მომზადება, რომ აქ ლაპარაკიც არ უნდა იყოს ორიოდე თუ ათიოდე ტონა თუნუქზე და სხვა ისეთ წვრილმანებზე, მაგრამ ისიც ცხადია, რომ სხვა სვანეთი არსად არის...

"ვერ მოვიცალეთ!.."
"დაგვაგვიწყდა!.."

ამიტომაა, რომ უშგულში – ჩაჟაში, მესტიაში – ლაღამი, მულახში – ჩვაბიანი და ლახირი, სრულფასოვანი ზედამხედველის გარეშეა დარჩენილი, არადა, ნაკრძალებადაა გამოცხადებული ისინი!

ამიტომაა, რომ ზემო სვანეთი მთლიანად ჯერ კიდევ ვერ გამოგვიცხადებია ნაკრძალად, ამიტომაა, რომ გეგმის შესრულებისათვის ხშირად ისეთ ძეგლს მივადგებით, რომელთაც რამდენიმე წელიწადს არაფერი უშავთ შეუკეთებლად, ისინი კი, რომლებსაც გადაუდებლად სჭირდებათ ზრუნვა, განზე გვრჩება.

მიხეილ ჩართოლანი: – "ფარის სვიფის ჯგურაგის ეკლესია რამდენიმე წლის წინათ შუაზე გახეთქილა და მოსახლეობას ხის ჩარჩოში ჩაუსვამს, მაგრამ დღეს ეს ჩარჩო დამპალა და ძეგლი საცაა აღიგვება პირისაგან მიწისა, ეკლესია კი თავისი შესანიშნავი ფრესკებით, მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლია, მე-11-ე, მე-14-ე საუკუნეების ორმაგი მხატვრობა უნიკალურს ხდის მას".

...ამიტომაა, რომ გვერდებჩამონგრეულნი დგანან მურყვამები:

უშგული, ხალდე, მესტია, მულახი, კალა, იფარი!..

გინახავთ ეს სოფლები? – ეს არის განუმეორებელი ღიაცისქვეშა მუზეუმი, რომელთაც განცვიფრებაში მოჰყავს ამ მხარეს შემთხვევით თუ სპეციალურად ჩამოსული კაცი.

...ისევ **კონსტანტინე სიმონოვი:**

– "ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა ვნახე საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე საოცარი კუთხე – ზემო სვანეთი

"საქართველოს კუთხე" – ეს მხოლოდ უბრალო სიტყვებია. თუ თვალს გადაავლებთ ჩვენი თვალუწვდენელი სამშობლოს რუქას, ზემო სვანეთი, მართლაც, ერთი პატარა კუთხეა და მეტი არაფერი, პატარა ლაქაა ამ დიდ სივრცეზე, მაგრამ როცა ნატურაში იხილავ ამ "კუთხეს", როცა აგერ, შენს გვერდით აღმართულ დიდი კავკასიონის თოვლიან მწვერვალებს შეავლებ მზერას, როცა მთის გამჭვირვალე ჰაერზე ლამის არის ხელით შეეხო თეთნულდის ქარაფებს, როცა აქვე, ფერხით დაუოკებელი ენგური დუღს და ლეგენდარული მჭედლის დაჟინებით ამსხვრევს სანაპიროს ლოდებს, როცა თვალწინ ოთხი ფერი ბატონობს: ლურჯი – ცა, თეთრი – თოვლი, მწვანე – საძოვრები და რუხი – ქაფადქცეული მდინარე, და ყოველივე ამათ შორის ქვის უზარმაზარი სანთლებივით დედამიწიდან ამოტყორცნილან უძველესი სვანური კოშკები, როცა ყოველივე ამ საოცრებათა ხილვით გაბრუებული დგეხარ, სიტყვა "კუთხე" საერთოდ ამოდის შენი ლექსიკონიდან...

განა ეს მხოლოდ და მხოლოდ კუთხეა, სადაც შენ, ადამიანი, ამ უზარმაზარი, მარადიული ბინების პაწაწკინტელა ნაწილაკად გრძნობ თავს, სადაც გარესამყაროს სილამაზე ასე უსაზღვროა, სადაც შეიძლება გაოცებაში ჩაფლული დღეობით იდგე და მაინც ვერ შეეჩვიო მის თითქმის კოსმიურ მასშტაბებს...

...მე დიდი მადლობელი ვარ სვანეთისა, ამ, რუქაზე პატარა, მაგრამ ნატურაში უდიდესი კუთხისა საქართველოსი, მადლობელი ვარ, რადგანაც მეღირსა შემეგრძნო მისი ეს მკაცრი, განუმეორებელი სილამაზე და თან გამოყოლილი აღფრთოვანებით გამემდიდრებინა სული ჩემი" (გაზეთი. **"პრავდა"** – 1969 წლის 3 აგვისტო).

ამ სტრიქონების ავტორს არც ისე ბევრი რამ აოცებდა ცხოვრებაში.

...ამიტომაა იქაური იგრი-ბატონის ლეგენდა, ამიტომაც მეგულვება აქ **"ოქროს საწმისი"** და ლეგენდარული იგრისი. აბა, ჰკითხეთ სვანეთის უხუცესთ, მედეას ამბავი, – ბერძნებისათვის ვერ გაუმეტებიათ იგი და სვანეთის მთებში შეუნახავთ ვით წმინდა მოგონება ისტორიისა, ამიტომაც ჰქვია ამ წერილს **"მურყვამ" – კოშკი, ზვიადი "მწვერვალი ადამიანის გენიისა"**, და ამიტომაც მწყდება გული, როცა **"ვერ ვიცლით მათთვის"**.

(ეს სტატია დაწერილია მეოცე საუკუნის სამოცდაათიან წლებში, თუმცა, მას შემდეგ სვანეთში მდგომარეობა აშკარად არ არის შეცვლილი სასიკეთოდ – "ილორი")

ბედნიერი ერი

კიდევ ერთხელ დათრგუნული ვარ. ეს პირსისხლიანი, ხელსისხლიანი, ფეხსისხლიანი და ტვინსისხლიანი საზოგადოება მთრგუნავს. მსხვერპლის გარეშე ვერ აგვარებენ ვერაფერს. კვლავ ერთურთს დარევიან და რწყავენ სისხლით ჩვენს ისედაც მისით გაჟღენთილ მიწას. რა გეაღლუმება, როცა შენი და მეორე შენნაირის გამო ადამიანები დაზიანდნენ, დაიღუპნენ და შენ სიტყვის თავისუფლებაზე ქადაგებ. მრცხვენია ამ ყველაფრის! არ ვარ მე იმ ერის შვილი, რომელიც დღეს ბნელ და უვიც, დესპოტ ბრბოდ ჩამოყალიბდა. ამას სახელად გენის დეგრადირება ქვია. არადა გამყიდველების სიმწირეს გადმოგვცემს დედამატიანე!

ეჰ, როგორ მინდა გაგემიჯნოთ და აღარ ვიღელვო თქვენს უნიკალურ ქვეყანაზე, არ მინდა ჩემი ერქვას, არ მინდა ვტიროდე ყოველი ქართული ცეკვის ცქერისას თუ სიმღერის სმენისას. არ მინდა მხოლოდ წინაპრების ვაჟკაცობაზე ვუყვებოდე ჩემს შვილს. არ მინდა ამდენ სიძულვილსა და უგუნურებას ხედავდეს. არ მინდა ემიგრანტი გავხდე და არ მინდა ამ არაადამიანების ქვეყანაში ვცხოვრობდე. მარტო მაინც ვიყო, ჩემს ყოფილ მადლიან მიწაზე, მთაში წავიდოდი და განვერიდებოდი ამდენ ღვარძლსა და უნამუსობას. მაგრამ ამ ეტაპზე ეს არ გამოდის და რა უნდა ვქნა? ადამიანების პოვნა მიძნელდება, დიოგენესი არ იყოს, რომელიც ათენის ქუჩებში დღიდით, მზისით ჭრაქით დადიოდა ადამიანის საძებრად. რაც დრო გადის, მით უფრო მირთულდება ეს საქმე.

არადა, მყავს წრე, სადაც მეტნაკლებად საღად ვაზროვნებთ, მაგრამ საკმარისია გარშემო მიმოიხედო და შეძრწუნდე. ყურადღება არ მივაქციო? ვის, იმათ ვის გვერდზეც მიწევს შვილის გაზრდა? ორი დღეა საკუთარ თავს უფსკრულის პირას ძაძებში გახვეულსა და თმაგაშლილს ვხედავ, მოვთქვამ, ვგოდებ, როგორც იერემია იერუსალიმზე... სამშობლო არა მქონია...

დილას სავარჯიშოდ ვიყავი, მერე აუზთან ჩამოვჯექი. ტირიფებს დავაკვირდი, მგლოვიარე ქალებივით თავდახრილთ, დალალჩამოშლილთ. წყალში ტოტებს რომ ალამუნებდნენ... და ავტირდი, ავტირდი და ახლაც ცრემლი მომდის.. მომბეზრდით, მრცხვენიხართ, მეზიზღებით, გული ამომგლიჯეთ და გამისრისეთ, სამშობლო შემაძულეთ, მკვლელებო!

და კვლავ იმართება ვაი-კონცერტები, კვლავ ერთ-ერთი უწყების შენობას **„გვახურავენ"** ტელევიზორიდან, რომელიც ამობრუნებულ ბოთლს მიაგავს და სულაც არ მეჩვენება ისეთი დიადი, როგორადაც აბუქებენ.

თავკისერგაერთიანებული თამადები კვლავ კმაყოფილნი იფხანენ ჩასქელებულ, **ჩუმპექერიე** ღიპებს, ადამიანობისა და სამშობლოს სადღეგრძელოების შემდეგ. კვლავ უბადრუკი და შეღონებული სახით მოძრაობს ხალხი... და მაინც, ბედნიერია ეს ერი...

ნათია ქობალია

ვანო ფიფიას გამარჯვება საქართველოს გამარჯვება იყო!

ახლა, როცა ამ სტრიქონებს ვწერ, ძალიან მიჭირს ცრემლების შეკავება. ცრემლი და ვაება საქართველოში დღეს არავის უკვირს, რადგან ჩვენი გაჭირვებული ყოფა ღიმილის მორალურ უფლებას არ გვიტოვებს. 6 ივნისს სტიროდა მთელი საქართველო, მაგრამ ეს იყო სიხარულის ტირილი...

დამთავრდა **"ნიჭიერის"** კონკურსი, რომელშიც დამაჯერებლად გაიმარჯვა ცამეტი წლის ყმაწვილმა, აფხაზეთიდან დევნილმა, ნახევრადობლმა ყრმამ ვანო ფიფიამ, რომლის მიერ უზადოდ შესრულებულმა სიმღერამ ფეხზე დააყენა არა მხოლოდ დარბაზი, არამედ სრულიად საქართველო!

როცა ვანო პირველად გამოვიდა სცენაზე და ყოველგვარი მუსიკალური თანხლების გარეშე შეასრულა ქართული სიმღერა, როცა დავინახე საღამოს წამყვანი ცრემლმორეული და გულამომჯდარი თიკა ფაცაცია, როცა დავინახე ჟიურის მკაცრი წევრების გაოგნებული სახეები, მივხვდი, რომ ვანი ფიფია უდავოდ გაიმარჯვებდა ამ კონკურსში!

ასეც მოხდა – ვანო ფიფიამ დიდი უპირატესობით გაიმარჯვა, რითაც უზომოდ გაიხარა სრულიად საქართველომ, მაგრამ სასწაულად ამაღელვებელი ჩემთვის მაინც ის გახლდათ, რომ ყველაზე მეტად მისმა კონკურენტებმა, ამ კონკურსის სხვა მონაწილეებმა გაიხარეს, რომლებიც მოუთმენლად ელოდნენ შედეგების გამოცხადებას.

აი, ეს არის ნამდვილი საქართველო, და არა ის, რასაც ესოდენ დიდი გულმოდგინებით გვიქმნიან ამერიკელები და მათი ადგილობრივი დამქაშები!

იმ დღეს ვანო ფიფია მე საქართველოს შევადარე, მუხლზე დაცემულს, მტრისაგან დაკორტნილს, მაგრამ მაინც ამაყსა და ომახიანს, რომელიც არასოდეს შეურიგდება თავის უსასოობას და სიმღერით დაამარცხებს მასზე ბევრად ძლიერ მტერს, რაც არაერთხელ მომხდარა წარსულში.

შეიძლება ქვეყანას ან ადამიანს ფიზიკური სიძაბუნე მოერიოს, მაგრამ მაინც არ გატყდეს, სულით არ დაეცეს და თუნდაც მუხლზე დამდგარმა დასჭექოს ომახიანი **"მუმლი მუხასა"!**

ეს უკვე გამარჯვებაა!

ამიტომ შევადარე მე ვანო ფიფია საქართველოს!

6 ივნისის ღამე იყო ნიჭისადმი თაყვანისცემის, შრომისადმი პატივის მიგებისა და ადამიანური თანაგრძნობის გამომხატველი ქართული სულის ზეობა!

ამიტომ მიყვარს მე საქართველო!

უდავოდ ნიჭიერ ვანო ფიფიას კი ვულოცავთ ამ შესანიშნავ გამარჯვებას და ახალ წარმატებებს ვუსურვებთ ერისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ!

როლანდ ჯალაღანია

“პირველყოფილი ცოდო ქართველი ერის ისტორიისა”, თუ მაღლი უკვდავებისა?

(ვამთავრებთ ქართველი ენათმეცნიერის კუკური ფიფიას წერილების ამ ციკლის ბეჭდვას)

თუ ქართლელი ბავშვის დედას კლასიკური განათლება არა აქვს, მასაც სჭირდება, გარკვეულწილად, სალიტერატურო ქართული ენის შესწავლა. ზოგიერთი თანამდებობის პირნი ისეთ შეცდომებს უშვებენ ხოლმე საუბარში, რომ მიუტევებელია, მაგრამ, რატომღაც, ამას ბოლო პერიოდში ნაკლები ყურადღება ექცევა.

ჩვენი საერთო სალიტერატურო ენა შეიცავს 50%-ზე მეტ უცხოურ (სპარსულ, ბერძნულ, არაბულ, თურქულ, ლათინურ, არმენულ და სხვა) ენათა ლექსიკურ ფონდს. დანარჩენი წმინდა ეროვნული წარმოშობისაა. მათგან უმრავლესობა კი იბერიული (ე.წ. მეგრული) ძირისაა.

რას ნიშნავს ეროვნული წარმოშობის უმრავლესობა იბერიული ძირისაა?

სამწუხაროდ, იბერიული (ე.წ. მეგრული) ენის არმცოდნე ქართველი ვერ ახსნის ეროვნული წარმოშობის სიტყვების (მაგ. სიყვარული, სიხარული, სიძულვილი, ნათელი, ბნელი, მოსწავლე, მასწავლებელი, მოძღვარი და ა.შ.) თავდაპირველ მნიშვნელობას და წარმომავლობას, ძირეული ფორმების (-ყვარ-,-ხარ-,-ძულ-,-ნათ-,-ბნ-,-სწ-,-ძღ-ჭკ=წკ, ახ=ხს. და ა.შ.) ჩასახვის მექანიზმებს და მათ მნიშვნელობებს.

მაშ, ვინ უკეთ იცის სალიტერატურო ენა, იმან, რომელიც ამ ენაზე კარგად მეტყველებს, მაგრამ, არ იცის მასში შემავალი სიტყვების ეტიმოლოგია, თუ იმან, რომელმაც ორივე იცის?

აქედან გამომდინარე, უფრო სამართლიანი იქნებოდა ჩვენს სალიტერატურო ენას რქმეოდა იბერიული ენა (ჩვენი აზრით, ეს სხვა კავკასიური პრობლემების გადაჭრასაც შეუწყობდა ხელს), რადგან მის გარეშე გვექნებოდა არა ეროვნული ენა, არამედ სხვადასხვა ენათა კონგლომერატი.

ამრიგად, იბერიული (ე.წ. მეგრული) ენა არის არა დიალექტი ქართული ენისა, როგორც ეს ბ-ნ ტარიელ ფუტკარაძეს და მის თანამოაზრეებს სურს იყოს, არამედ ესაა ის დედაბოძი, რომელიც ჩვენს სალიტერატურო ენას კაცობრიობის დასაბამთან აკავშირებს. ამიტომ ე.წ. მეგრულის არსებობა, როგორც ენისა, კი არ უქმნის საფრთხეს ჩვენს საერთო სალიტერატურო ენის არსებობას, არამედ უმტკიცეს დამცველად და ურყევ ბურჯად უდგას მას. სწორედ ეს იციან ქართული ენის მტრებმა და ფუტკარაძისთანა დიპლომირებულ, მაგრამ მომეცნიერო პირებს აცდენენ და აქეზებენ, რომ ზეწოლა მოახდინონ იბერიულ (ე.წ.) მეგრულ ენაზე, გააღიზიანონ მეგრელები (ვინც ჰკრავს და ადუღაბებს ქართველ ერს), რომ გამოიწვიონ ეროვნული შუღლი და განხეთქილება, რომ ეს ბურჯი გამოაცალონ და ბოლო მოუღონ ქართველი ერის არსებობას. ამ მიზნით ხუთჯერ დაალაშქვრინეს გასული საუკუნის 90-იან წლებში სამეგრელო, მაგრამ ე.წ. მეგრელი ინტელიგენციის სასახელოდ უნდა ითქვას, იგი არ წამოეგო პროვოკაციას. მსგავსი პროვოკაციის მიზნით შეთხზეს, უფრო ადრე, ე.წ. **“მეგრელთა საქმე”**, ამიტომ იგონებენ ათასგვარ ჭორებს: არიქათ, მეგრელები სკოლებში მეგრულ ენაზე სწავლებას ითხოვენ, ბიბლიას თარგმნიან, საქართველოდან გამოყოფას აპირებენ და საქართველოს დაშლა-დაქუცმაცება ემუქრებაო. მაგრამ ვერ ასახელებენ, ვინ აკეთებს ამას, რადგან ასეთი არ არსებობს და არც არასოდეს არსებულა მეგრული სეპარატიზმი; სამწუხაროდ, ცნობილია ქართლური სეპარატიზმი, არმაზის სეპარატისტული სახელმწიფოს სახელწოდებით. მეფენი? ბარაცმან, კაოს, არმაზავრ, ადერუკი, ფარსმან-ავაზი, მირდატი **“მოქცევაი ქართლისაი”**-ს მიხედვით; ბარცომ, კაოს, არმაზავრი, ადერუკ, ფარსმან სპასპეტი, მირდატი – ლეონტი მროველის **“მცხოვრება ქართველთა მეფეთა”**-ს მიხედვით;

ძმებო და დებო, შვილებო, ქართველებო, ნუ მიიღებთ ისე, რომ ჩემი, შეიძლება, არადიპლომატიური და უტაქტო პირდაპირობა ვინმეს დასასჯელად მინდოდეს და ამით, იბერთა ჩაგვრის გამო, ჯავრის ამოყრა მსურდეს, როგორც ამას ქართლის ხელისუფალნი აკეთებდნენ; პირიქით, მინდა ქართველებმა, – საქართველოს ძლიერებისათვის თავდადებულმა პატრიოტებმა, – გულახდილად თქვან, რომ ჩაგრავდნენ ქართლის ხელისუფალნი, გაბატონების შემდეგ, ასე დაუნდობლად იბერებს (ეს ხომ უმიზეზოდ არ იქნებოდა?), რომ ერთხელ და სამუდამოდ ამოეღოთ გულიდან ჩარჩენილი ბოდმა, შური, ღვარძლი, დაუნდობლობა, ანუ **პირველყოფილი ცოდო ქართველი ერის ისტორიისა** და სამარადისოდ განვიწმინდოთ, რომ გაწმენდილი სულითა და ანთებული გულით შევუდგეთ ზნეობრივი, ძლიერი ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობას.

არადა, როცა ტ. ფუტკარაძე და მისი თანამოაზრენი კონფერენციას ატარებდნენ სოხუმის უნივერსიტეტში, მათი და ზოგი მომეცნიერო მეგრელის გამოსვლის მოსმენის შემდეგ ერთმა მოთმინებადაკარგულმა, უაღრესად პატიოსანმა და გულანთებულმა პატრიოტმა კაცმა თქვა: თუ ესენი ქართველები არიან, მაშინ მე არ ვყოფილვარ ქართველიო. თუ მსგავსი გამოსვლები განმეორდება, ხომ შეიძლება ბევრმა თქვას, არა ვარ ქართველიო. ამიტომ, გააზრებული ქმედებაა საჭირო.

ე.წ. მეგრელებს არავითარი პრობლემა არა აქვთ ენობრივ საკითხში. პრობლემა იმათ აქვთ, ვისაც ჩვენი საერთო სალიტერატურო ენა მხოლოდ ქართლური ჰგონია, მათ სხვა ე.წ. ქართველური ენები არ იციან, ხოლო შესწავლა ეზარებათ, ამიტომ მათთვის ე.წ. მეგრული და სვანური უცხო ენებია, მაგრამ პრობლემის მოხსნა შეიძლება სურვილის შემთხვევაშიც: ვისაც უყვარს დედა-სამშობლო საქართველო, აუცილებელია იცოდესწ ვინ ვართ ქართველები (ქართი, მეგრელი, სვანი, იბერი და სხვა იბერიული მოდგმის ეთნოსთა სახელწოდებების წარმოშობა და მნიშვნელობა ბევრი ქართველისათვის უცნობია), რომ მოისპოს **პირველყოფილი ცოდო ქართველი ერის ისტორიისა**. ამიტომ, ვისაც სურს, არ არის პრობლემა შეისწავლოს **“იბერიული ენის საფუძვლები”**, ეს სულ სამ თვეში მოხერხდება. მაგრამ ყველაზე დიდი სამუშაო წინ გველოდება.

მართალია, თეოდოს II და იოანე მარუშმა, შემდგომ სალიტერატურო ენის რეფორმატორებმა ენობრივი პრობლემის გადაჭრას მტკიცე საფუძველი ჩაუყარეს, მაგრამ, ჯერჯერობით, ზოგი თანამემამულე ქრონიკულ მდგომარეობაში გადაზრდილი სენისაგან ვერ განკურნებულა.

ამიტომ მოგმართავთ ბატონებო, ტ. ფუტკარაძევ, თ. გვანცელაძევ, მ. ტაბიძევ და, დიდი მოკრძალებით, მეუფეო ანანია ჯაფარიძევ, თქვენ ბევრად მეტი ტკივილი მოგვაყენეთ ლეგენდარული იბერიული (ე.წ. მეგრული) ენის ქართული ენის დიალექტად დაკანონებისათვის თქვენი ქმედებებით, ვიდრე მე მოგაყენეთ თქვენ ჩემი უხეში გამოთქმებით. მოდით ახლა დავმშვიდდეთ, დავივიწყოთ ურთიერთ წყენა, გამოვიჩინოთ სიბრძნე და ერად ვიფიქროთ, როგორ შეიძლება გადავჭრათ არსებული პრობლემები და ვიხსნათ ქართველი ერი გადაშენებისაგან.

იმათ, ვისაც ჩვენგან განსხვავებული აზრი გაქვთ, მაგრამ გულმხურვალე პატრიოტები ბრძანდებით ჩვენი ქვეყნისა და გსურთ მტკიცე, ძლიერი ეროვნული სახელმწიფოს აშენება, გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ მონური **“ერთგულება”** არ არის ძლიერი, ზნეობრივი ეროვნული სახელმწიფოს აშენების მტკიცე გარანტი. ხოლო, როცა მტკიცედ ვიცით, რომ ე.წ. მეგრული (იბერიული) ენა კაცობრიობის დასაბამიდან მოდის და ამას მრავალი ცოცხალი არგუმენტი ადასტურებს, როცა ვიცით, რომ ქართული ენა იოანე პეტრიწამდე არ იყო ქურუმთა ენა, როგორც ჩვენ გვსურს იყოს (იხ. იოანე პეტრიწი, შრომები I 1937, გვ. 219), არამედ მდაბიოთა ენა გახლდათ (იქვე, გვ. 220) XI საუკუნის დასაწყისამდე (გთხოვთ ამაზე, როგორ გაბედეო და, ნუ დამიწყებთ თვალების ბრიალს; მე არ ვეკუთვნი იმ პირთ, რომლებიც ყველაფერზე კუდის ქიცინით აღწევენ მიზანს). ამდენად, ქართლური ენა თვითონ იყო დიალექტი იბერიული (ე.წ. მეგრული) ენისა და, გჯერათ თუ არა, თავი მოვიტყუილოთ, იბერიული (ე.წ. მეგრული) ენა მივიღოთ ქართულის დიალექტად, თორემ ჩვენი სალიტერატურო ენა და ქვეყანა დაიშლებაო, რომ ატეხეთ წივილ-კივილი, პატივცემულო მეცნიერებო, როდემდის ვიარსებოთ საპნის ბუშტის მსგავს საფუძველზე დაყრდნობით? რატომ გეუცხოებათ ბაბუისა და შვილისშვილის ერთ ოჯახში ცხოვრება?

ჩვენი აზრით, ნამდვილი ოჯახი სწორედ ისაა, სადაც ბაბუა, შვილი და შვილისშვილები ერთად ცხოვრობენ ჰარმონიულად, თორემ თავის მშობლებისაგან გაუცხოებულ და წინაპართა დამორგუნველ შვილს როდისმე წარმატება რომ ჰქონოდეს, არც თვალი მოგვიკრავს და არც ყური.

სწორედ იბერთა კვალის წასაშლელად დაიწერა ლეონტი მროველის **“ცხოვრება ქართკის მეფეთა”**, თორემ ამ თხზულების ავტორმა, როცა იცის ქართველი ერის ისტორია, ძველი წელთაღრიცხვის VI საუკუნის წინარე ხანისა, ბუნდოვანია და ამას იყენებს იმისათვის, რომ სომეხი ერი წარმოადგინოს ქართლოსიანთა წინაპრად, რომ შემდგომ, შესაძლებლობის შემთხვევაში, ჰქონდეს ჩვენს მშობლიურ მიწებზე პრეტენზიის წამოყენების, მორალური თუ არა, კანონიერი უფლება მაინც; განა არ იცის, რა ვერაგულად წაართვა, თუმცა დროებით, სომეხთა მეფემ ტიგრან II-მ იბერიას მშობლიური მიწები ძველი წელთაღრიცხვის I საუკუნეში, რომ ამაზე სიტყვასაც არ იმეტებს? განა არ იცის, რომ ძველი წელთაღრიცხვის 331 წლიდან ახალი წელთაღრიცხვის 523 წლამდე არსებობდა იბერიის სახელმწიფო, რომლის შემადგენლობაში შედიოდა ქართლი და ჰეგემონი ეთნოსის სახელმწიფო ენა ვერ იქნებოდა ქვეშემრდომთა ენა, მაგრამ ამას ყველაფერს იგნორირებს და ერთი სიტყვითაც არ მოიხსენიებს იბერებს და იბერიას. ბავშვური გულუბრყვილობა არ არის, რომ ვიძახოთ ბოლოსართი **“ხი”** ქართველურ ენათა კუთვნილებაა და სომეხი ქართველთა წინაპარი იყოო, როცა ქართველების გარდა, არმენებს თვით არმენებიც არ უწოდებდნენ სომეხს, ხოლო ამ ერს მრავალი საუკუნეების განმავლობაშიმ ისტორიულ წყაროებსა და სხვა სახელმწიფოებრივ დოკუმენტებში სომეხად მოიხსენიებენ მხოლოდ ქართველები?

გულუბრყვილო, ბავშვური რწმენა, რომ იბერებისა და იბერიის ოდესღაც არსებობა მისი მოდგმის მეხსიერებაში მოისპობა ეთნიკური სახელწოდების **იბერი მეგრელი**-თ შეცვლით, კაცობრიობის დასაბამიდან, ანუ იმ ეპოქიდან, სადაც **“ადამიანსა და ცხოველს შორის ზღვარი დევს”**, იაფეტურ-იბერიული მოდგმის კაცობრიობის დასაბამიდან მომდინარეობის წაშლა ამ ტერმინის იაფეტურ-ქართველურად შეცვლით, ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის ახალი წელთაღრიცხვის XI საუკუნიდან ძველი წელთაღრიცხვის III საუკუნის წინარე ხანაში ხელოვნურად გადატანით, ძველ, ბერძენ-რომაელ ავტორთა ცნობების იგნორირებითა და მსოფლიო ისტორიოგრაფთა თვალებში ნაცრის შეყრით შევძლებთ ქართველი ერის უძველესობის დამტკიცებას და სომეხი ერის შესაძლო მოთხოვნებზე წინააღმდეგობის გაწევას, როცა იგივე **“ქართლის ცხოვრების”** მიხედვით, **“კავკასიის ნახევარი (უმჯობესი მიწები) თარგამოსის დროიდან სომეხთა კუთვნილებაა** (იხ. **“ქ-ცა”**, 1955, გვ. 4), ხოლო **“ძველი წელთაღრიცხვის VI საუკუნის წინარე ხანაში ქართლოსიანთა ენა სომხური იყო, რომელსაც ზრახვიდეს...”** (იხ. იქვე, გვ.16)? ეს სახიფათო თამაშია, რადგან სომეხთა კეთილი ნების იმედად ყოფნა, მართლაც, ბავშვური გულუბრყვილობაა (იხ. გაზ. **“კვირის პალიტრა”**, №44, 45, 46, 2010, ზვიად გურული, **“საქართველო-სომხეთის ომი”**), როცა ისტორიულ **“სამცხე-ჯავახეთის მიწებზე უკვე პრეტენზიას აცხადებენ”** {იხ. **“მოგზაურობა ახალქალაქში...”** გაზ. **“ასავალ-დასავალი”**, 2009, 17-23 აგვისტო, №39 (778)}.

ფაქტია, რომ ქართველი მოღვაწენი წამოეგნენ ლეონტი მროველის ვერაგ პროვოკაციებს და სიტყვა იბერის პირისაგან მიწისა აღგვას მიჰყვეს ხელი არა მარტო საქართველოში, არამედ პირენეის და აპენინის ნახევარკუნძულებსაც მისწვდნენ და იქაური იბერები დასავლეთის ქართველებად და აპენინის კელტ-ქართველებად მონათლეს, ხოლო იაფეტურ-იბერიული ენა – იაფეტურ-ქართველურად. თავიანთი **“მეცნიერული”** შრომები ამ სიცრუეთა საფუძველზე შექმნეს, ამ სიცრუეთა საფუძველზე არჩენენ ოჯახებს და, ბუნებრივია, უჭირთ სიმართლის აღიარება და, როგორც ერთმა მათგანმა გულწრფელად თქვა, **“ყველაფერი იმის უარყოფა, რაც მათ თავიანთი შეგნებული ცხოვრების მანძილზე შეუქმნიათ”**. ე.ი. გამოდის, რომ ამ **“ერისკაცებს”** საქართველო სჭირდებათ საჭმელად, პირადი ამბიციების დასაკმაყოფილებლად და არა მომავლისათვის. მაგრამ გასაკვირია, რამ ამოუღო ამ **“მეცნიერებს”** გული და რამ შეაძულათ ასე ღმერთი, ერთმანეთის მაინც რომ არ რცხვენიათ.

ვთხოვ ყველა იმათ, ვინც ცოცხალია და იბრძვის ზემოთ აღნიშნული სიყალბეების დასაცავად და, ფაქტიურად, ჩვენი მომავალი თაობის სულის მოსაწამლად, გაითვალისწინონ მიზეზ-შედეგობრიობის შეუვალი და უცვლელი კანონი და წარმოიდგინონ შედეგი, თუ უყვართ საკუთარი შვილები და დედა-სამშობლო. გაითვალისწინონ, რომ, როცა ქართველი მოსახლეობის ოთხმოცდაათი პროცენტი დამშეულია, ძალაგამოლეულია და სულში ჩაფურთხებული, ნაკლებ საიმედოა მათ შეძლონ ბრძოლა თანამედროვე მდიდართა კეთილდღეობის შესანარჩუნებლად, ხოლო თანამედროვე ქურდული მენტალიტეტის ხელისუფლებას და მათ მხარდამჭერებს საქართველოს ქონების დიდი ნაწილი საზღვარგარეთ აქვთ გატანილი, ნაწილი, კიდევ, შეკრული და, საშიშროების შემთხვევაში, უმალ გაეცლებიან საქართველოს (გაიხსენეთ 2008 წლის აგვისტოს მაგალითი: წითელი ხიდი).

როგორც აღვნიშნეთ, შეუძლებელია სენი განიკურნოს მისი გამომწვევი მიზეზების ამოძირკვის გარეშე, შეუძლებელია ცოდვის გამოსყიდვა მისი გულწრფელი აღიარებისა და მონანიების გარეშე. ამიტომ წარმოვადგინეთ ლეგენდარულ იბერთა მოდგმის დაცემის მიზეზის ჩვენეული ვერსია. იქნებ ქართლელებმა უკეთ იციან ამის შესახებ, ან იქნებ გადმოცემა არსებობს, რომელიც უფრო სარწმუნოა, რომლის გაცხადებას აქამდე ერიდებოდნენ, მაგრამ დღეს იმ დონემდე ვართ დაცემული, რომ ქართველი ერის აღგვა პირისაგან მიწისა ძალზე იოლად შეიძლება და ამის დამალვას აზრი არა აქვს. რაც წინაპართა შეცდომებმა და წინდაუხედაობამ გვიყო, ნათელია. მაგრამ ყველაფერი ეს ღვთის ნებით ხდებოდა, რომ თავიდანვე მის რჩეულ ერს გახსნოდა გონება ღვთიური ცოდნის მისაღებად, აემაღლებინა იბერთა მოდგმა **“ღვთის ხატამდე”** და ეცხო მადლი უკვდავებისა.

ამიტომ, მოვუწოდებთ ყველა გონიერ ქართველს, შემოგვიერთდნენ, გამოვიჩინოთ გონიერება: ვაპატიოთ ერთმანეთს წინაპართა შეცდომები და ერთად შევიმუშაოთ ქართველი ერის გადარჩენისა და განვითარების გეგმა.

კუკური ფიფია,
“ფაზისის” აკადემიის ნამდვილი წევრი

კოლხეთო ჩემო ტკივილო

ჰოი, დამოკლეს მახვილი
მოღერებულა შენზე,
ჩემო ამაყო კოლხეთო საბელს
გიჭერენ ყელზე!
შენი ქოჩორა ბიჭები ცივ
სამარეში წვანან,
ცრემლებდამშრალი დედები
ჯვარზე გაკრულებს გვანან.
შენი სასო და ვედრება ზეცაში
მიაქვს ქარებს
შენი ლამაზი ცირები ცრემლით
ივსებენ თვალებს,
ავად აჩეხილ ვენახებს შავად
ეყრებათ მტვერი
მოყვარემ გადაქელა და აწ რას
დაგაკლებს მტერი?!
ვაი თხასავით გაგყიდეს ამას
რა ფიცი უნდა?
იმან გიღერა მახვილი ვისაც
ფიცავდი მუდამ.
ძმამ არ დაგინდო ღალატის
ლახტი გიჭირა ყელზე,
იუდას შეფიცულები ხუნდებს
გადებენ ხელზე.
ვაი შენ ტკბილო ნანინავ,
გაწყალებულო სისხლო
ვაი ძმავ ძმისთვის დუშმანო,
ჭორო, შურო და ზიზღო,
ვაი რა მახე დაგიგეს, ვაი რა
ზარი დაგცეს,
როგორ უღმერთოდ გაგწირეს,
რა სამარცხვინოდ გაგცეს!
ჩუ, ჩუ, გაყუჩდი თოლიგე,
დაჩოქილიხარ განა?
კვლავაც დაგიზრდის არამხუტს
შენი ტკბილ-მწარი ნანა.
ცოტაც იყუჩე შურიგევ, ტკივილს
გაძლება უნდა
კვლავაც გაიკრავ მახვილზე,
მკლავს, რომ გიჭრიდა მუდამ!
კვლავაც იელვებს ალისფრად
დღე გამარჯვების ფერი
კვლავაც აღსდგება ფერფლიდან
მრავალტანჯული ერი!
კვლავ მოგიხმობენ ზარები,
ძველო მედროშევ ჩქარა!
“ქართველო ხელი ხმალს იკარ!”
– ჩქარა, ჩქარა და ჩქარა!
და შენ კოლხეთო ამაყო, მგლის
მუხლებავ და ნაღდო
შენც იქ გაკვესავ კაჟივით სადაც
მამულმა განდო!
სადაც ძმა შენი უმრწმესი,
რწმენას სისხლისფრად ფერავს
იქ შენი დროშაც მგლისფერი
ხალხის იმედად ელავს!!!

ჯონი გობეჩია

ეროვნული ბიბლიოთეკა

გუანტანამოს ციხე სახელად საქართველო და მისი დირექტორი – მიხეილ სააკაშვილი

26 მაისზე კიდევ ბევრი არაერთხელ ითქმება და დაიწერება. არ მინდა, განვმეორდე და ვთქვა, რომ ეს სადამსჯელო ოპერაცია და სისასტიკე იყო. დრო მოვა, ორგანიზატორის პასუხისმგებლობის, საკუთარი პერსონისადმი არაადეკვატური ამბიციის საკითხიც დადგება. ბურჯანაძის თემის შეხებითაც, არ მინდა, ის უმთავრესი გადაიფაროს, რის დაფარვასაც ასე საგულდაგულოდ ცდილობს ხელისუფლება. ფაქტი კი ერთია, რომ თუ რუსეთმა ფსონი ამ გაკოტრებულ პოლიტიკოსზე გააკეთა, მას, მიუხედავად ამდენი ხნის ისტორიული ურთიერთობისა, ქართველის ხასიათი საერთოდ არ სცოდნია. ამერიკა კი, რომელიც თავს „ყველაფრის მცოდნედ“ მიიჩნევს, აცხადებს, რომ საქართველოს შიდა საქმეებში არ ერევა; ვერ გაუგია, რომ რაც უნდა ჩაწიხლოს, ცემოს, გააღატაკოს ქართველი, პროტესტისა და თავისუფლებისათვის ბრძოლას ის ქართველში ვერ ჩაკლავს – უფრო მეტ პროტესტს მიიღებს. ერთი ქართველი ბავშვიც რომ დარჩეს, იმას ექნება პასუხის გაცემის სურვილი. ეს ქართული გენია და ამას ამერიკა ვერასდროს გაიგებს... მაილსიდან მოყოლებული, როდესაც 2003 წლის წლის არჩევნებისას „ბურჯანაძე-დემოკრატების“ საარჩევნო ხმებისთვის ელჩი პირადად უბან-უბან დარბოდა. ყველასათვის ცნობილია, რომ პარლამენტშიც, „ბურჯანაძე-დემოკრატების“ შესვლის საკითხი მაილსმა სულ „კბილებით გაიტანა“. ყველამ იცის ისიც, რომ ნაციონალების მოყვანაში ამერიკასთან ერთად რუსეთსაც „ლომის წილი მიუძღვის“.

შემდეგ უკვე, ამერიკის ელჩ ტეფტით გაგრძელებული, ამერიკა ელჩის პირით არ მოერიდა იმის განცხადებასაც, რომ **„უკვირს“** (ანუ უკმაყოფილოა) საქართველოში მართლმადიდებლობის უპირატესი როლი.

25 მაისს ახლა უკვე ამერიკის ახალმა ელჩმა ბასმაც დაადასტურა ქართველი ხალხისადმი სიძულვილი. მისი და არავისი სხვისი ბრალია ხელისუფლების სპეცრაზმის არაადამიანური სისასტიკე, ქუჩაში ხელფეხშეკრული მოხუცების, ქალებისა და ბავშვების ხოცვაც კი.

აშშ-ის ელჩმა, ფაქტობრივად, **„მწვანე შუქი“** აუნთო და მიტინგის დარბევის პირდაპირი მითითება მისცა ხელისუფლებას; ამერიკამ სააკაშვილის ხელისუფლებას ტოტალური დაპატიმრებების სანქციაც მისცა. ანალოგიური იყო 2007 წლის დარბევის წინაც. დღეს ელჩის მომხდარის შემდგომი განცხადებები და შეფასებები აღარაფერს ნიშნავს. მოსახდენი მოხდა! ადამიანები სპეცრაზმის სიმხეცის გამო დაიხოცნენ.

„უფლებადაცვითი ორგანიზაციების“ არაოფიციალური ინფორმაციით, ოცამდე გადაცვლილია და ყოველდღიურად ათობით ადამიანს აპატიმრებენ. ელჩების ასეთ პოლიტიკას ამერიკა **„ჩვენი ქვეყნის საქმეებში ჩაურევლობას“** ეძახის? **„კუკლუქსკლანის სამშობლოსა“** და ჯერ კიდევ ქმედით გუანტანამოს ციხის პატრონ ქვეყანას ადამიანთა ხოცვა-ულტა არც გაუკვირდება და გამოჩნდა, რომ მისაღებიც არის. ჩვენ, ქართველებს, რომელთაც ერთი გოჯი მიწა არ წაგვირთმევია ვინმესთვის, ჩვენთან შემოსული მტრის გარდა, არცერთი ერის წარმომადგენელი სასიკვდილოდ არ გაგვიმეტებია, არავის ტრადიციული რელიგია არ შეგვირაცხყვია და აგვიკრძალავს. ან ერთის – რუსეთის, ან მეორის – ამერიკის კეთილგანწყობის როგორ დავიჯეროთ? როცა ერთი ჩვენს კუთვნილ მიწაწყალს გვართმევს, მეორე კი ჩვენს ზნეობრივ, სულიერ და გენეტიკურ საფუძვლებს გვირყევს? ან ერთ სახელმწიფოს რა დაუშავა პატარა საქართველომ, ან – მეორეს?

ჩვენ, ქართველებს, ალბათ, ერთი გზა გვრჩება და ეს ილია ჭავჭავაძის გზაა, რაც **„ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“** გულისხმობს და თავის თავში, გარკვეულწილად, საქართველოს ნეიტრალიტეტს მოიაზრებს. ამ თემაზე დისკუსიისა და მსჯელობის დაწყებაც, ალბათ, გამოუვალმა პოლიტიკურმა ვითარებამ წარმოშვა. გვიან არასდროს არის მსჯელობის დაწყება. დღეს მთავარი როგორმე ქვეყნის გადარჩენაა.

სრულიად აშკარად და ნათლად გამოჩნდა ის, რაზეც არაერთმა სადად მოაზროვნე ქართველმა არაერთხელ გამოთქვა აზრი – საქართველოსა და ქართველი ხალხის განადგურება მიზანმიმართულად მიმდინარეობს. არც იმაზეა საუბარი, სააკაშვილის და ხელისუფლების წარმომადგენლების ეროვნება სომეხია, ოსი, თუ ფრანგი.

ფაქტი ერთია, რომ ქართველის – არ ვიცი, რა დავარქვათ – გულუბრყვილო, თუ მიამიტი ბუნება (ქართველის მოდალატური ბუნების მოსაზრებას კატეგორიულად არ ვეთანხმები) ჩვენით, და არაერთი წელია, გარედან მანიპულირებენ. ეს ყველაფერი კი კარგად შესწავლილი ქართული ბუნების, ერთმანეთისადმი დამოკიდებულებისა და ჩვენი კარგად შესწავლის შედეგად ხდება. ქართველთა და საქართველოს ყველა მარცხიც, თეოლოგიურ-ბიბლიური საფუძვლების მხრივადაც, კარგად დამთხვეული და გათვლილი რომაა, ამას ყველა ვერ მიხვდება.

2003 წლის 22 ნოემბერი სატანისტური დღე იყო. 21 მაისი კი – სავსემთვარეობა. ორივე დღეს რაიმე სახელმწიფოებრივი ქმედების განხორციელება საქართველოსთვის აუცილებლად დამღუპველ შედეგს მოიტანდა. პირველ რიგში, ქართველის, როგორც ეთნიკური ერთეულის, განადგურებას ვგულისხმობ. განსწავლულ და ქალდეველ ქურუმთა კასტური ოლიგარქიის საიდუმლო ცოდნაც ბევრისთვის მიუწვდომელია, დაფარულია და, ალბათ, საჭირო არც არის მისი ღიად საუბარაოზე გამოტანა. ქალდეველ შუმერთა სამყაროს საიდუმლო ცოდნაზე, ქართული ასომთავრული ანბანის ღვთაებრივ წარმოშობასა და დანიშნულებაზე ასეთი მოკლე პუბლიკაციებითა და სპეციალური განათლების გარეშე საუბარიც უსაფუძვლო და გაუგებარი იქნება. დაინტერესებული ადამიანები საჭირო ინფორმაციისა და ცოდნის მოპოვებას, თემის საგულდაგულოდ დაბლოკვის მიუხედავად, მაინც ახერხებენ. ჩვენი – საქართველოს, მთავარი მიზანი იმ გაუსაძლისი პოლიტიკურ-სოციალური კრიზისიდან გამოსავლის ძიება უნდა იყოს, რომელიც საფრთხეს უქმნის როგორც ქართულ სახელმწიფოებრიობის, ისე თავად ქართველის, როგორც უძველესი ეთნოსის წარმომადგენლის, არსებობას. ნურავინ იტყვის იმას, რომ ნებისმიერი ძლიერი სუპერსახელმწიფო, მასთან დამეგობრების შემთხვევაში, საქართველოს სასარგებლოდ, მისთვის საჭირბოროტო პრობლემებით დაინტერესდება. ასე არასდროს მოხდება.

მსოფლიოში დღეს ორი პოლუსი – ორი სუპერსახელმწიფო მოიაზრება. ერთი რუსეთია, მეორე კი – ამერიკა. ბუნებრივია, რომ ერთი მეორის დაძირვას და მსოფლიოში პირველობას ცდილობს. საქართველო თავისი გეოგრაფიული ზომებისა და ისტორიული ეთნოსის, ქართველის რიცხოვნობიდან გამომდინარე, ვერც სუპერსახელმწიფო გახდება და არც ამის პრეტენზია ჰქონია ოდესმე. მიუხედავად ამისა, მისი გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე (ევრაზიის გასაყარი და კავკასიის ცენტრი), ინტერესი მის მიმართ ისტორიულად დიდი იყო. განსაკუთრებული აქტუალობა ამან დღეს –21-ე საუკუნეში, კატაკლიზმების, **„ბოლო ჟამის“**, **„გლობალიზაციისა“** და ე.წ. ახალი მსოფლიო წესრიგის დამყარების პერიოდში შეიძინა. ყველაფერი ისევ თეოლოგიურ და ბიბლიურ ცოდნასთან კავშირში რომაა, ამაზე საუბარი შორს წაგვიყვანს და ბევრისთვის გაუგებარიც იქნება. ბიბლიის ელემენტარული ცოდნაც საკმარისია იმისთვის, მიხვდე, რომ ყველაფერი, რაც დღევანდელ მსოფლიოში **„ახალი მსოფლიო წესრიგისა და გლობალიზაციის“** სახელით კეთდება, პირდაპირ უკავშირდება ბიბლიაში აღწერილ **„მეორედ მოსვლისა და განკითხვის“** პროცესს. ათეისტების, დეითებისა და **„დემოკრატიული მოდერნიზაციის“** მომხრეთათვის ეს მოსაზრება გაუგებარი და მიუღებელია. ჩვენს მიზანსაც ამ თემაზე კამათი და პოლემიკა არ წარმოადგენს. გაუთავებელი რევოლუციებისგან, პოლიტიკური ორიენტაციის ცვლისგან – ხან დასავლური, ხან აღმოსავლურ-ჩრდილოური, შიდა თუ გარე ომებისგან, ალბათ, ორივე ფრთის მომხრე მხარე დაიღალა...

რეალობა კი ასეთია: არსებობს თაობა, რომელიც გარკვეულ ტრადიციულ ფასეულობებსა და პრინციპებზე აღიზარდა. ამავე დროს, არსებობს მეორე – ახალი აზროვნების ადამიანების კატეგორია, რომელიც სრულებით განსხვავებულ ნორმებს, პრინციპებსა და იდეოლოგიას ემხრობა. ორივე კატეგორია საქართველოს მოქალაქეები და მისი ნაწილია. ვერც ერთს **„გადავყრით“** და გავანადგურებთ და ვერც მეორეს. არც ის მოსაზრება იქნება სწორი, რომ მხოლოდ ეს ახალია სწორი და ძველი უნდა უგულებელვყოთ. შეიძლება მალე დადგეს დრო და აღმოჩნდეს, რომ სწორედ ეს ძველი და ტრადიციული იყო სწორი და მართალი გზა. ამ დავასა და ბრძოლაში წლებიც გადის და ქართული სახელმწიფოებრიობაც სუსტდება.

საქართველოზე გავლენის მოსაპოვებლად ორივე სუპერსახელმწიფო – რუსეთიცა და ამერიკაც, პირადი ინტერესების გასატარებლად საქართველოში საკუთარი **„გავლენების აგენტების“** ქსელის გაძლიერებას ცდილობს. მათთვის ეს, უბრალოდ, აგენტურაა, ჩვენთვის კი უცხო ქვეყნიდან **„დავერბოვკებული“** ჯაშუშები, რომლებიც საქართველოს სასიკეთოს არაფერს მოუტანენ.

სახელმწიფოს მართვის მოდელად კონსტიტუციური მონარქიის არჩევის საკითხშიც ბევრი დამაბრკოლებელი ფაქტორი, აზრთა სხვადასხვაობა და უნდობლობაა როგორც პოლიტიკოსთა, ისე იმავე სუპერსახელმწიფოთა მხრიდან. საქართველოზე გავლენის მოპოვების მსურველ არცერთ ქვეყანას ხელს არ აძლევს, ქართველს მიწაწყლის, ენისა და სარწმუნოების მოყვარული პირი მართავდეს. ასეთი მმართველი – სიმბოლური მეფე, ავტომატურად გამორიცხავს უცხო ქვეყნის ინტერესებისთვის საქართველოს საზიანო ქმედებებს; იქნება ეს ტერიტორიების დათმობა, მშობლიური ენის დაკნინება თუ სარწმუნოების შევიწროება. კონსტიტუციური მონარქიის თემაც დღეს და ხვალ გადასაჭრელი საკითხი არ არის. მას კარგი ანალიზი, ამ საკითხში საზოგადოების სწორი ინფორმირებულობა და სერიოზული მიდგომა სჭირება. ჩვენ კი, გამომდინარე იქიდან, რომ საქართველო, პრაქტიკულად, კავკასიის ღერძს წარმოადგენს, კავკასიაზე გავლენის მოპოვებით ნებისმიერი სუპერსახელმწიფო, ფაქტობრივად, მსოფლიოზე კონტროლის სადავეებს იღებს ხელში, მუდმივად **„ორ აქლემს შუა გაჭყლეტილი კოზაკის“** როლში გამოვდივართ. საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ყოფნისას ეს საკითხი მეტ-ნაკლებად გარკვეული იყო. გეოგრაფიული მეზობლობის გამო, კავკასიაზე გავლენას რუსეთი ფლობდა და ამ საკითხში კონკურენტი მას არ ჰყავდა. ამ გარემოებას სარწმუნოებრივი, კულტურული და ეთნიკური საფუძველიც ამყარებდა. თუმცა საქართველოს **„გადაყლაპვის“** სურვილი მაშინაც არსებობდა.

სხვა ვითარება შეიქმნა დღეს, როდესაც გეოგრაფიულად, იდეოლოგიურად, რელიგიურად და მენტალურად სრულიად დაშორებული, ქვეყანა – აშშ, კავკასიის რეგიონში რუსეთის ჩანაცვლებასა და გავლენის გავრცელებას ცდილობს. საბჭოთა კავშირის დაშლის ერთ-ერთი მთავარი მიზეზიც, პოლიტიკური სტრუქტურის მოძველებასთან ერთად, ამერიკის მიერ რუსეთის გეოპოლიტიკური გავლენის ჩანაცვლებაც იყო. ყველა ნორმალური ქართველისთვის, და იმედი მაქვს, რომ ასეთები კიდევ დარჩნენ, საქართველოს მის ისტორიულ ჩარჩოებში გადარჩენა უმნიშვნელო არ უნდა იყოს. ეს კი, თავისთავად, მისი ტერიტორიული საზღვრების, ცნობიერების, კულტურულ-ეთნიკური მენტალიტეტის, ენობრივი სტატუსისა და რელიგიური თვითმყოფადობის შენარჩუნებასაც გულისხმობს.

ისტორიულმა გამოცდილებამ დაგვანახვა, რომ საუკუნეებია, რუსეთი, ახლა კი ამერიკაც, თავს არ დაგვანებებს. ჩვენი გეოპოლიტიკური მდებარეობის პლუსიცა და მინუსიც შესაძლოა, ეს არის. პოლიტიკურ ორიენტაციებზე დავამაც დღემდე კარგი არაფერი მოგვიტანა – მხოლოდ დავსუსტდით, გავწყდით და გავიხლიჩეთ როგორც ერი. **„დაყავი და იბატონე“** კი მხოლოდ საქართველოს **„მტრის წისქვილზე ასხამს წყალს“.**

ქართველმა საზოგადოებამ და არა პოლიტიკოსებმა, რომლებიც ან ერთი ან მეორე სუპარსახელმწიფოს აგენტები შეიძლება აღმოჩნდნენ, სისტემური კრიზისიდან გამოსასვლელად უნდა დაიწყოს მსჯელობა საქართველოს როგორც ნეიტრალური ქვეყნის სტატუსზე. ამის საფუძველს, პირველ რიგში, მისი გეოპოლიტიკური მდებარეობა იძლევა. შვეიცარიაზე მეტად სწორედ საქართველოს აქვს იმის საფუძველი, საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე თავისი ნეიტრალიტეტის საკითხის გატანა დააყენოს. რომელი მხარეც წავა უარზე, გასაგები გახდება, რომ მას საქართველოზე ბატონობა სურს და არა მასთან მეგობრობა. ნეიტრალიტეტით ქვეყანა 25 მაისის ფაქტებსაც აიცილებს თავიდან. რომელიმე ქვეყნიდან გადატრიალების ფაქტორიც გამოირიცხება.

ერთი წუთით წარმოიდგინეთ, საქართველო თავისი წიაღისეულით, მადლიანი მიწით, წყლის მარაგით, კლიმატით, მშრომელი ხალხით, რომელსაც დღეს შრომის ყველანაირი პირობა მოუსპეს, რა პოტენციალს ფლობს და როგორი აყვავებული ქვეყანა შეიძლება გახდეს? არ იქნება განლაგებული არცერთი უცხო ქვეყნის ბაზა. ვიმეზობლებთ რუსეთთანაც და ვიმეგობრებთ ამერიკასთანაც და ევროპასთანაც. ჩვენთან წარმოებულ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტს გავიტანთ მსოფლიო ბაზარზე. სასმელი წყლის ულევი მარაგითაც შევძლებთ ჩვენთან არარსებული ნებისმიერი რესურსის ბარტერული გაცვლის წარმოებას. ერი გამრავლდება. ქვეყანა ფეხზე დადგება.

დღეს კი საქართველო **„გუანტანამოს ციხედ“** არის ქცეული, სადაც ხელფეხშებოჭილ ქართველებს გავეშებული და სისხლსმოწყურებული მანიაკები პირდაპირ ქუჩაში ხოცავენ, დაკავებულებს კი საკნებში აწამებენ. 25 მაისს – ქართველ ხალხთან ანგარიშსწორების დღეს, მწკრივში ჩაყენებული ხელებშეკრული ადამიანების ჩატარება მოედნისკენ საკონცენტრაციო ბანაკების ტყვეებისა და გუანტანამოს ციხის ტუსაღების ასოციაციას იწვევდა. უსიტყვო და მონური მორჩილებისა და შიშის დანერგვა, უუფლებობისა და დაუცველობის განცდის გაჩენა – ეს იყო დარბევის და არა დაშლის მთავარი მიზანი.

საერთაშორისო ნორმების მიხედვით, არასანქცირებული მიტინგის დაშლის დროსაც კი მომიტინგეებს გასასვლელს უტოვებენ. სხვა საკითხია, რატომ გააკეთა, თუ მართლა გააკეთა რუსეთმა გათვლა ისეთ უპასუხისმგებლო ლიდერზე, რომელიც, სააკაშვილის მსგავსად, თანამებრძოლებს ბრძოლის ველზე მიატოვებდა თავის გადასარჩენად.

ბოლო წლების გამოცდილებით, ყველაფრის ამერიკისა და მისი დირექტივების გათვალისწინებით მოქმედ ხელისუფლებას, ამერიკამ საქართველო **„გუანტანამოს ციხედ“** გადააქცევინა. ამერიკელი მრჩევლების მითითებით განხორციელებული გარდაქმნებითა და **„დემოკრატიული რეფორმებით“** იქამდე მივედით, რომ ადამიანებს საკუთრებას ართმევენ, ქვეყნიდან გაქცევას აიძულებენ, უმუშევრად და უსამსახუროდ დატოვებულ მოსახლეობას ლუკმაპურის საშოვნელად სხვასთან მონად დადგომას აიძულებენ, ქართულ ოჯახს ანგრევენ, წინაპარს შეურაცხყოფენ, მეძავობისა და გარყვნილების იდეოლოგიას ნერგავენ. ახალგაზრდა ბიჭებს, თვით **„სამართალდამცავ სტრუქტურებშიც“** კი, ქართველისთვის ყველაზე დიდ შეურაცხყოფას აყენებენ – აუპატიურებენ! შეურაცხყოფის ეს ფორმა წესად ექცა ქართულ სამართალდამცავ სტრუქტურებს. ცნობილი 6 მაისი – დიდუბის პოლიციის სამმართველოსთან გამართული აქციის ერთ-ერთი მიზეზიც, მაშინ დაკავებულ ბიჭებზე სექსუალური ძალადობის ფაქტების გავრცელება იყო. მამრობით სქესზე სექსუალური ძალადობის ფაქტები, ამ ფორმით პატიმართა დაშინების მცდელობა და იძულება სოდომია და კუდის ჩვეულ მეთოდად იქცა. ეს უკვე ერის შეურაცხყოფა და ტრაგედიაა. ასეთ ფაქტებზე საერთაშორისო სამართალი მკაცრად რეაგირებს. თუმცა საქართველოში **„ყველაფერში ჩახედული და ყველაფრის მრჩეველი“** ამერიკა ამაზე არ რეაგირებს. ეს კი ეჭვს აჩენს, რომ ისევე, როგორც ბევრი სხვა რამ, სადამსჯელო ზომად ასეთი სოდომისტური მეთოდის გამოყენებაც ისევ ამერიკის მითითებით ხდება. მითუფრო გუანტანამოს ციხეშიც ამის არაერთი მაგალითია აღწერილი და დაფიქსირებული.

საქართველოს მოსახლეობას უცხოეთიდან შემოტანილი გენური პროდუქტითაც სპობენ. საექსპერიმენტოდ განკუთვნილ აცრებსაც ჩვენს შვილებზე ცდიან. მამაპაპის მიწაწყალსაც გვიყიდიან და ქართველსაც უმიწაწყლოდ ტოვებენ.

ქართველო, გინდა გადარჩენა და არსებობა შენს საქართველოში? გინდა ქართველობა?

ყველამ თუ არ ვიფიქრეთ გამოსავალზე, ვიღუპებით, ხალხნო! ჩვენი უგუნურებით ვიღუპებით!

ერთადერთი გზა, რამაც საქართველო, როგორც ქვეყანა და ქართველი, როგორც ერი, შეიძლება გადაარჩინოს, ეს ევროპისა და აზიის გასაყარზე არსებული ამ პატარა ქვეყნის ნეიტრალურად გამოცხადება იქნებოდა, რასაკვირველია, საერთაშორისო თანამეგობრობის კეთილი ნების შემთხვევაში.

ბაია ამაშუკელი,
საინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო „საქინფორმი“

ქართველებსა და აფხაზებს შორის დარღვეული ნდობის აღდგენა აუცილებელია

წლები გავიდა აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაკარგვიდან. ჩვენს მიერ მიტოვებულ ადგილსამყოფელში ფეხს იკიდებს გადამთიელი, ბედის მაძიებელი უცხო ტომები. თუ ასე გაგრძელდა, სულ მალე ქართველების მიერ დაცარიელებულ სოფლებში გაჩნდება რუსულ-კაზაკურ-სომხური სტანიცები.

საქართველოს ცენტრალური ხელისუფლებისა და გაეროს რეზოლუციებით მოტყუებული მოსახლეობის უმრავლესობამ დაჰკარგა შინ დაბრუნების იმედი და შეეგუა დევნილის მწარე ხვედრს. საბედნიეროდ, თუ სამწუხაროდ, დევნილთა ერთი ჯგუფი კარგად დამკვიდრდა დედაქალაქში თუ სხვა ადგილებში, აიშენეს და დაამშვენეს სახლ-კარი, ბევრი უკეთეს პირობებშიც კი ცხოვრობს, ვიდრე დევნილობამდე ცხოვრობდა. რასაკვირველია, მათ უმრავლესობას არ ექნებათ აფხაზეთში დაბრუნების სურვილი, რადგან მესამედ მოუწევს ცხოვრების დაწყება.

19 წლის ლოდინის შემდეგ, როდესაც დევნილი მოსახლეობის შინდაბრუნების არავითარი პერსპექტივა არ ჩანს, ჩვენ, დევნილობაში მყოფი უფროსი თაობის ღვაწლმოსილი წარმომადგენლები, რომელნიც აფხაზ კოლეგებთან ერთად, ვუძღვებოდით ომამდელი აფხაზეთის ცალკეული დარგების განვითარებას, უფლება არ გვაქვს გულხელდაკრეფით შორიდან ვუყუროთ განვითარებულ მოვლენებს, როდესაც გადამთიელ უცხო ტომთა მიერ უმოწყალოდ ნადგურდება ჩვენი და ჩვენს წინაპართა შრომით შექმნილი ნაოფლარი, ნაამაგარი, როდესაც ღვივდება შუღლი ჩვენსა და იქ დარჩენილ აფხაზ თანამემამულეთა და ნათესავ-მეგობართა შორის. ამას ჩვენი მომავალი თაობაც არ გვაპატიებს.

ამ მიზნით შეიქმნა **"აფხაზეთში დაბრუნების მსურველთა ფონდი"** (იგივე **"ნდობის აღდგენისა და სერიგების ფონდი"**), რომლის დამფუძნებლები არიან: ოლეგ ჯოლია (თავმჯდომარე), იასონ ფავლენიშვილი, ჯუმბერ ხუბუტია და მერაბ მაღლაკელიძე.

ფონდის ამოცანაა ხელი შეუწყოს სახალხო დიპლომატიის განვითარებას, აფხაზებსა და ქართველებს შორის ნდობის აღდგენისა და დევნილთა მშობლიურ მიწა-წყალზე დაბრუნებას.

ამ მიზნით უკვე დამყარდა კავშირი მსოფლიოს ქვეყნებში არსებულ ქართულ სათვისტომოებთან.

არსებულ ფონდთან შეიქმნა უხუცესთა საბჭო, რომლის თავმჯდომარეა კოტე მარშავა, მოადგილე – მამანტი ჯოლია, სადაც გაერთიანდნენ მორე მსოფლიო ომის ვეტერანები, პროფესორ-მასწავლებლები, მეცნიერები, მწერლები, ხანდაზმული საზოგადოება, არა მარტო დევნილები, არამედ საქართველოს სხვა დამსახურებული ადამიანები, რომელთა მიზანია ქართველ და აფხაზ ხალხს შორის ვიღაცის ბოროტი ნებით დარღვეული ურთიერთობის, ელემენტარული ადამიანური ნდობის ტრადიციული, მეგობრული დამოკიდებულების აღდგენისათვის ზრუნვა.

საბჭომ მასმედიის საშუალებით მიმართა აფხაზეთის უხუცესთა საბჭოს, რომელიც მალევე მიიღო მისმა თავკაცმა კონსტანტინე ოზგანმა. მიმართვის სრული ტექსტი მაშინათვე გადასცა **"რადიო თავისუფლებამ"**. მიმართვას გამოეხმაურა ბატონი ოზგანი, რომელმაც ჩვენი საბჭოს შექმნა დადებითად შეაფასა.

ყველა ამ ღონისძიებას წინ უსწრებდა გადამდგარი პოლკოვნიკის, აფხაზეთის ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის ბატონი მამანტი ჯოლიას სტატია გაზეთ **"საქართველოს რესპუბლიკაში"** სათაურით **"უნდა დავფიქრდეთ"**, სადაც სხვა საჭირბოროტო საკითხებთან ერთად ხაზგასმით წერდა, რომ **"იმ მებრძოლებმა, რომლებმაც ჩინმედლები მიიღეს ძმათა ომში, ეს ჯილდოები უკან უნდა დააბრუნონ"**. აღნიშნულ სტატიას მოჰყვა დიდი გამოხმაურება!

ჩვენდა სამწუხაროდ, დღესაც არიან ადამიანები, ყოფილი მხედრიონელები და სხვა სამხედრო ჩინოვნიკები, რომლებსაც მოსწყინდათ ცხოვრება ავტომატის კაკანის გარეშე (ალბათ გაუთავდათ ნაქურდალი) და მოურიდებლად გამოდიან გაზეთებში თუ ტელევიზიაში, რათა ომით დაიბრუნონ აფხაზეთის ტერიტორია. სამწუხაროდ, ასეთ გამოსვლებს არავინ აკრიტიკებს.

აი, რას სწერს ბატონი სერგეი შამბა;

"საქართველოსა და აფხაზეთს შორის მეგობრობის აღდგენა შესაძლებელია. კონფრონტაციული პოლიტიკის წარმოება სოხუმის ინტერესებში არ შედის. საქართველოს ხელისუფლებას ამაზე თანხმობა რომ განეცხადებინა, რეგიონში ახლა სულ სხვა ვითარება გვექნებოდა, თავიდან ავიცილებდით სისხლისღვრას და ომს, დაიწყებოდა ჩვენს ხალხებს შორის ნდობის აღდგენის პროცესი... ურთიერთობა უნდა აღდგეს, რისთვისაც ხანგრძლივი მუშაობაა საჭირო... თუ მოვლენ იმ აზრამდე, რომ ტერიტორიის ძალით დაბრუნება არაფერს მოიტანს, იმედი მაქვს, ტრადიციული მეგობრული ურთიერთობა აღდგება, რაც ჩვენს ხალხებს შორის არსებობდა და მომავალშიც უნდა იარსებოს" ("ახალი თაობა", 2009, 27 თებერვალი).

ასევე სოხუმსაც მოსწონს **"ევროპის სამეზობლო პოლიტიკის აღმოსავლეთ განზომილების მიმოხილვის თაობაზე რეზოლუცია"**, რომელიც ევროპარლამენტმა 2011 წლის 7 აპრილს მიიღო.

რეზოლუცია მოუწოდებს ევროკავშირის სამსახურს ნდობის აღდგენისაკენ მიმართული უფრო მეტი ღონისძიების გატარებას... არაოფიციალურ კონტაქტებზე და კონსულტაციებზე განდგომილი რეგიონის საზოგადოებასთან.

მართალია, რეზოლუციები და მოწოდებები არც ევროკავშირისა და არც გაეროსგან არ გვაკლია, მაგრამ რეზულტატი არ ჩანს. დევნილი მოსახლეობის უმრავლესობა 19 წელია გაუსაძლის პირობებში ცხოვრობს. თუმცა, ახლახან მოვისმინე სახალხო დამცველის გამოსვლა პატიმრების საცხოვრებელი ფართის უკმარისობაზე. სასაცილოა. აბა, მივიდეს ლტოლვილთა სამინისტროში და წაიკითხოს საცხოვრებელი ფართის მთხოვნელ დევნილთა განცხადება, მათ შორის სამამულო ომის ინვალიდებისა. პატიმრებს ვჯობნით იმით, რომ თავისუფალი სიარულის ნება გვაქვს. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ლტოლვილი მოსახლეობა ვერ დათმობს საერთაშორისო სამართლით მათზე მინიჭებულ უფლებამოსილებას, არ დათმობს საკუთარი ქონებრივი და იურიდიული უფლებების ძალადობრივად, მუხანათურად წართმევას და ყოველნაირ ზომებს მიმართავს ამ უფლებების აღდგენისათვის. დევნილები ადრე თუ გვიან აუცილებლად დაუბრუნდებიან თავიანთ კარ-მიდამოებს, მაგრამ ისიც უნდა გავიაზროთ, თუ როგორი იქნება ჩვენი თანაცხოვრება, აღდგება თუ არა მათ შორის ნდობის ფაქტორი.

სწორედ ყველა ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ჩამოყალიბდა **"აფხაზეთში დაბრუნების მსურველთა ფონდი"** და **"უხუცესთა საბჭო"**.

ჯერ ერთი – შეიძლება ვინმეს არ სურდეს აფხაზეთში დაბრუნება. მეორეც – შეიძლება ბრალი მიუძღვის ქართველებსა და აფხაზებს შორის კონფლიქტის დაწყებაში. უხუცესთა საბჭოში კი არჩეული არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც ორივე მხარისათვის მისაღებია.

აფხაზეთის ხანდაზმულთ ძალუძთ, სახალხო დიპლომატიის აქტივიზაციის გზით, პოზიტიური როლი შეასრულონ ქართველ და აფხაზ ხალხებს შორის კონფრონტაციის აღმოფხვრის, ნდობის აღდგენისა და ტრადიციული მეგობრული დამოკიდებულებების აღდგენაში.

ამ მიზნით მივმართეთ აფხაზეთის უხუცესთა საბჭოს თავკაცს ბატონ კონსტანტინე ოზგანს, რათა ახლო ხანში მოხდეს ჩვენი უხუცესთა საბჭოების შეხვედრა, და არა მარტო ჩვენი, არამედ ნათესავთა, მოგვარეთა და მეგობართა შეხვედრები.

ჩვენი უხუცესთა საბჭო დიდი ხანია ემზადება შეხვედრისათვის. ვიცით, ჩვენს შორის დიალოგი არ იქნება იოლი, მას სჭირდება დიდი გონება და ობიექტურობა, ზრუნვა საერთო ინტერესებისადმი.

ოდიშარებსა და შარაშიებს შორის ხშირად იყო კონფლიქტი, მაგრამ სახალხო დიპლომატია მოქმედებდა და იმარჯვებდა.

არ მჯერა და ვერც ვერავინ დამაჯერებს იმაში, რომ ასე მალე შეიძლება გაქრეს საუკუნოვანი მეგობრობა აფხაზებსა და ქართველებს შორის.

მირიან ჯალაღონია,
აფხაზეთის ვეტერანთა კავშირის თავმჯდომარე, აფხაზეთის ეროვნული აკადემიისა და საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა აკადემია "ქალდეას" ნამდვილი წევრი – მწერალი.

ზოგიერთ ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის ტერმინთა ეტიმოლოგია

ქართველურ ენებში გავრცელებულია მრავალი ისეთი ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის ტერმინი, რომელთა ეტიმოლოგია ჯერ არაა დადგენილი, ანდა თანამედროვე მეცნიერება მათს უცხოენობრივ წარმოშობას და შემდგომ ჩვენს ენებში გავრცელებას ამტკიცებს. ასეთი ტერმინებია: **ქიმია, ალქიმია, ექიმი, სკოლა, კალენდარი, ღვინო, შაქარი, ბერკეტი, მათემატიკა, არითმეტიკა** და ა.შ. გვსურს მკითხველს გავაცნოთ ამ და სხვა მრავალ მათთან დაკავშირებულ ტერმინთა გენეზისის ჩვენებური ინტერპრეტაცია და მცდელობა – დავუკავშიროთ ისინი ქართველურ, კერძოდ, მეგრულენოვან სამყაროს.

მიგვაჩნია რა, რომ ზემოთხსენებულ ტერმინთა განმაზოგადებელი, საერთო არსი ერის ცივილიზაციის სამსახურშია და მ. ე. ისინი ამ კუთხით განუწყვეტელ ურთიერთკავშირში არიან, შევეცდებით, შეძლებისდაგვარად, წარმოვაჩინოთ ეს კავშირი. ძირითადად, მათ შესახებ საუბარი ავაწყოთ, ჩვენის აზრით, მათგან უმნიშვნელოვანეს ტერმინ **ქიმიის** ირგვლივ.

როგორც ცნობილია, ტერმინ **ქიმიის** წარმოშობა საბოლოოდ არაა დადგენილი. მეცნიერებაში გავრცელებული შეხედულებით – ძველეგვიპტური სიტყვა – **ხემ**-ია **„შავი მიწა"**-სთან მისი კავშირი ნაკლებ სარწმუნოა, უფრო ანგარიშგასაწევია ამ სიტყვის, როგორც ეგვიპტის ძველი სახელწოდების მნიშვნელობა. ლოგიკურია ვივარაუდოთ ტერმინის საფუძვლად იმ ქვეყნის სახელი, სადაც წარმოიქმნა და უპირატესი გამოყენება ჰპოვა. დიდი ძვ. ეგვ. ცივილიზაცია ასეთი დაშვების შესაძლებლობას აადვილებს. მაგრამ რატომ არ გამოიწვია ზემოთხსენებულმა ფაქტმა ადექვატური გამოძახილი ანტიკურ წყაროებში? და რატომაა ეს გამოძახილი მიმართული მაინცადამაინც კოლხეთისაკენ (იხ. ქვემოთ)?

რაც შეეხება ტერმინ **ქიმიას** ბერძნულ სიტყვა **ხიმა „სხმა"** ჩამოსხმა-დან წარმომავლობის ჰიპოთეზას, უნდა აღინიშნოს, რომ ეს სიტყვა ნამდვილად წარმოიქმნა მეტალურგიულ პროცესებთან დაკავშირების, მაგრამ (ჩვენ შევეცდებით ეს შეძლებისდაგვარად დავასაბუთოთ) არა ბერძნული მეტალურგიისა და ენის წიაღში, დაკავშირებული იყო არა მარტო მეტალურგიასთან, არამედ **მიწათმოქმედებასთან, მედიცინასთან, კულინარიასთან, საერთოდ ადამიანის ამა თუ იმ სახის მოღვაწეობის ამსახველ სიტყვებთან**.

უძველეს ეპოქებში **ქიმია** შეუძლებელია ყოფილიყო დიფერენცირებული მეცნიერება: **მიწათმოქმედება, მედიცინა, მეტალურგია, კულინარია, ტყავის, ძაფის საღებავების წარმოებადამუშავება** – ეს მოღვაწეობის ის სფეროებია, სადაც ადამიანი იყენებდა **ქიმიის** ელემენტარულ ცოდნას და მ.ე. თითოეულს ამ დარგთაგან, ძვ. კოლხეთში ეგრერიგად განვითარებულს, უნდა განემტკიცებინა ერთხელ წარმოქმნილი ტერმინის აუცილებლობა.

ადამიანს პირველადი **ქიმიური ერუდიცია** უნდა მიეღო საკვების მოპოვებისა და დამზადების პროცესში.

ცეცხლის აღმოჩენიდან იწყება საკვების თერმიული დამუშავება, რგვა-თესვის მეთოდის ათვისებიდან – მიწათმოქმედება, მესაქონლეობა, მეტალურგია, და ა.შ.

რგვა-თესვის მიგნება კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე ღირსშესანიშნავი მიგნებაა. მან განაპირობა ადამიანის საქმიანობის პოლიმორფიზმი და მოდვაწეობის თითოეულ სახეობათა შემდგომი განვითარება.

თუ დავაკვირდებით სიტყვებს: **მარგალი** უდრის: 1)„მეგრელი; 2)მრგველი; 3)გლეხი." **რგ**-უალა „**რგ**ვა," ბა-**რგ**-უა „მა-**რგ**-ვლა," ბე-**რგ**-ი „თოხი," ა-**რგ**-უნი **„ნაჯახი"**, მა-**რგ**-ილი (სამიწათმოქმედო იარაღი), ნე-**რგ**-ი და ა.შ. გვარ-სახელებს: გიო-**რგ**-აძე, გიო-**რგ**-ობიანი, გე-**რგ**-აია გე-**რგ**-ედა, გიო-**რგ**-ი, გე-**რგ**-ე და ა. შ. ვნახავთ: ნე-**რგ**-ს და **რგ**-ვას ამ სახელებთან ერთი საერთო **რგ** კომპლექსი აკავშირებთ. რომელიც ოდესღაც, უთუოდ, მათი საერთო ძირი გახლდათ (ამაზე მნიშვნელობით დაკავშირებულ ამ სიტყვებში **რგ** კომპლექსის ჭარბი ხდომილობები ღაღადებს). მაგრამ, ვინაიდან ამ დიდმნიშვნელოვანი სიტყვების კოჰორტაში **ეთნიკური ერთეულის, გვარის, სახელის, სამიწათმოქმედო იარაღების და მიწათმოქმედების ამსახველი** მეგრული სიტყვებია, ცხადია, ისინი წარმოქმნილნი არიან რგვა-თესვის მიგნების პროცესში და მ.ე. ეთნონიმი მა-**რგ**-ალი **„ზედმიწ. მ-რგველი"** მიწათმოქმედების შემქმნელი ხალხის სახელია.

ბერ-კეტ-ის როლი კაცობრიობის ისტორიაში ცნობილია: **კეტს ადამიანი ოდითგანვე იყენებდა, როგორც ბერკეტის თვისების მქონე იარა**აღს. ასე რომ **ბერ+კეტ**-ში კეტის ფუნქცია გასაგებია, რასაც ვერ ვიტყვით **ბერ** კომპონენტზე ამ სიტყვისა. მაგრამ საკმარისია **ბერკეტ**ი მივაკუთვნოთ ზემოთხსენებულ სამიწათმოქმედო სიტყვათა ჯგუფს, რომ საკითხი გახდეს ნათელი: ის სხვა არაფერია თუ არა**გ** დაკარგული ბერგ-კეტი უდრის ზედმიწ. **თოხ-კეტი**.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, **ბერკეტ**ის თვისების **კეტს** ადამიანი ხმარობს უძველესი ეპოქებიდან, ვთქვათ ნადირობისა და თავდაცვისათვის, მაგრამ როგორც კი ის ხდება შრომის, კერძოდ მიწათმოქმედების იარაღი, შესაბამისად რთულდება ამ პროცესის გამომხატველი **რგ** ძირიანი (ბ**ერგ „თოხ"**) კომპონენტით: ბე-**რგ**+კეტ>ბე-**რ**-კეტ-ი.

მეტალურ თოხამდე **ბერგ-კეტის** (თოხჯოხის) გამოყენება კანონზომიერი და გარდაუვალია. ის უნდა ყოფილიყო დედანი სწორუპოვარი და უნიკალური კოლხური ა**რგ**უნისა და ბ**ერგ**ისა **„ცულისა და თოხისა"** (ეს ორი იარაღი მთავარი დამახასიათებელი ატრიბუტია სახელოვანი კოლხური ცივილიზაციისა). ე.ი. **ბერკეტის** დანიშნულების დიფერენცირებისდა მიხედვით მოხდა შესატყვისი იარაღების და მათი სახელების წარმოქმნა.

მეტად ნიშანდობლივია, რომ ფეოდალურ საქართველოში მოხელეს პოლიციური ფუნქციით **არგ**ნოსანი ერქვა და შეიარაღებული იყო **ხელჯოხით** – **არგ**ანით.

ისტორიული ტრადიციების თანახმად, ამ იარაღებისა და მათი საშუალებით ადამიანის მოღვაწეობის ამსახველმა სიტყვებმა განაპირობეს ქვეყნის სახელდება –გეო**რგ**ია და ტომის სახელის – მა**რგ**ალ-ის (როგორც **მრგველის, მიწათმოქმედის**) დამკვიდრება.

რგ-ძირიან, ზემოთხსენებულ, სიტყვათა სიძველის საკითხის გარკვევისათვის დიდმნიშვნელოვანია ანთროპონიმ **გიორგ**-ის წარმოშობის გარკვევა. მას მიაკუთვნებენ ბერძნულენოვან სამყაროს, რადგან ბერძნულად **გე**ო მიწაა, **გეორგ**ი კი, შესაბამისად, მიწათმოქმედადაა გააზრებული. ჰიპოთეზა საფუძვლიანია, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მიწათმოქმედი მიწა არაა, ის და ტერმინი მიწათმოქმედება შეიძლება მხოლოდ დაკავშირებული იყოს მიწასთან. ამ ასპექტში კი ბერძნულ **გე**ო-სთან შეფარდებით შეიძლება თანაბარი პრეტენზიები წამოაყენოს სვ. **გე „მიწამ"** და მეგრ. ზმინისწინმა **გე**-მ, რომელიც ზმნას ზემოდან ქვემოთ, მიწისკენმიმართულ მოქმედების აზრს აძლევს. მაგ. **გე**-დვალა **„დადება"** **გ**ერინა **„დადგომა"** და ა.შ.

კუთვნილებით სახელ **გიორგ**-ის წარმოშობის ორივე ჰიპოთეზის შედარებისას თუ მხედველობაში მივიღებთ მიწათმოქმედებასთან დაკავშირებულ, ზემოთხსენებულ, **რგ**, ძირის სიტყვებს, მეგრულენოვანი მაარგუმენტებელი მასალის დამაჯერებლობა უდავოა, რადგან, როგორც ეს სიტყვები, ასევე სახელი გიო**რგ**-იც ამ სიტყვების ძირში შემავალ **რგ** კომპლექსიდან წარმოიქმნა. ასე რომ, ის თუ რითაა გამოწვეული **წმინდა გიორგის** კულტის განსაკუთრებული ადგილი ქართველურ რელიგიურ აზროვნებაში, ბერძნების მიერ კუთვნილებით სახელ **გიორგ**ი, **გეორგ**ი-ის ეტიმოლოგიურად მიწათმოქმედებასთან დაკავშირება და წმინდა **გიორგ**ის პროტოტიპის – **გილგა**მეშის ქვეყნის – შუმერეთის მიწათმოქმედბაში პიონერებად მიჩნევა ხომარ მოითხოვს ახლებურ გადაწყვეტას: ხომ არ ვდგავართ პრეშუმერული ცივილიზაციის ნატერფალებზე, რომელსაც ისეთი გამადიდებელი შუშით შევყურებთ გარჩევა გაგვძნელებია, მაშინ როცა საკმარისი იქნებოდა უბრალო შეხედვა.

რგ, ძირის სიძველის საკითხის გადაწყვეტა ტერმინ **არგონავტიკა**-ს სწორ ეტიმოლოგიას შეუძლია. გამოთქმულია მოსაზრება, რომ **არგ**ონავტიკა ისევე როგორც კოსმონავტიკა – კოსმოსში, სამ-**არგ**-ალოში (**არგ**ო-ში და არა, მაინცადამაინც, **არგ**ო-თი) ნაოსნობას ნიშნავს (ვლ. ალფენიძე). ეს საყურადღებო მოსაზრებაა, მაგრამ საინტერესოა, ამის საწინააღმდეგოდ, ამჟამად მითოლოგიური მასალის შინაარსისადმი რწმენა რატომ დომინირებს მეცნიერულ მონაცემთა ანალიზის შედეგად მიღებულ ლოგიკურ დასკვნებზე? განა საეჭვოა, რომ ბერძენთა ნაოსნობა **კოლხეთის ცივილიზაციის** ასათვისებლად (არგონავტიკა) ატარებდა არა სპორადულ ხასიათს, არამედ საუკუნეთა მანძილზე უწყვეტი ციკლით მიმდინარეობდა?!.

ედემ იზორია, ზუგდიდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნიჭობის მაკვნეებლობა

3 წლის წინ სომხეხმა კოლეგებმა იტალიელი კინორეჟისორების, პაოლო და ვიტორიო ტავიანების ფილმის **"ტოროლას ბუდის"** გადაღების ისტორია მიამბეს. ჩამოუყვანიათ დიდი კლასიკოსები ერევანში, თავიანთ კინოფესტივალზე, დიდი მიღება მოუწყვიათ. მერე წიგნები მიუციათ სომხურთურქულ ურთიერთობებზე, იმაზე, რასაც სამყაროს ერთი ნაწილი **"სომეხთა გენოციდს"** უწოდებს და პირდაპირ უთქვამთ, იქნებ დაგაინტერესოთ მეოცე საუკუნის ამ ტრაგიკულმა ამბებმა და ფილმის გადაღება მოისურვოთო. ტავიანებზე ამ წიგნებს იმდენად უმოქმედია, რომ ასაკში შესულ გენიოსებს, რომლებიც ბოლო დროს ვედარ აკვირვებდნენ თავიანთ თაყვალისმცემლებს, იტალიაში დაბრუნებიდან რამდენიმე დღეში განუცხადებიათ, რომ იწყებენ ფილმის გადაღებას სომეხთა გენოციდზე. დიახ, ზუსტად ასე თქვეს – **"გენოციდი"**. ანუ თავიდანვე აღიარეს, რომ მათი ფილმი **"პროსომხური"** იქნებოდა.

ფილმი – დიდი არაფერი. ტავიანების ადრინდელ ფილმებს, უბრალოდ, ვერ შეედრება. მაბრამ სახელი და ავტორიტეტი მაინც მნიშვნელოვანია. **"ტოროლას ბუდე"** არაერთ დიდ კინოფესტივალზე უჩვენეს, შესაბამისად, კარგად გაყიდეს. სიმღერა **"ო, სირუნ, სირუნ"**, რომელიც არაერთხელ აჟღერდება ფილმში, ისევ პოპულარული გახდა. სიტყვა **"გენოციდს"** ახლა უკვე ისინიც ხმარობდნენ, ვისაც აქამდე წარმოდგენა არ ჰქონდა, რა მოხდა თურქეთში მეოცე საუკუნის დასაწყისში.

საქართველომაც **"შეუკვეთა"** ფილმი დასავლელ რეჟისორს. 2008 წლის აგვისტოს ტრაგიკულ დღეებზე ფილმის გადასაღებად რენი ჰარლინი აირჩიეს. ახლა უკვე აღარ აქვს მნიშვნელობა, ვინ აირჩია და ვინ დაუკვეთა ეს ფილმი, რომელსაც თავიდან **"ჯორჯია"** ერქვა, მერე კი **"აგვისტოს ხუთი დღე"** ეწოდა. ფილმი დასრულდა. 18 მაისს კანის კინოფესტივალის ბაზრობაზე (და არა კინოფესტივალზე), სასტუმროს კინოდარბაზში უჩვენეს **"პროქართული ფილმი"**, რომელმაც საეჭვოა, ახალი მეგობრები შესძინოს საქართველოს. მეგობრები კი არა, უნიჭობას შეუძლია ის ხალხიც ჩამოგვაშოროს, ვინც უყოყმანოდ გვიჭერდა მხარს **"ქართულ-რუსულ"** ომში.

თუკი ფილმს **"ქართული თვალყურით"** აღვიქვამთ, აუცილებლად გაგვეცინება ინგლისურზე, რომლითაც ენდი გარსია ლაპარაკობს.

მიხეილ სააკაშვილს ყველაფერი შეიძლება დაებრალო, გარდა იმისა, რომ ცუდად ფლობს ინგლისურ ენას. ამას რომ უყურებ (და უსმენ), მეორე მსოფლიო ომზე გადაღებული საბჭოთა ფილმები მახსენდება – ქართული აქცენტით მოსაუბრე სტალინი, ბერია და სხვები (აქ კახა ლომაიას, დავით კეზერაშვილს და თემურ იაკობაშვილს იხილავთ ვიღაც ძალიან ცუდი მსახიობების შესრულებით). დაუმატეთ ამ ყველაფერს ფილმის სწორხაზოვანი დრამატურგია, კონფლიქტის უსაშველოდ პროპაგანდისტული რაკურსით წარმოდგენა და პროპაგანდის ნაცვლად (თითქმის არავის ეპარებოდა ეჭვი, რომ **"აგვისტოს ხუთი დღე"** თავიდანვე ჩაფიქრებული იყო, როგორც პროპაგანდისტული ფილმი, რომელსაც მსოფლიოსთვის ჩვენი ქვეყანა დიდი რუსული იმპერიის მსხვერპლად უნდა წარმოედგინა) მივიღებთ **"ანტიპროპაგანდას"**. რუსეთის ჯარისკაცები ზუსტად ისე იქნებიან წარმოდგენილი, როგორც ნაცისტები მეორე მსოფლიო ომზე გადაღებულ ცუდ საბჭოთა ფილმებში – კარიკატურის სახით.

პრინციპში, ფილმში **"აგვისტოს ხუთი დღე"** აგვისტოს ომიც კარიკატურას ჰგავს. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ სურათის რეჟისორს ბავშვობაში **"ტანკობანას"** თამაში უყვარდა და ახლა შანსი მიეცა, დაიკმაყოფილოს თავისი ვნება **"ბატალური კინოთი"** – ვერტმფრენებით და ტანკებით, სისხლიანი სახეებით, გაბედული ქართველებით, ამერიკელებით და ბოროტი, შეუგნებელი რუსებით. დაუმატეთ ამას კიდევ ერთი გაუგებარი **"იაღლიში"** – ინგლისურად მოსაუბრე ქართველებს და რუსებს აქ უცხოელები თამაშობენ. მაგრამ შიგადაშიგ ქართულად და რუსულად უხდებათ საუბარი. აქ იწყება ნამდვილი კომედია! ფილმის ერთ-ერთი გმირი, წარმოშობით მაროკოელი კანადელი მსახიობი ემანუელა შრიკი ისეთი ქართულით თამაშობს სურათის ერთ-ერთ მთავარ გმირს, თათიას, რომ მსხვერპლის მიმართ თანაგრძნობის ნაცვლად გეღიმება. ხოლო როცა ფინალში სააკაშვილი-გარსიას გვერდით მსახიობ გივი სიხარულიძეს დაინახავ რომელიღაც ქვეყნის პრეზიდენტის როლში, შეიძლება მოგეჩვენოს, რომ რაღაც ძალიან სასაცილო, სახალისო ფილმს უყურებ.

დარწმუნებული ვარ, ვერავინ ამისხსნის რა საჭირო იყო ენდი გარსიას მოწვევა სააკაშვილის როლში. რატომ არ გამოიყენეს ავტორებმა ძრონიკა, რომელშიც სააკაშვილი თავის თავს განასახიერებდა და ისე არაბუნებრივად არ **"შეჯამდა ჰალსტუხს"**, როგორც ამას გარსია აკეთებს. არ არის გამორიცხული, კომერციული ინტერესები გამახსენონ – თითქოს უცხოელი ვარსკვლავების მონაწილეობა თავისთავად უკვე იყოს ფილმის კომერციული წარმატების გარანტია. და აქ დაიბადება მეორე კითხვა – თუკი ფილმს არა ქართველები, არამედ უცხოელი მაყურებლის **"თვალყურით"** შევხედავთ, რას ვიხილავთ? ტანკებს, ვერტმფრენებსა და სისხლიან სახეებს – კი, ხასიათებს, რომლებიც რაღაც თანაგრძნობას უნდა ბადებდნენ მაყურებელში – არა. საქართველოსა და აშშ-ს დროშებს – კი, 2008 წლის ამბების მეტ-ნაკლებად ობიექტურ შეფასებას, რომელიც ამ ომის მიზეზებზე დაბვაფიქრებს – არა. საქართველოს მშვენიერ პეიზაჟებს, რომლებიც მოგზაურობის მოყვარულ დასავლელ მაყურებელს ამ ქვეყნის ბაცნობის სურვილს ბაუჩენენ – კი, ცოცხალ საქართველოს იმ ტკივილებით, რომლებიც ომამდე ჰქონდა ხალხს და ამ ომმა კიდევ უფრო აუტანელი ბახადა – არა. ამის მერე ბაუბებარი ხდება, ვისთვისაა ბადაღებული **"აგვისტოს ხუთი დღე"**. თუკი მხოლოდ და მხოლოდ ქანრული კინოს მაყურებლისათვის, ბოდიში, ასეთი ფილმი იმდენია, რომ საეჭვოა, ბართობის მოყვარული მაყურებელი აღიგზნოს **"სასპენსს"** თითქმის სრულიად მოკლებულ ფილმზე, რომელშიც სისხლი ბევრია, მაბრამ ის, რაც ამ **"სისხლის მიზეზი"** ბახდა, საერთოდ არა ჩანს. უმიზეზოდ გამოხატული სისხლი კი კინოში ყოველთვის ძნის ეჭვს, რომ ავტორებმა, უბრალოდ, ბევრი წითელი საღებავი გამოიყენეს.

ცუდ ფილმს საქართველოს ყველა მოქალაქისათვის ყველაზე მტკივნეულ ხუთ დღეზე კიდევ გადაიტანდა კაცი, რომ არა ქართველი ჩინოვნიკებისა და ოფიციალური მედიის ზღვარგადასული ინფანტილიზმი. ვინ დაიჯერა, რომ ასეთ ფილმს ოდესმე ჩართავდა კონკურსში რომელიმე დიდი კინოფესტივალი? რატომ იმეორებთ ურცხვად ამ ორ სიტყვას **"კანის ფესტივალი"**? განა დაიმალება, რომ **"აგვისტოს 5 დღე"** მხოლოდ და მხოლოდ კანის ფესტივალის ბაზრობაზე უჩვენეს, იქ, სადაც ფულს თუ გადაიხდის, ნებისმიერ სტუდიას შეუძლია უჩვენოს თავისი ახალი ფილმი?

და აქ ისევ ძმები ტავიანების **"ტოროლას ბუდეს"** მინდა დავუბრუნდე. იტალიელი კინორეჟისორები მსოფლიოს ყველა ფესტივალის სასურველი სტუმრები არიან. მათ ცუდ ფილმსაც კი ბევრი მაყურებელი ჰყავს, მაგრამ ჩვენი კინოჩინოვნიკებისა და ხელისუფლებასთან დაახლოებული მედიისათვის ახალგაზრდა **"ჯანიანი ამერიკელი"**, რომელსაც მასკულტურასთან შეხების გამოცდილება აქვს, უფრო მეტია, ვიდრე იტალიელი მოხუცები, რომელთა ფილმში... ენდი გარსია არ ითამაშებს.

აქ ისევ აბობოქრდა ქართული კინოსამყაროსათვის დამახასიათებელი სნობიზმი, გამოხატული კითხვაში, რომელსაც ხშირად გვისვამენ კანის კინოფესტივალიდან დაბრუნების შემდეგ: **"სტარები ნახე?"**

ვიცი, წელსაც მკითხავენ, **"ენდი გარსია ნახე?"** და როცა ვიტყვი, კანში არა ყოფილა-მეთქი, გაუკვირდებათ. როგორ, **"აგვისტოს 5 დღის"** პრემიერა ხომ მოეწყო, ტელევიზიებმა გამოაცხადეს ასეო.

გიორგი გვახარია,
გაზეთი "ასავალ-დასავალი",
2011 წლის 5-12 ივნისი, №23 (870)

გაზეთ "ილორის" კომენტარი – სხვას რა უნდა მოჰკითხო, როცა თავად ფილმის რეჟისორმა რენი ჰარლენმა "იანგლა" საკუთარ ფილმზე, რაც იმის მიმანიშნებელია, რომ არად მიაჩნია ეს "კინოშედევრი". ერთ-ერთი ჟურნალისტის შეკითხვაზე, თუ რამდენი რამ აქვთ საერთო სააკაშვილს და მისი როლის შემსრულებელ ენდი გარსიას, რენემ მიუგო: "ბევრი რამით ჰგვანან ერთმანეთს, მაგრამ ენდის ჰალსტუხი მდოგვით უყვარს".

აგვისტოს ომზე ფილმის პრემიერას ინციდენტის გარეშე არ ჩაუვლია

5 ივნისს რუსთაველის გამზირზე ოთხი ადამიანი დააკავეს, რომლებიც კინოთეატრ **„რუსთაველთან"**, სადაც საკმაოდ გახმაურებული ფილმის – **„აგვისტოს 5 დღე"** – პრემიერა იგეგმებოდა, პროტესტის გამოხატვას აპირებდნენ.

ჰოლივუდის ვარსკვლავები ენდი გარსია, შერონ სტოუნი და სხვები თბილისში ჩამოვიდნენ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შესახებ ფილმის პრემიერაზე დასასწრებად.

რეჟისორ რენი ჰარლინის ფილმის – **„აგვისტოს 5 დღე"** – პრემიერა თბილისში 5 ივნისს გაიმართა. ეს ღონისძიება ინტენსიურად გაშუქდა ქართულ მედიასივრცეში.

ენდი გარსია ფილმში პრეზიდენტ სააკაშვილის როლს ასრულებს. შერონ სტოუნი, რომელიც თბილისში მოსკოვიდან ჩამოვიდა, სადაც **„Muz-TV 2011"** მუსიკალური დაჯილდოების ცერემონიალს დაესწრო, ფილმში არ თამაშობს; იგი თბილისში პრემიერას, ხოლო შემდეგ საქველმოქმედო ვახშამს დაესწრო, რომელიც აგვისტოს ომის დროს დაზარალებულთა ოჯახების დასახმარებლად გაიმართა.

ოპოზიციური **„კონსერვატული პარტიის"** წევრი ლაშა ჩხარტიშვილი, რომელსაც სხვა აქტივისტებთან ერთად უნდა სჭეროდა პლაკატი წარწერით: **„აგვისტოს დღეები სააკაშვილისთვის დღესასწაულია, საქართველოსთვის კი ტრაგედია"**, პოლიციამ პარლამენტის შენობასთან დააკავა. მას წვრილმან ხულიგნობასა და პოლიციის დაუმორჩილებლობაში დასდეს ბრალი. იმავე ბრალდებით კიდევ სამი ადამიანი, მათ შორის, სახალხო კრების ერთ-ერთი ლიდერის – ირაკლი ბათიაშვილის, მეუღლე და შვილი დააკავეს.

კვირას მოგვიანებით ჩხარტიშვილს თბილისის საქალაქო სასამართლომ ათდღიანი პატიმრობა მიუსაჯა, ხოლო სამი დანარჩენი დაკავებული თითოეულისთვის 400-ლარიანი ჯარიმის დაკისრების შემდეგ გაათავისუფლეს.

ასევე, 5 ივნისს, კიდევ ერთ ჯგუფს სასტუმრო „**Radisson Blue Iveria**"-ს წინ, სადაც ჰოლივუდის ვარსკვლავები ცხოვრობდნენ, ინგლისურენოვანი ბანერები ეჭირათ წარწერებით: **„იაფი პროპაგანდა ხელოვნება არ არის", „ნუ ქმნით შოუს ომისგან"**. აქციის მონაწილეთა თქმით, ფილმი **„უსარგებლო პროპაგანდაზე ფულის ხარჯვაა"**.

ფილმის რეჟისორმა რენი ჰარლინმა განაცხადა, რომ ფილმის ბიუჯეტმა 12 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა და არა 20 მილიონი, როგორც ამის თაობაზე მაშინ ითქვა, როცა ის 2009 წელს ფილმის გადაღებას იწყებდა.

ფილმის ძირითადი სიუჟეტი ეხება ამერიკელ ჟურნალისტსა (რომელსაც ბრიტანელი მსახიობი რუპერტ ფრენდი თამაშობს) და მის ოპერატორს, რომლებიც აგვისტოს ომის შუაგულში აღმოჩნდნენ.

თბილისში ფილმის პრემიერამდე, დაახლოებით, ორი წლით ადრე რუსეთის სახელმწიფო ტელევიზია **„პირველმა არხმა"** უჩვენა რუსეთის მიერ გადაღებული ფილმი აგვისტოს ომის შესახებ, რომელიც მოვლენების ოფიციალურ რუსულ ვერსიას ასახავს.

და აი ახლა ეს ჰოლივუდიური ვერსია როგორც პასუხი მოსკოვურ სურათზე.

„თავისუფალი დემოკრატები": „კინოვარსკვლავების საქართველოში ჩამოყვანით ხელისუფლება 26 მაისის ტრაგედიაზე პასუხისმგებლობას ვერ მოიხსნის"

ამის შესახებ **„თავისუფალი დემოკრატების"** მიერ გუშინ აქციის გამართვის მცდელობის გამო ოპოზიციის რამდენიმე წარმომადგენლის დაკავების ფაქტთან დაკავშირებით გავრცელებულ სპეციალურ განცხადებაშია ნათქვამი, რომელსაც საქინფორმი უცვლელად გთავაზობთ:

„სამართალდამცავი ორგანოების მიერ 5 ივნისს რუსთაველის გამზირზე გამართული საპროტესტო აქციის მონაწილეთა დაკავების გამო „თავისუფალი დემოკრატები" პროტესტს გამოხატავს. ქვეყანაში უნდა შეწყდეს განსხვავებული აზრის მქონე მოქალაქეთა დაკავება და დევნა. ყველას უნდა ახსოვდეს, რომ წითელი ხალიჩების დაგებითა და კინოვარსკვლავების საქართველოში ჩამოყვანით ხელისუფლება 26 მაისის ტრაგედიაზე პასუხისმგებლობას თავიდან ვერ მოიხსნის",– ნათქვამია განცხადებაში.

შეგახსენებთ, რომ 5 ივნისს, საღამოს **„სახალხო კრების"** ერთ-ერთი ლიდერის – ირაკლი ბათიაშვილის მეუღლე და შვილი, ასევე, **„კონსერვატორი"** ლაშა ჩხარტიშვილი რუსთაველის გამზირზე საპროტესტო აქციის გამართვას აპირებდნენ, თუმცა ისინი დააკავეს. ჩხარტიშვილს 10-დღიანი პატიმრობა შეუფარდეს, ბათიაშვილის ოჯახის წევრებს კი 400-400 ლარის ოდენობის ჯარიმის გადახდა დააკისრეს. მოგვიანებით დააკავეს და 500-ლარიანი ჯარიმის გადახდა დააკისრეს თავად ირაკლი ბათიაშვილსაც, რომელიც დაწყებულ სასამართლო პროცესზე შესვლას ცდილობდა.

ლაშა ჩხარტიშვილი: „სააკაშვილი" უცენზურო სიტყვაა, მას „მიკროდიქტატორი" დავუძახოთ"

როგორც ჩხარტიშვილი აცხადებს, მას მიმდინარე წლის 5 ივნისს ჰქონდა სურვილი, კიდევ ერთხელ გამოეხატა პროტესტი სააკაშვილი-მერაბიშვილის კრიმინალური ტანდემის მიერ 26 მაისს მშვიდობიანი აქციის დაუნდობელი და სისხლიანი დარბევისა და უდანაშაულო ადამიანების ხოცვა-ჟლეტის გამო, თუმცა ის გაურკვეველი ბრალდებით დააპატიმრეს.

„ჩემი მოქალაქეობრივი ვალის შესასრულებლად შევარჩიე სააკაშვილის მორიგი მრავალმილიონიანი სამარცხვინო პიარაქციის განხორციელების დრო. სამწუხაროდ, ვერ შევძელი ჩემი სამართლიანი და კანონიერი პროტესტის გამოხატვა, ვინაიდან სასწრაფო წესით დამაკავა შსს-ის სამოქალაქო ფორმაში გამოწყობილმა ვიგინდარათა ხროვამ. მხოლოდ სასამართლოში გაირკვა, რომ მე სიტყვები „ძირს სააკაშვილის სისხლიანი დიქტატურა!" უცენზურო გამონათქვამად „ჩამითვალეს" და სწორედ ეს „ბრალი" წამიყენეს. ვაღიარებ, რომ მართლა გამოვიყენე უცენზურო სიტყვა, კერძოდ, სიტყვა „სააკაშვილი", მომავალში ყველანაირად შევეცდები, მას მხოლოდ „მიკროდიქტატორი" ვუწოდო!",– აცხადებს ჩხარტიშვილი, რომელიც 5 ივნისს რუსთაველის გამზირზე საპროტესტო აქციის გამართვის მცდელობისას დააკავეს და 10-დღიანი პატიმრობა მიუსაჯეს.

ვის მიუძღვნა აკაკიმ „ციცინათელა“



დიდი ქართველი მგოსანი აკაკი წერეთელი ენამოსწრებული და ქალბატონების გულის მპყრობელი რომ იყო, საქვეყნოდაა ცნობილი. სახელოვანი პოეტი თავის შემოქმედებაში მიჯნურობისა და სიყვარულის ორ მიმართულებას განიხილავს. ერთი: ტრფობა საოცნებოა, არაჩვეულებრივია, სატრფო უწინ თავისუფალი, ლაღი და არაჩვეულებრივი რამ იყო, დღეს იგი ლეჩაქმოხდილი და დაძაბუნებულია – ეს სიმბოლური სახეა მისი სამშობლოსი. ამ სატრფოსადმი სიყვარულის გამოხატვაში რომანტიკოსი მგოსანი რაინდია, შეუდარებელია. ამ **“მიჯნურობისათვის”** ის ყველას და ყველაფერს გასწირავს, გამუდმებით მასზე ფიქრობს და იდაგება.

მგოსანს მიაჩნია, რომ ტრფობის მეორე გრძნობა სულ სხვა ეშხისაა. იგი ორ ადამიანს შორის ვლინდება. მიჯნურობა მშვენიერია, აღმაფრენის წყაროა, იგი **“გულის ნამია, რომლისთვისაც მზად არის სული მისცეს საკუთხევლად, საყდარ – გული ანაძგერი, ფიქრად გრძნობაა”.**

აკაკის ლირიული ლექსები **“გაუბედავი სიყვარული”, “სულიკო”, “ციცინათელა”, “სატრფო”** და სხვა მრავალი, დასტურია დიდი მგოსნის გრძნობათა მღელვარებისა.

სამეგრელოს უმშვენიერეს ქალაქ სენაკს აკაკი წერეთელი ხშირად სტუმრობდა. ჰქონდა ამის მიზეზი. იქ გათხოვილი იყო მისი და მავრა (იგივე მარტა). აკაკი 1872 წელს ესწრებოდა შხებში გამართულ ქორწილს. მისი სიძე ალექსანდრე მაღალჩინოსანი ოფიცერი გახლდათ. 1878 წელს ოქუმში თურქებთან ბრძოლაში დაიღუპა იგი და დიდი პატივით დაკრძალეს სენაკის ცენტრში არსებული ეკლესიის ეზოში. აკაკი ესწრებოდა სიძის გასვენებას.

მარტა ნიჭიერი ქალბატონი იყო, წერდა ლექსებს, რომლებიც ლიტერატურის მუზეუმშია დაცული. ჰყავდა ორი ვაჟი, რომლებიც პირველ მსოფლიო ომში მონაწილეობდნენ და 1918 წელს დაიღუპნენ.

სახელოვან აკაკის სენაკთან აკავშირებდა სხვა გარემოებებიც. 1885 წელს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ინიციატივით, ძველ სენაკში გაიხსნა სკოლა, რომელსაც დაესწრნენ აკაკი წერეთელი, დიმიტრი ყიფიანი და სხვა სახელოვანი მამულიშვილები. მგოსანმა წარმოთქვა მგრძნობიარე სიტყვა.

აკაკი სასურველი სტუმარი იყო არაერთი სენაკელი ოჯახისათვის. არსებობს რამდენიმე ვერსია, თუ როგორ მოიხიბლა აკაკი ახალგაზრდა ქალბატონი ელისაბედ (ელო) ბედიას სილამაზითა და სათნოებით და მიუძღვნა მას ამონარიდები **“ციცინათელა”**-დან.

პირველი ვერსიით, თურმე მგოსანმა ტურფა კოლხი ქალბატონი ნახა ქალაქის **“პრისტავის”** კაბინეტის ფანჯრიდან, როცა ელისაბედი საკუთარი სახლის ეზოში დანარნარებდა (ქალაქის მერია და ელოს საცხოვრებელი ერთმანეთის გვერდით იდგნენ, თამარ მეფის ქუჩაზე. დღეს ეს ქუჩა ვაჰანიას სახელს ატარებს).

გარკვეული დროის შემდეგ, ქალაქის **“პრისტავის”** სახლში სუფრა გაიმართა აკაკის საპატივცემულოდ, **“პრისტავმა”** ნიკო დგებუაძემ სადილზე მიიწვია ექიმი ივლიანე ხოფერია, ვაჭარი ნიკო შონია, თავადები უჩა დადიანი და ჩონთო მხეიძე, ასევე ცნობილი გილდ-ვაჭარი ალექსანდრე ჭანტურია მშვენიერი მეუღლით – ელისაბედ ბედიათი.

საღამო ძალიან მხიარული გამოდგა, ლექსებით, იუმორით, შაირებით გალაღებული.

საღამოზე ელო ბედიამ მგოსანს მეგრული ლექსით მიმართა:

სინათლე დო ვალიშ მანგო,
სი რექ ჩქიმი გურიშ ვარდი,
სქანი ძირაფა თეშ მპილუნს,
მიშუმუდას გოკო ბანგი,
ჩქიმ სიცოცხლეს გოგილუანქ
შურიშ, გურიშ ამხანაგი!
(სინათლეე და ელვის დარო,
შენ ხარ ჩემი გულის ვარდი,
შენი ნახვა ისე მკლავს, რომ
დამელიოს გინდაც ბანგი.
ჩემს სიცოცხლეს შემოგწირავ
სულის, გულის ამხანაგი).

ლექსი რომ უთარგმნეს აკაკის, მგოსანმა თურმე ექსპრომტად უპასუხა, როგორადაც გასაკვირი არ იყოს, მეგრულადვე:

“სქანი თოლი – ჩქიმი სარკე,
სქანი გური – ჩქიმი ტახტი,
უსქანეთი ჩქიმი რინა
ციხე რე დო ჰაუბახტი”.
(შენი თვალი – ჩემი სარკე,
შენი გული ჩემი ტახტი,
უშენობით ეს სიცოცხლე
ციხეა და ჰაუბახტი).

ამ მოულოდნელობას ტაში და მხიარულება მოჰყვა. ელისაბედი მაშინ 25 წლისა თუ იქნებოდა, ტანკენარი, ვარდის კოკორივით ნაზი და მაყვლისთვალება. ოდესაში გამართულ სილამაზის კონკურსში მიეღო მონაწილეობა და სამეულში დაესახელებინათ. მაშინ მთელს სამეგრელოში ლეგენდასავით დადიოდა ელისაბედის სიტურფისა და სიკეკლუცის ამბავი. ქალბატონები მიენატროდნენ იმ კაბა-სამოსელს, რომელიც ცნობილ მკერავს შეუკერავს და ნაირფერი ღილებით ყოფილა გაწყობილი.

მეორე ვერსიით, რომელსაც მომიყვა სათნო ქალბატონი ზაირა ფაჩულია, გაირკვა შემდეგი: ქალბატონ ზაირას დედა ახლო ურთიერთობაში იყო ელისაბედ ბედიასთან, რადგან ერთ ქუჩაზე მეზობლად ცხოვრობდნენ. სწორედ დედა მოუყვა, რომ როცა წვეულებაზე აკაკი და ელისაბედი იმყოფებოდნენ, ამ უკანასკნელის სიმშვენიერემ ისე მოხიბდა მგოსანი, რომ დიდმა აკაკიმ საგანგებოდ ქადალდზე დაწერა ლექსი **“ციცინათელას”** ორი სტროფი:

ჩემო ციცინათელა!
რად მიფრენ ნელა-ნელა?
შენმა შორის ნათებამ,
დამწვა და დამანელა!
ანათებ და კარგი ხარ,
მე თუმც არას მარგიხარ!..
ჩემი იყო, ის მინდა,
შენ – კი სხვისი ვარდი ხარ!..

ამ შესანიშნავ ბწკარებს მიაწერა თურმე **“ლიზი. ბ”.** ეტყობა, ნაღვინევს უცებ არ გახსენებია ლამაზმანის სახელი, ან შეგნებულად სახელი შეუცვალა – გვარის პირველი ასო მიუთითა. შემდეგ ნაწერი ხელში ჩაუდო და ჩურჩულით სთხოვა წაიკითხეო.

არსებობს მესამე ვერსია, რომლის მიხედვით დიდი აკაკი ისე მოიხიბლა ელისაბედის სიტურფით, რომ მას საკუთარი ფოტოსურათი გაუგზავნა წარწერით და სთხოვა კოლხ ცირას **“სურათი კედელზე ისე დაჰკიდე, შენს ფოტოს უყურებდესო”.**

ეს ვერსია უფრო შეთხზულს ჰგავს, რადგან ამგვარ საქციელს დიდი მგოსანი საკუთარ ღირსებას არ ჰკადრებდა.

ასეა თუ ისე, სინამდვილის მარცვალი ელისაბედისა და აკაკის ურთიერთობაში არის, რადგან კვამლი უცეცხლოდ არ წარმოიშობა.

ელისაბედის შვილისშვილი და ახლობლები ჰყვებიან, რომ მათ უნახავთ კედელზე დაკიდებული აკაკის სურათი. რაც შეეხება აკაკის ხელნაწერს, ის პოეტის იუბილესთან დაკავშირებით მწერალთა კავშირშიც გადააგზავნეს.

ელისაბედის ვაჟიშვილ გიორგი (ჟორა) ჭანტურიას თურმე არ სიამოვნებდა დედისა და აკაკის ურთიერთობაზე საუბარი. ტრადიციის მოყვარული კაცი მუდამ უკმაყოფილებას ავლენდა ამ თემაზე დიალოგისას. შვილებს საერთოდ არ ესაუბრებოდა ამ საკითხზე, თუმცა ყველამ ყველაფერი იცოდა პატარა ქალაქში ერთმანეთის. ჟორა იტყოდა **“ავი ენები დედას გამიჭორავენო”**, თუმცა სიცოცხლის ბოლოს, 2005 წელს ინება მოკლე ინტერვიუ მიეცა გაზეთ **“კოლხეთისათვის”**.

ბატონი ჟორა ჭანტურიას შვილისშვილებმა და არა მხოლოდ მათ, მთელმა სენაკმა იცოდა და იცის მშვენიერი ელოსა და აკაკის ურთიერთობის შესახებ.

ვერ მივაკვლიე აკაკის ხელნაწერსა და ფოტოსურათს. მამაპაპეული სახლი გაიყიდა, იქ სხვა აიგო. დაიკარგა ბევრი ნივთი და მასალა.

ელოს შვილისშვილი ქალბატონი გულნაზი ბევრ საინტერესო ამბავს იხსენებს მშვენიერი ბებოს შესახებ. ვისი გული არ დაუტყვევებია მის წინაპარს, ქართულად თუ მეგრულად ლექსებს უთხზავდნენ მას და ტრფობას ეფიცებოდნენ.

ცნობილია, რომ აკაკიმ ლირიული ლექსი **“ციცინათელა”** 1869 წელს დაწერა და 1871 წელს გამოაქვეყნა **“დროებაში”**. იგი არ შეიძლება მიეძღვნა ულამაზესი ელისაბედისადმი, რადგან ლექსის გამოქვეყნების ჟამს ელო მხოლოდ ერთი წლის იყო.

“ ც ი ც ი ნ ა თ ე ლ ა ს თ ა ნ ” დაკავშირებით მკვლევარი გ. გაჩეჩილაძე წერს:

“1871 წელს “დროებაში” აკაკიმ დაბეჭდა მაღალი პოეტური გრძნობით დაწერილი ლექსი “ციცინათელა”. როგორც ნიკო ნიკოლაძის გადმოცემიდან სჩანს, ამ ლექსში პოეტს პარიზის კომუნისადმი გამოუხატავს თანაგრძნობა”.

ცხადია, 30 წლით უფროსმა აკაკიმ საამო ქალბატონს **“ციცინათელადან”** ამორიდებული მშვენიერი სტრიქონები უბოძა.

სასიქადულო მეცნიერი პ. ინგოროყვა წერს: **“პოეტმა არაერთხელ აამღერა თავისი ქნარი სიყვარულის ჰანგით... როგორც ირკვევა, მთელი წყება ლექსებისა, რომელიც შთაგონებულია სიყვარულით და თანაგრძნობით, პოეტს არ გამოუქვეყნებია (ხოლო ამ გამოუქვეყნებელ ლექსებს შორის არის პოეზიის შედევრები)”.**

დიახ, უკვდავმა აკაკიმ შესანიშნავი სიტყვებით შეამკო ცნობილი მოღვაწის, იონა მეუნარგიას ქალიშვილი სალომე:

როცა გათხოვდე, უთხარი შენს ქმარს,
რომ ქალი იყავ შენ მშვენიერი,
დიდმა მგოსანმა აკაკიმ,
გამოგიწოდა შენ გრძნობით ხელი.

შთამომავლობა მოწიწებით უხრის თავს დიდ მგოსანს, მისი ცხოვრება და მოღვაწეობა კიდევ დიდხანს გააოცებს მომავალ თაობებს.

ბორის დავითაია,
მწერალი, სენაკი.

ლექსები ლექსები ლექსები ლექსები

ნანინა

დუდუ – გედგ დო
კოჩი – გერე,
ჩხოუ – გაბიჯ,
ჯა – გეჩანს,
მარგალურიშ
ვამიჩქ გერე,
გეგნოთანგე –
მუს მერჩანს?
ჩხოუ ხოლო
გერენია,
შხვაში ნინა
აკიშქვანს.
წყარს – დინოდგ დო
წყარს – დინორე,
წყარს – დინობიჯ,
– დინოჩანს,
ფერდის – მუკოდგ
დო მუკორე,
მუკობიჯ დო
მუკოჩანს;
ჯას – გითოთგ დო
ჯას – გითორე...
გინმათანგალ
ნინა სორე?
ჩქიმ ანინა
სატანკუჩხეს
გუთმოურთუნს
კოჩიშ ტანს:
წელიშ ეშე
მიკოქუნა,
წელიშ გიმე
მითმიდბანს;
მარგალურიშ
ვამიჩქ გერე
გაგნოთანგენ –
მუს მერჩანს?

ბეჯით ჯალაღონია

შურიშ რტინი

ეკისერუ უსერეთ,
ცა გიორე ონგარ დღას,
ბორია ყვინთელ ფურცელენს
ევრე-ავრე ოფართხანს.
გოვალ-გოტყვაც თოლონჭეს,
ცაქ გიხირიტ საბუალეს,
შქურინაფილ ტორონჯეფქ
გოლა გაგნიტკარჩალეს.
სო იდი დო, სო ფურინი,
სო იდი დო, სო ფურინი!
ქარწყექ მუჭო დობღურინი,
ნეტე ღურელ ქოპუნინი...
გურქ ოკომცუ ქუმუცალო,
თოლეფქ ეკმაფშ ვალუეს,
მუ გურზუ დო მუ უცადუ
ჩხანაშ გითოფალუას.

იონა ფაზისარი

“ილორელთა” ჰიმნი

მე ვარ ერთი ილორელი,
ყველა ვართ ილორელები,
მე ვარ ერთი დიდგორელი,
ყველა ვართ დიდგორელები!
დიდი გზა აქვს გაზეთ “ილორს”,
დიდი მისია აქვს “ილორს”,
წმიდავ, დიდო, თბილო, ტკბილო,
სულ სიცოცხლით, უსიკვდილოდ!
სამეფო წმიდა გიორგის,
წმიდა გიორგის სამყარო,
ჩვენს გულებთან მოდიოდი,
გულთან ახლოს მოდიოდი,
მამული რომ შეგვაყვარო!
ჩვენ ვადიდებთ ილორელნო,
საქართველოს, სამეგრელოს,
ღვთის გზით გვევლოს, გამოგ-
ევლოს
დიდგორები, დიდგორელნო!
კვლავ დიდგორი სადიდგორელთ,
გვიხმობს აღმაშენებელი...
მოგვიწოდებს ჩვენ, ილორელთ,
ღვთის ხმა, გამამხნევებელი...
იილორე, გვეილორე,
საქართველო – საილორედ!
დღე და ღამე ვიმეორებ:
დიდგორი ხარ შენ მეორე!..
რწმენის, ზენის ხარ დიდგორი,
ხარ დიდგორი ენის, ერის...
ხარ გაზეთი შენ “ილორი”,
სულიერზეც სულიერი!
დ ი დ დ ი დ გ ო რ ე ლ ნ ი ,
დიდილორელნი,
დიდნი კოლხნი ხართ, დიდნი
ქართველნი,
თქვენ გაქვთ მისია მესიის,
მხსნელის,
ქრისტეს ნათელის თქვენ ხართ
სანთელი!..
ყველა ქართველი ილორელია,
გაილორელდეს ყველა
ქართველი.
ჰიმნი მსურს ვთქვა ილორული,
ჰიმნი მსურს ვთქვა ილორულად,
ჰიმნი წმინდაგიორგული,
ჰიმნი წმინდაგიორგულად!..
მაჟორულიც, მინორულიც,
მაჟორულად, მინორულად,
ყველაფერი – ილორული,
ყველაფერი – ილორულად!..
ალაზნური, ილორული,
ენგურული, რიონული,
ყველაფერი – ილორული,
ღვთიური და ეროვნული!..
ტეხურული, არაგვული,
ტეხურულად, არაგვულად,
ქარაგმაა ქარაგმული,
ქარაგმაა ქარაგმულად!..
ჭოროხული, მტკვრულ-თერგული,
ქრისტიანულ-ეროვნული
ეს გულია ეგ ენგური,
ცრემლით, სისხლით შემინული...
კოლხური – იბერიული,
ლაზ-ზანური, ლაზ-ჭანური,
კოსმიურ-მისტერიული,
მზე კვნესის, ვით ჭიანური...

მერაბ ხუბუა,
კოლხიბერ-ლილეო-ლაზელი,
სენაკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუტაციები

ბორჯი მესამე

ქვეყნიერება მოვლილი შვილისგან ზურგმოცემული მხცოვანი ხალხი ამასაც არ კმარობს:

— ოტობაიას სახელი ბიბლიური ტობიას წიგნის სამყოფელს უკავშირდებაო, — დაუჟინია.

— ოტობაია ბერძნული წარმოშობისაა და პონტოს ბაიას ანუ ზღვის ყურეს ნიშნავსო, — ამტკიცებს ბევრი.

— გეკადრებათ, ზღვის ყურე რას მიქვია, ოტობაია ბოტოს ბაიაა, ესე იგი ვერძის უბეს, ოქროს საწმისს — კირბების ნავსაყუდელს გულისხმობსო, — იძახიან სხვები, — ცნობისთვის **"ბაიოს"** პატარას ნიშნავს ბერძნულში, პატარა ვერძს, იგივე კრავს, კირიბსო, — დასძენენ.

— არც ერთი და აღარც — მეორე, ოტობაია იგივე პროტოს ბაიაა, რაც პირველადს, უმთავრესს, ყოველივეს საწყისს, წინარე საბადისს ეტოლებაო, — არ ილევა ვარაუდები.

აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას თუ ვერწმუნებით: ოტობაია ნაწარმოებია მეგრულ-ჭანური სიტყვიდან — ტობადან, რაც ტბის იდენტურიცაა და ღრმა ადგილისაც.

მოკლედ, როგორიც უნდა იყოს წყაროები ოტობაიას წარმომავლობის თაობაზე, ერთი რამ ცხადია, ყოველ მათგანში რაღაც განსაკუთრებული, რაღაც ამაღლებული, რაღაც უკვდავი აზრია ჩაქსოვილი, სინამდვილეს კი სულ სხვა განზომილებანი ასაზრდოებენ, სულ სხვა კანონზომიერებანი წარმართავენ და ჩვენც, დიახაც, ამ მასშტაბებზე, ამ წინააღმდეგობებზე ვისაუბრებთ გზადაგზა, რომელიც თვალშისაცემად მოგროვებია როგორც პირველ-მეორე ოტობაიის მაცხოვრებელს, ისე — სამურზაყანოს სრულიად საქართველოს რადიუსით.

შემთხვევით კენჭიც რომ კენჭია, ისიც არ ჩამობზრიალდება პიტალო კლდის ბუმბერაზი მკერდიდან, მექანიკის კანონების წყალობით თუ ღვთის განგების მეოხებით წონასწორობა დარღვეული კენჭი როგორც კი კუნტრუშ-კუნტრუშით გაწკრიალდება ლოდებს შორის, ჯერ თანატოლი კენჭების ამალას აიყოლიებს, მერმე — ყვინჩილებს და მამლაყინწებს. მალე მხიარულ ლაშქარს თვით ყველაზე აუმღვრეველი ბაყბაყდევნიც აედევნებიან, ღავიწს იდაყვი მიეზილება, მუხლი შუბლს მიეხლება, განიავდება ხავსის ბიბინა ქულაჯები, დარაიები და საერთო სრბოლაში სადღაც ჩაიკარგება მეთაური ციცქნა კენჭი. ზორბა-ზორბა ნაბიჯებით ჩაუქროლებენ აქამდე გულდინჯი ლოდები, ჩაუქროლებენ ბუხუნით, ხაფხაფით და ზოგჯერ ხდება იმნაირადაც, რომ ორომტრიალის მედროშე კენჭს ზვავის ძმათა სასაფლაოზე უკანასკნელს უწევს მიბარება.

ნეტავი შენ, ციცქნა კენჭო, პირველი ჩაებმები ხოლმე ხელჩართულ ბრძოლაში და ასპარეზსაც უკანასკნელი ტოვებ უგვირგვინო, დაუტირებელი მოყმე.

არის რაღაც საერთო ზვავის დაცურებას, მდინარის დაბადებას, ფიქრის აზვირთებასა და ნაწარმოების შექმნას შორის.

ახლა, ამდენი წლის შემდეგ, მიძნელდება იმ უნებლიე წინადადების გახსენება, რომელიც რომან-ტრიადის განხორციელების პროცესში კენჭის მისიას იტვირთავს იმჟამად, მაგრამ ჩემი შემოქმედების ბიძგისმომცემ ფრაზას სიტყვა **"ენგური"** რომ ნამდვილად მეთაურობს — უეჭველია, სხვანაირად წარმოუდგენელიცაა, რამეთუ, დასტურ, ენგურია ის პირველი საოცრება, რომელსაც ხაბოსპირიდან ვიხილავ მამის მკლავზე მოკალათებული მზის ჩასვლისას.

ხელის გაწვდენაზე მიგრიალებს ენგური, მიგრიალებს რაღაცნაირად გაჯავრებული, მედიდური, დასაჭედად დახლართული კამეჩივით ქშინავს, დორბლი გადმოსდის ლაშებიდან, ტალღები მზის სხივებზე ქურიდან გადმოღებული ნალეგივით ვარვარებენ, არ ვიცი ჩემს ცნობიერებაში ენგური რატომ მიემსგავსება მამია რატიას სამჭედლოში კამეჩების დანალვის სცენას, ოღონდ გრანდიოზულს, ბავშვური გონებისთვის მიუწვდომელს და მიუხედავად შინაგანი თრთოლვისა, მე მაინც გავიწვდენ ხელს მისკენ.

იმ დღიდან ჩემს ცხოვრებას ენგური მჭიდროდ გადაეწასკვება.

სადმე დროს თუ ვიხელთებ, მყისვე საბანაო ადგილებისკენ მოვცოცხავთ, გვაძი ანჩაბაძისა და მამაჩემის ნათლული ვაჟიკო მარღანიას საცხოვრისის გავლით, მერმე იქ იმართება შეჯიბრებანი ხაბოდან უმარჯვეს ხტომაშია ეს თუ გადაგდებული თეთრი ქვების მდინარის ფსკერიდან ამოკრეფაში.

მშიშრები ჭადრის ძირას მისხდებიან, შედარებით თამამნი — ბაკვა და ზიმუღ სახეიშვილები, ხალვაშები, მესხიები და შენგელიები, ფარულავები და ახალაიები — ფეხზე დგომელანი ეშვებიან ფაფალადან, ხოლო წყალს შეზრდილი გულადები: თენგო და ჯუმბერ თორდუები, ვახტანგ ხუფენია, ნუგზარ ყალიჩავა, სხვანი და სხვანი წამახული სარივით ჩაერჭობიან მგლისფერ დინებაში, მართუსკენ თავურით წაფრენილები და არის ერთი მითქმა-მოთქმა, მოწონების ყიჟინა, გამარჯვებულის გამოვლენა თუ ყვავილების გვირგვინით შემკობა მოყურადე ასულებისგან.

ამას ზედ ერთვის **"პეტრეს პარონთან"** გამუდმებული თავყრილობა.

ხანდაზმულები ბორნის სიახლოვეს გამართულ გრძელ მერხზე სხედან, აპლაკუნებენ ყალიონს და ნება-ნება ყვებიან მთისას და ბარისას, აცოცხლებენ გარდასული დროის სურათებს, მათგან ზოგიერთს ვიცნობ! მომშვილდულ წარბებიან კაპტო ლოგუას, გოლიათ ფაცურია ძმებს — ნოჩოს, ავქსენტის და ჯაკოს, არჩიკო შამუგიასავით ხმაჩახლეჩილ ახმახს, ვალშა ტუფურიას, პირწავარდნილ ფრანტს — არდაშელ ჩიკვატიას, მოგვიანებით მეგობრად ქცეულ გურია შონიას, მათემატიკის მასწავლებელს, ცხვირკეხიან პილა სექანიას, მამაის განუყრელ თანამეინახე არუშანგ უზარაშვილს, ჩიტაიებს, გაბელიებს, თაკალანძეებს...

იმართება ტაშ-ფანდურა, შაირობაში გაპაექრება, ჩაღდება ფანტი, რომელ თამაშსაც კუნთხოტობაიელები რატომღაც **"გორჩქინუას"** ეძახიან.

ხშირად ტყეებიდან გამოკრეფილი ფიჩხით კოცონს დააგიზგიზებენ, ჭყინტი სიმინდის ტაროებს მიუფიცხებენ და მთელი სოფელი გვიანობამდე მხიარულობს. მაგრამ გადის წლები, ენგურის მიმზიდველი ნაპირები დიდ-პატარა ოტობაიას შორის, ჯერ ახალგაზრდებს დაჰკარგავს მიყოლებით, მერმე — ჭარმაგებს და სულ ბოლოს — თვით ყოვლისმომწრე ხანდაზმულებსაც.

საქმე ის არის, რომ სოფელში სოკოებივით მომრავლდება რადიო და ტელევიზორი, რაც ხალხს ზურგს შეაქცევინებს საუკუნოვანი წეს-ჩვეულებებისთვის, დაათითოვებს, დაკენტავს.

ახლა მას ენგურზე ღამის თევას ფეხბურთის რეპორტაჟის ყურება ურჩევნია, ვერაფრით ვურიგდები ამ უცნაურ მეტამორფოზას, გულით მწადია რამენაირად შევაფერხო ერთიანობის დამამხობელი ტექნიკური პროგრესი, თუმცა საამისოდ არც ძალა შემწევს და მით უფრო — გამოცდილება, თავს იმითღა ვინუგეშებ, რომ კვლავინდებურად ენგურის დუდუნს მივაყურადებ, ხაბოსპირიდან გავესაუბრები მდინარეს:

— ნუ მოიწყენ ჩემო, სხვებმა თუ დაგივიწყეს, მე ხომ დაგრჩი ერთგულიმეთქი, ისიც ყურს მიგდებს თითქოს, მომცრო მართუებს დამიტრიალებს წრეებად თვალწინ მადლობის ნიშნად.

ბევრჯერ ვცდილობ თანატოლების აყოლიებას, ზოგჯერ მივაღწევ კიდეც მიზანს, მაგრამ თანდათან ვრწმუნდები, რომ ჩემი ყოველი მეცადინეობა ცერცვისა და კედლის ანდაზაა, ვინაიდან უმცროსებსაც, უფროსებსაც ფეხი სხვა ცხოვრებისთვის აუწყვიათ.

ფულის რეფორმის დღეებში სოფელს ახალი საოცრება აალაპარაკებს.

ყველას ენგურის გადაკეტვის ამბავი აკერია პირზე, როგორც საქმეში ჩახედული თუ არამკითხე მოამბე ირწმუნება, ჯვართან რაღაც უსაშველო კედლის აღმართვას აპირებენ და მოსახლეობაც მოისვენებს, აღარ დასჭირდებათ დღენადაგ დამბებისა და ჯებირების აგება, დავიწყებას მიეცემა წყალდიდობის გამუდმებული შიში.

ამ განწყობილებისანი განსაკუთრებით კუნთხოტობაიელები არიან, მაგრამ მოსაუბრეებში იძებნებიან ისეთებიც, ენგურის გადაკეტვას ეროვნულ ტრაგედიად რომ მიიჩნევენ, ვინაიდან მათი მტკიცებით, მდინარის დაშრობა მთელს კოლხეთს გადაასხვაფერებს. გადააშენებს მის ფლორას და ფაუნას, ზღვა შემოუტევს ნათესებს, გახშირდება წვიმები.

ჩემი საფიქრალიც ამათ მხარესაა, თანაც ვერაფრით წარმომიდგენია ადამიანის ხელი ენგურის მოთოკვას რანაირად შეძლებს.

— ხიდი ვერ გაუდვიათ, რა ხანია ბორნით ცოდვილობენ და კაშხალის ამგებია ეს ხალხი-მეთქი, ასე ვამხნევებ დედამდინარეს, ასე ვინუგეშებ თავს, მაგრამ მოდით, ამჯერად თვალი მივადევნოთ ორღობეში ველოსიპედით ძუძუმტეს ქროლვებს,

უკვე **"რამას"** ზემოთ მოქცევია ჩვენი ბრიკეტა, დედაწულიანად აყრილ თანასოფლელებს ჩაუსრიალდება სოფლის ცენტრისკენ, უშველებელ ჭადრებზე გაკრული აფიშები ფეხბურთის მატჩის დაწყებას იუწყება დღის ხუთ საათზე.

სტადიონი კოხტადაა მოვლილი, აქ პირუტყვს დიდი ხანია არ აჭაჭანებენ, კონტურები ახალთახალი ნახერხით გავლებულა დაჭიმულ ბაწარზე, ფრენბურთის მოედანი კირითაა შეთეთრებული, ასევე ფაქიზადაა მოკოპწიავებული კალათბურთის სივრცე.

მე ფრენბურთის დიდი გულშემატკივარი ვარ, ადრიანად რომ ვსტუმრობ სკოლას ამის თაობაზე მითქვამს, ბუხარი რომ დაგუგუნებულია, ესეც გამიცხადებია, გაივლის ცოტა ხანი და ფრენბურთის მოყვარულებიც ჩამობარგდებიან, სამნი ვეპაექრებით ექვსს: ანზორ გუნჯუა, ედნერ პაპასქუა და მე, თამაში ნიძლავზეა, ჩინური ავტოკალმებია ეს თუ ხურდები საჩაიეში საპურმარილოდ, მოწინააღმდეგენი რიგში გვყვანან, ჩვენი სამეულის მთავარი კოზირი ბურთის მოწოდებაა, ამ მხრივ სამივე თანაბარი სიძლიერით ვაყუმბარებთ მოწინააღმდეგეს, იშვიათია, მაგრამ უკანმობრუნებულის დაურვება უკვე გაცილებით ადვილია, წინა ხაზზე ანზორი აგვირგვინებს კომბინაციას, ბურთი სარივით ერჭობა მიწატკეპნილზე და გულშემატკივარი ქალიშვილების ჟივილ-ხივილიც ფრთებს შეგვასხამს, დამარცხებული უფროსკლასელები სიმწრიანი თავისქნევით ახალ გუნდს უთმობენ ადგილს.

ბურთები სამასწავლებლოში ინახება, სასწავლო ნაწილის გამგე კაკო, აკაკი შენგელია თუ მორიგეობს, თავი ქუდში გვაქვს, აჩქარა ზანთარაიაც, ილიკო ცეკვაშვილიც არ დაგვიჭერს ბურთს სათამაშოდ, მაგრამ ოდეს სამკილოგრამ მუშტიანი პილა სექანია მიჯდომია საკონტროლო რვეულებს სქელჩარჩოიანი სათვალით, დაღუპულია საქმე, ამისთანა შემთხვევაში გაჭირვების ტალკვესი ან მე ვარ, ან კიდევ — ძუძუმტე, მას ფრენბურთი არაფერში ეპიტნავება, კალათბურთსაც ცერად უმზერს, აი, ფეხბურთი კი მისი ნამდვილი სტიქიაა, ვერცხლისწყალივით მოუხელთებელია და ფინტების ჯადოქარი.

დილიდანვე საზეიმო განწყობილებაა, ხუთი საათისთვის დარჩელელებს ვმასპინძლობთ, მანამდე კი მთელი საუკუნეა, დარჩელში ფრედ დაგვიმთავრებია ამხანაგური მატჩი და ახლა აქ, შინ თუ ვიყვარგებთ, სალაპარაკოდ რამდენიმე თვეს გვეყოფა, მაგრამ როგორ გინდა გაიყვანო დრო ქარონის სადარი პილა მასწავლებლის მორიგეობის პირობებში!

— მიდი, — მეუბნებიან ბიჭები, — არ გაგაწბილებს, კარგ ხასიათზეა დღეს, ღიღინით აიარა კიბეები.

სხვა რა ჩარაა,ძუძუმტე ფეხბურთის სტადიონზე ტრიალებს, რამდენიმე ამხანაგის დახმარებით სილას ყრიან მოტიტვლებულ კარებთან **"ნასილკებით"**.

კალათბურთის მოედნის გვერდით მრგვალი საჭიდაო ალაგია, ისიც ახალთახალი, სურნელოვანი ნახერხით დაფუყული, აქ შეუდარებელია კოკროჭინა ვალერი ხარჩილავა, გველების მომთვინიერებელი ჭიჭას შუათანა ბიჭი, სწავლისკენ მაინცდამაინც დიდად არ მიუწევს გული და მეშვიდე კლასიდან გვიგანებს, საჭიდაო არენას დღენიადაგ უტრიალებენ ჩემი ძმადნაფიცი სერგო გაბელია, ლუსი ჩაჩიბაიას ძე, სახეიშვილები, მესხიები.

სერგო, იგივე კაჯილია, კუნთხოტობაიელია, მაგრამ ჩვენ ლამის აკვნიდან ვმეგობრობთ, მისი ცერმოწყვეტილი ბაბუა, სილოვან ხაფავა, თომა პაპას კარის მეზობლია, ბაბუაჩემს რომ ჩამოასვენებენ ოტობაიაში ფიჩორიდან, ხაფავები მარტოკა დარჩებიან ბორსუს უბანში, გვიკინკლავია ერთხელ შაშვის კვერცხების გამო, ვაჟა ხაფავა და ნოდარ გელენავა წაგვაქეზებენ საჭიდაოდ დისშვილებს, დიდხანს ვეძიძგილავებით ერთმანეთს ტოლისტოლნი და როდესაც ჭიდაობა ცემა-ტყეპაში გადაგვეზრდება, ჭიდან მომავალი გოგუცა ბიცოლა, მიხელ ქარდაშ მოთა, მთელ ვედრო წყალს გადმოგვასხამს გასაზავებლად, გადაგვაკოცინებენ ერთურთს, მამასავით ხუჭუჭთმიანი კაჯილია სწრაფად შემომირიგდება და იქიდან მოყოლებული ერთად ვეძებთ შაშვის ბუდეებს, სათევზაოდაც გვერდიგვერდ დავიარებით ჯერ მახლობელ ღელეებში, მერე ზღვისკენაც მოვცოცხავთ, ბოღაზისკენ, ენგურისპირას გაზრდილი კაჯილია ცურვაში მჯობნის, გადაუგდებ თეთრ ქვას ზღვაში და რამდენიმე წუთში ამოგირბენინებს.

შაშვის ბუდეს კინაღამ ვემსხვერპლები, მამია რატიას ავთასგან რამდენიმეგზის თავგახეთქილს ბიძაჩემი კინაღამ კეფას ამათლის.

— უხანე, — მეუბნება ჯიმადი, — შენ აქ ჭკვიანად იყავი და მე შაშვის ბუდეს მოგიტან.

საკმარისი შეპირებაა დაშოშმინებისთვის, მაგრამ რა ბედი ეწევა მერე დაწინწკლულ ლილისფერ კვერცხებს; კაჯილიას ხომ უკვე ოცზე მეტი მოუგროვებია; ავედევნები ცქვარუნით ზღვისპირეთისკენ აბარგებულს.

ბიძიას მხარზე წალდი გაუდვია, თხმელის წკნელების მოსაჭრელად მიემართება, ლეღვის ტოტი უშნოდ გამოჩრილა თურმე ცხენოსანი მგზავრის საზიანოდ, შევასხეპო იაზრებს და მოქნეული წალდის სიბასრე გულს შემიღონებს.

წამოყვირებაზე დამეტაკება ბიძა, ჭრილობიდან ხელს არ მიშვებს, მარჯვენათი მკერდზე მივუკრივარ, მარცხენათი ლაგამს ჩაფრენილი ბიქტორ ბაბუასკენ მიქრის, მისინჯავს იარას ფერშალი პაპა, მაგრამ შეხორცებულა საკვირველად და სიტყვაკაზმული მწერლობაც შვებით ამოისუნთქავს.

ეს ყველაფერი დროებით მოვიტოვოთ და ქარონის ძმადნაფიც პილა სექანიას მივაშუროთ, რომელიც სამასწავლებლოს მძიმე კარებზე დაკაკუნებას ყრუდ შემოეხმიანება:

— რომელი ხარ, შემოდი!

ბიჭები ლაფაროსთან შეჯგროვებულან, კაკუნს ვიმეორებ, ახლა ფეხის ხმა მესმის და გავიტრუნები.

— რატომ არ შემოდიხარ, მიხას, ბიჭო!

— პილა, მასწ, — გაფუჭებული გრამაფონივით ერთ ხმაზე ვაღირწკინებ მემბრანას.

— ამოღერღე, ადამიანო, საკონტროლოები მაქვს გასასწორებელი!

— პილა, მასწ, ოლიმპიადისათვის ვემზადებით და სატრენოვკოდ ბურთი გვჭირდება! — ჩავამთავრებ რის ვაივაგლახით.

— ახლავე, ახლავე! — გულუხვია პილა სექანია.

ბიჭებს ხელებით ვანიშნებ, ყველაფერი წესრიგშია-მეთქი, იქ მოგუდულ ყიჟინას დასცხებენ.

ორიოდე წუთში კვლავ მომეახლება პილა მასწავლებელი, ბურთი არა ჩანს, ხელები ზურგს უკან დაუწყვია, მერე გამოაელვარებს ორმტკავლიან ცარცს დირიჟორივით.

— აგერ, შენი ბურთი და იტრაინოვკე რამდენიც გენებოს!

ჩამოშვებულია მხრები, ბიჭები ხედავენ ჩემს გასაჭირს, აქა-იქ სიცილი იფეთქებს, ცარცის მართკუთხოვნობა ზოგიერთში სხვა იმპულსს შესძენს გაბედითებულ ფრენბურთს.

იატაკქვეშეთისკენ!

ზარი ძაღლის ძვლებისაა.

აქ ღიდერები ზიმული და ბაკვა სახეიშვილები არიან ტუტუ ეჯიბიას მხარდამხარ, კამათლებს ენერგიულად ურევენ, ქუდში ყრიან, წვივებზე იტკაცუნებენ ხელისგულებს, ანდა — მკერდში, ყველა ჩაყუნცულია, ვინაიდან სკოლის უშველებელი შენობა ოთხმოცამდე სანტიმეტრის ბეტონის სვეტებზე დგას, ოდესღაც ეს სრასახლი ანჩაბაძეების ყოფილა პატარა სკოლასავით, რომლის წინარე ღელეში არეკლილი გაბადრული მთვარე სულგუნად მოსჩვენებია კიკინიას მოგვარეს, კიდევ კარგი, აჩქარა ზანთარაია ჯერ არ გამოჩენილა, თორემ კარგ დღეს დაგვათენებდა, მისი უფროსი ძმა კარლო შეუდარებელი ისტორიკოსია, ზეპირად იცის მარქსის **"კაპიტალი"**, თანაც — რუსულად, ხშირად შეივლის აფთიაქში და ჭუკჭუკებენ მერმე პოლიტეკონომიაზე ის და მამაჩემი ბახუსის ოქტავებით.

იატაკქვეშეთი აკრძალული ზონაა, აქ შატალოზე გასულნი აფარებენ ხოლმე თავს, შპარგალკებითაა წალეკილი მისი სივრცე, კოჭებამდეა მტვერი, წელიწადში რამდენიმეგზის გამოცოცხავენ მის აღმატებულებას ვალერი ბაგინსკის დეიდა-დედა, მაგრამ ღრიჭოიანი იატაკი ცხრილივით ატარებს სასიყვარულო წერილებს თუ ვალმოხდილი შპარგალკების ახალ ნაკადს და დარდუბალა ფენიქსივითაა.

გური ოტობაია

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

მსოფლიოს დიდი ფეხბურთელები

მას შემდეგ, რაც მე-19 საუკუნეში ინგლისელებმა ადადგინეს სპორტის უძველესი სახეობა, მსოფლიოს ყველა ქვეყანაში იბადებოდნენ დიდი ფეხბურთელები, რომლებიც ქმნიდნენ მთელ ეპოქას და მათი მიღწევები ოქროს ასოებით იწერებოდა პლანეტის სპორტულ ისტორიაში. ისინი გვხიბლავდნენ თავიანი საფეხბურთო საშემსრულებლო ოსტატობით. ეს ხდებოდა მაშინ, როცა ფეხბურთი ის-ის იყო იდგამდა ფეხს მსოფლიოში და ჯერ კიდევ არსად არ იყო აშენებული, არამც თუ გიგანტური, არამედ ათასმაყურებლიანი სტადიონებიც კი. მაგრამ სწორედ მათმა ოსტატობამ დაუდო სათავე სპორტის ამ ულამაზეს სახეობას, რომელსაც დღეს ლამის მთელი მსოფლიო ეთაყვანება. მას შემდეგ უამრავი დიდი ფეხბურთელი მოევლინა სამყაროს, მაგრამ ჩვენი რუბრიკა მაინც წინ აყენებს იმ დიდი სპორტსმენების ხსოვნას, რომელთაც მსოფლიოს განახლებული სახით უძღვნეს ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე დიდი ხნით ადრე ჩინეთში შობილი სანახაობრივი სპორტი – ფეხბურთი! მალე დაინტერესებულ პირთა ვიწრო წრეში აღიარებული ეს სანახაობა მასიურ ღონისძიებად იქცა, რამაც წარმოქმნა შესაბამისი სპორტული ბაზების აშენების აუცილებლობა. სწორედ წარსულის დიდი ფეხბურთელების დამსახურებაა, რომ გვაქვს შესანიშნავი სპორტული კომპლექსები "მარაკანა", "აცტეკა", "ნოუ კამპი", "სანტიაგო ბერნაბეუ", "ლუჟნიკები", "ოლიმპიაშტადიონი", "ჰემპდენ პარკი" და სხვა და სხვა. სწორედ ამ სპორტულ "მონსტრებს" ავსებენ პირთამდე დღევანდელი ფეხბურთის "გრანდები", რომლებიც მონდომებითა და წარმატებით აგრძელებენ თავიანთი დიდი წინაპრების საქმეებს.
ამ რუბრიკით ჩვენ გაგაცნობთ მსოფლიოს ფეხბურთის პიონერებსაც და იმ დიდ თანამედროვე ფეხბურთელებსაც, რომლებიც ქმნიან მსოფლიო ფეხბურთის ისტორიას.

ჟოზე აუგუსტო

დაიბადა 1937 წლის 13 აპრილს, პორტუგალიაში.

თამაშობდა საფეხბურთო კლუბებში **"ბარეირენსე"** და **"ბენფიკა"**.

ჟოზე აუგუსტომ თამაში დაიწყო როგორც ცენტრალურმა თავდამსხმელმა და უკვე პორტუგალიის ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში ჰქონდა ჩატარებული რამდენიმე მატჩი, როცა ცნობილი პორტუგალიელი მწვრთნელის ბელა გუტმანის დაჟინებული მოთხოვნის შედეგად **"ბენფიკამ"** იგი შეიძინა ერთ-ერთ პროვინციულ კლუბ **"ბარეირენსე"**-საგან. სწორედ მწვრთნელ ბელა გუტმანის წყალობით, ჟოზე აუგუსტო, მოკლე ხანში, გუნდის მარჯვენა ფლანგის ერთ-ერთ წარმატებულ ფორვარდად იქცა. ჟოზე აუგუსტო უაღრესად მაღალტექნიკური, **"მოაზროვნე ფეხბურთელი"** გახლდათ და მას ევროპის საუკეთესო ფეხბურთელთა სიაში მეორე ადგილზე აყენებდნენ ფეხბურთის **"პროფესორად"** აღიარებული ფრანგი ფორვარდის რაიმონ კოპას შემდეგ. მან ხუთჯერ ითამაშა ევროპის თასის მფლობელთა თასის ფინალში და 1961 და 1962 წლებში დაეუფლა კიდეც ამ საპატიო პრიზს, სამჯერ კი პორტუგალიელ ფეხბურთელებს აშკარად არ გაუმართლათ და თასის გარეშე დარჩნენ. დიდი როლი ითამაშა ჟოზე აუგუსტომ პორტუგალიის ეროვნული ნაკრების წარმატებაში ინგლისში გამართულ 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე, სადაც პორტუგალიელებმა საბჭოთა კავშირის ნაკრებს სძლიეს მესამე ადგილისათვის ბრძოლაში და ბრინჯაოს მედლებს დაეუფლნენ.

აქტიური ფეხბურთიდან წასვლის შემდეგ ჟოზე აუგუსტო ლისაბონის **"ბენფიკას"** მწვრთნელად დაინიშნა და ერთი პერიოდი პორტუგალიის ნაკრებსაც წვრთნიდა.

რობერტო ბაჯო

დაიბადა 1967 წლის 18 თებერვალს, იტალიაში.

თამაშობდა კლუბებში: **"ფიორენტინა", "იუვენტუსი", "მილანი", "ბოლონია", "ინტერნაციონალე", "ბრეშია".**

რობერტო ბაჯო ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელი გახლდათ, როცა 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატის წინა დღეებში **"იუვენტუსმა"** იგი **"ფიორენტინასაგან"** შეიძინა 8 მილიონ ფუნტ სტერლინგად. ეს იმ პერიოდისათვის მართლაც ზღაპრული თანხა გახლდათ. რობერტოს გასხვისების შემდეგ ფლორენციაში აღშფოთებული გულშემატკივრების მასობრივი გამოსვლები დაიწყო – აღელვებული გულშემატკივრები სამი დღის განმავლობაში არბევდნენ ქალაქს. გაიტანა რა მსოფლიო ჩემპიონატზე შესანიშნავი გოლი ჩეხოსლოვაკიის ნაკრების კარში, რობერტო ბაჯომ დაამტკიცა, რომ **"იუვენტუსმა"** ტყუილად არ გადაიხადა მასში ამხელა თანხა. 1993 წელს **"იუვენტუსმა"** სწორედ რობერტო ბაჯოს ბრწყინვალე თამაშის წყალობით მოიპოვა უეფას თასი და, ამავე წელს, ბაჯო აღიარებული იქნა პლანეტის საუკეთესო ფეხბურთელად, მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში ბრაზილიის ნაკრების წინააღმდეგ გამართულ მატჩში ბაჯომ ვერ გაიტანა პენალტი. ეს სპორტული იუდბლობა იყო... სამაგიეროდ თავი ისახელა 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე, როცა ჩილელთა კარში გაიტანა ბურთი 11-მეტრიანით, შემდეგ კი მატჩისშემდგომი პენალტების სერიაში საფრანგეთის ნაკრების წინააღმდეგაც ისახელა თავი. იგი იტალიის ჩემპიონი გახდა 1995 და 1996 წლებში როგორც **"მილანის"**, ასევე **"იუვენტუსის"** შემადგენლობაში, რის შემდეგაც თამაშობდა დაბალი რანგის **"ბრეშიასა"** და **"ბოლონიაში"**.

ბობი მური

დაიბადა 1941 წლის 17 აპრილს, ინგლისში.

თამაშობდა კლუბებში **"ვესტ ჰემ იუნაიტედი", "ფულჰემი",** (ინგ.), **"სან-ანტონიო ტანდერი", "სიეტლ საუნდერსი"** (აშშ).

როცა 1966 წელს ინგლისის ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონობა მოიპოვა, გუნდი მოედანზე კაპიტნის სამკლაურით სწორედ ბობი მურს გამოჰყავდა. იგი გამოირჩეოდა სისწრაფით და მაღალი ტექნიკით, მაგრამ იმდენად მშვიდი და ცივსისხლიანი გახლდათ, რომ გულშემატკივარს ხშირად ეჭვი უჩნდებოდა მისი უსაზღვრო შესაძლებლობებისადმი. შთამბეჭდავი იყო მისი შედეგი როგორც **"ვესტ ჰემის"**, ასევე ინგლისის ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში: ინგლისის თასის მფლობელი, ევროპის თასის მფლობელთა თასის მფლობელი, 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონი, სულ ნაკრების შემადგენლობაში ჩაატარა 108 მატჩი (მათ შორის 100 მატჩი – ალფ რამსეის მწვრთნელობის პერიოდში). 34 წლის ასაკში მურმა ითამაშა ინგლისის თასის ფინალში, მაგრამ უკვე საფეხბურთო კლუბ **"ფულჰემის"** შემადგენლობაში. თანაც, ამ მატჩში იგი დაუპირისპირდა გუნდ **"ვესტ ჰემს"**, საიდანაც დაიწყო მისი სპორტული კარიერა. მაგრამ ამჯერად იგი ვერ გახდა ამ სპორტული ტროფეის მესაკუთრე, რადგან **"ფულჰემმა"** ფინალი საკმაოდ **"დამაჯერებლად"** წააგო. ბობი მური ერთადწერთი ინგლისელი კაპიტანი იყო, რომელმაც ზეაღმართა მსოფლიო ჩემპიონის თასი და საკმაოდ დიდი როლი ითამაშა 1966 წლის ფინალურ მატჩში, სადაც ინგლისმა გერმანიის ნაკრები დაამარცხა. 1993 წელს ბობი მური ავთვისებიანი სიმსივნის დაავადებით გარდაიცვალა, თუმცა სიცოცხლის უკანასკნელ წამამდე ვაჟკაცურად უმკლავდებოდა ამ მძიმე, საბედისწერო დაავადებას.

გიორგი ჯალაღანია

იუმორი

* * *

მიხოს ცოლი მოუკვდა. საწყალი კაცი თავს იკლავდა, ჩემი მარო ადარ არის ამ ქვეყანაზეო. მეორე დღეს გავიდა სახლიდან და მთელი დღე ადარ გამოჩენილა. მეზობლებმა იფიქრეს, თავს ხომ არაფერი აუტეხაო.

საღამოს მიხო მთვრალი დაბრუნდა სახლში სიმღერსიმღერით. მეზობლებმა ჰკითხეს:

– მიხო, გუშინ თავს იკლავდი და დღეს რა მოგივიდა?

– წუხელ, კაცო, მთელი ღამე ვიფიქრე და მივხვდი, მარო არც დედით იყო ჩემი ნათესავი და არც მამით, ნეტავ რა თავს ვიკლავ-მეთქი?!

* * *

ქმარი მოულოდნელად მივლინებიდან ღამით დაბრუნდა. ჩამოიღო კარი ბრახუნით, მაგრამ არავინ უღებს. ამ დროს მეზობლის კარი იღება, გამოდის მოხუცი ქალი და ეუბნება:

– ეგრე ვერ გაიგონებენ, შვილო, რქებით დაუკაკუნე, რქებით!!!

* * *

საბავშვო ბაღში პატარები ტრაბახობენ:

– ჩემს დედას ორნი ვყავართ და ორივეს ცალცალკე ოთახები გვაქვს...

– ჩემს დედას სამნი ვყავართ და ყველას ცალცალკე ველოსიპედები გვაქვს.

– ჩემს დედას კი შვიდნი ვყავართ და ყველას ცალცალკე მამები გვყავს.

გთავაზობთ ნაწყვეტებს ცნობილი ქართველი ხელოვნებათმცოდნისა და ლიტერატორის, **ბატონ ბეჟან ბოჯაბუას** მიერ შედგენილი წიგნიდან **"მეგრული ხალხური პოეზია – 100 ლექსი".**

ჩონგური

ასე, ჩონგურ, ქოფთქუათი
ჩქიმ დო სქანი გაჭირება,
ჩონგურ სი მუ შეგილებუ,
ვე(გი)გადვე განჩინება.
უბედურ(ი) ჩქიმი დუს(ი),
ირფელ ჭუა ჩქიმდა მურს(ი),
მუდგა რიცხვის დევბადინი,
მონობძვენო უჩა ბედი,
ღურუქ ჩქიმდა ვამორთუ დო
დუდქი ვამაყვილუ ხეთი...

ჩონგური

ახლა, ჩონგურო, ვთქვათ,
ჩემი და შენი გაჭირვება,
ჩონგურო, შენ რა შეგიძლია,
ვერ დადებ (გამოიტან) განაჩენს.
უბედურ ჩემ თავს,
ყოველი სატკივარი ჩემთან მოდის,
რა რიცხვშიც დავიბადე,
თურმე მელოდა შავი ბედი,
სიკვდილი ჩემთან არ მოვიდა და
თავი ვერ მოვიკალი ჩემი ხელით.

გამნიირთუ ქიანაქი

გამნიირთუ ქიანაქი
უნჩაშ-უკულაში ვარჩქუ,
დინდარენქი დედარიბუ,
ღარიბ ფარას მიშექვაჩუ.
ბედაურეფ ქიკნოსკიდუ,
ლალა წიმი ქიმიქანჩუ,
მაფშალია უდუს უსქუ,
ბარბალი ათაღირქკინანს,
გირინ მაფშალიაშორო
დალიას მითიწკვირინანს.

გადაბრუნდა ქვეყანა

გადაბრუნდა ქვეყანა,
უფროს-უმცროსი არა ჩანს,
მდიდრები გაღარიბდნენ.
ღარიბი ფულებში ცეკვავს.
ბედაურები ჩამორჩნენ,
ზარმაცი კი წინ მიიწევს,
ბულბული უდელშია შებმული,
ქვეშ ბორბალი მიუჭრიჭინებს,
ვირი კი ბულბულის გალიიდან,
კუშტად იყურება (იბღვირება).

ხელისუფლებამ თბილისი საქონლის ხორცის გარეშე დატოვა

რამდენიმე დღეა, თბილისის ბაზრებში საქონლის ხორცი არ ჩანს. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ რეგიონებში წარმოებული ხორცის დედაქალაქში შემოტანა აკრძალა. ეს აკრძალვა არ ეხება **„ნატახტრისა"** და **„თელეთის"** სასაკლაოებს, სადაც შესასყიდი ფასი უკვე 13 ლარია. ეს ნიშნავს, რომ ბაზარში კილოგრამის ფასი 18-20 ლარამდე აიწევს.

საქინფორმის კორესპონდენტი გვატყობინებს, რომ იგი თავად გახდა ხორცის რეალიზატორთა მიერ დეზერტირების ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე საპროტესტო აქციის შემსწრე. აქციაზე შეკრებილნი აპროტესტებდნენ სურსათის უვნებლობის სამსახურის გადაწყვეტილებას, რის საფუძველზეც მათ ხორცის რეალიზაციის საშუალება არ აქვთ და იძულებულნი არიან, ცოცხალი საქონელი **„ნატახტრისა"** და **„თელეთის"** სასაკლაოებზე ჩააბარონ. მათი განცხადებით, რამდენიმე თვის წინათ ხორცის **ბაზარზე ხელოვნურად შეიქმნა მონოპოლისტური გარემო სასაკლაოებისთვის – „ნატახტრისა"** და **„თელეთის"** – ხორცის წარმოების ექსკლუზიური უფლებით მიცემით. მონოპოლისტების მომგებიანი საქმიანობით დაზარალებულ ჩვეულებრივ ადამიანებს უძვირდებათ პროდუქტი ან ვერ ყიდიან საკუთარ პროდუქტს მათთვის მისაღები პირობებით. აქციის მონაწილეთა განცხადებით, სამსახურის მიერ მათი საქმიანობის შეზღუდვა მწარმოებელთა და რეალიზატორებისთვის წამგებიანი და მიუღებელია.

ამ ორი დღის განმავლობაში საქონლის ხორცი 3-5 ლარით გაძვირდა. რეალიზატორები ამბობენ, რომ თუ თავისუფალი ვაჭრობის უფლება არ მიეცათ, დედაქალაქში ხორცის დეფიციტი შეიქმნება. მათი განცხადებით, მათ უფლება უნდა ჰქონდეთ, ხორცი რაიონებში ადგილზევე დაამზადონ, რადგან მხოლოდ ორი სასაკლაოს არსებობა და ცოცხალი საქონლის იქამდე ტრანსპორტირება გაუსაძლის ზედმეტ ხარჯებს იწვევს, რაც თავისთავად, არარენტაბელურია მწარმოებლისთვისაც და მყიდველისთვისაც ფასზე აისახება. ფაქტობრივად, ისინი ამ ორმა სასაკლაომ უმუშევრები დატოვა, ყოველგვარი შემოსავლის გარეშე – რადგან აუკრძალეს თბილისში ხორცის შემოტანა და გაყიდვა როგორც საბითუმო, ისე საცალო ბაზარზე.

ამასთან დაკავშირებით ხორცის რეალიზატორებმა დეზერტირების ბაზართან 5 ივნისს მორიგი საპროტესტო აქცია გამართეს. აქციის წარმომადგენელთა განმარტებით, უკვე ერთი კვირაა, რეგიონებიდან საქონლის ხორცი ვერ შემოაქვთ, რადგან, კანონის თანახმად, რომელიც სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით დამტკიცდა, თბილისში პროდუქციის შემოტანის უფლება არ აქვთ. სამინისტროს მიერ მითითებულ ორ სასაკლაომდე კი საქონლის ტრანსპორტირება, ხორცის დამუშავება, სანიტარიული ხარჯები და კიდევ ბევრი სხვა რამ ხორცის თვითღირებულებას ზრდის, შესაბამისად, მომხმარებელი ვერ შეძლებს ძვირი პროდუქციის შეძენას. თითქმის ერთი კვირაა, რაც თბილისის აგრარულ ბაზრებსა და ხორცის მაღაზიებში საქონლის ხორცის დეფიციტია. მაღალი ხარისხის ხორცი 18 ლარი ღირს, შედარებით დაბალი ხარისხის კი – 12-15 ლარი.

მოსახლეობის აზრით, სოფლის მეურნეობის სამინისტრომ სასწრაფოდ უნდა გადახედოს აღნიშნულ კანონს და მომხმარებლებისთვის ხელსაყრელი პირობები შექმნას, რათა თბილისის აგრარულ ბაზრებზე საქონლის ხორცის სიძვირე და დეფიციტი აღარ იყოს.

ISSN 1987-8966 ილორი
9771987896009
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა შაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 მე-4 სართული სარეგ. №01018002930

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
მთ.რედაქტორის მოადგილე: დავით ქობალია
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია

WWW ilori.ge
e-mail: elisabetthal@yahoo.de
რეკლამის განთავსება
34-32-95 893-51-01-71
899-34-37-27